
ANNE-CATH. VESTLY
AURORA
I
BLOKK Z
GYLDENDAL

იყო და არა იყო რა, ერთი საქმიანი ქალაქის გვერდით უზარმაზარი ტყე გადაჭიმულიყო. ხეებს მიწაში მყარად გაედგათ ფესვები და მათში კურდღლებს, მელიებს, სამურავებსა(-კვერნისებრთა ოჯახის პატარა მტაცებელი ცხოველი) და გველგესლებს დაედოთ ბინა. ხის კენწეროებზე ყვავები, კაჭკაჭები და სხვა ფრინველები იშენებდნენ ბუდეებს.

ერთხელაც ქალაქმა გაფართოება დაიწყო. იზრდებოდა და იზრდებოდა. დიდხანს უთვალთვალა ტყეს და ბოლოს დაასკვნა, იქაურობა მშვენიერი საკბილოაო. ხეები არც კი გაუფრთხილებია, ისე შეუდგა საქმეს: აბრახუნა, აკაკუნა და იქაურობა ერთიანად გადათხარა. მთელი ეს აურზაური ადამიანებმა წამოიწყეს. აწოწილი ხეები გაოცებით აკვირდებოდნენ მათ საქმიანობას. ყურის წამღები გუგუნი ისმოდა და ბევრი ხე ეცემოდა. მაგრამ ყველა არ მოუჭრიათ, ზოგი ხე ხელუხლებლად დატოვეს.

ერთხანს ასე გაგრძელდა. შემდეგ ადამიანები სახლების შენებას შეუდგნენ. ხის კი არა, დიდრონი სამშენებლო ბლოკების შენობებს დგამდნენ.

მგონი, იმოდენა სახლებს ააშენებენ, წელამდე მოგვწვდებიანო, ფიქრობდნენ ხეები.

ასეც მოხდა. ზოგი შენობა ხეებსაც კი გაუტოლდა, ზოგმა საერთოდაც აჯობა სიმაღლით. რამდენიმე წელიწადში უამრავი დიდი სახლი აშენდა. აქამდე ამაყად გაჯგიმული ხეები პატარა საშობაო ნაძვის ხეებს დაემგვანნენ.

სამურავებმა, მელიებმა და კურდღლებმა ტყის სიღრმეს შეაფარეს თავი. გველგესლებს თავიდან ეგონათ, სახლები ჩვენთვის ააშენესო, კიბეებზე გაწვნენ და მზეს მიეფიცხნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკანმოუხედავად გაუჩინარდნენ ტყეში.

ხეებს კი რა ექნათ? იდგნენ უძრავად თავ-თავიანთ ადგილას.

შენობებში უამრავი ადამიანი შესახლდა. მთელი დღე ხალხის ნაკადი არ წყდებოდა: ზოგი გადმოდიოდა, ზოგიც სადღაც სხვაგან მიდიოდა... მათი ფუსფუსის ხმა ყოველ კუთხე--კუნჭულს სწვდებოდა.

დილაობით ბევრი მათგანი შენობებიდან გამორბოდა. თავ-თავიანთ ოთხბორბლიან ვაგონებში სხდებოდნენ და ჩამწკრივებულები მიგორავდნენ ქალაქისკენ. ზოგი გზის ნაწილს ფეხით გაივლიდა, შემდეგ კი უფრო მოზრდილ, ლიანდაგზე მოსიარულე ვაგონში ადიოდა.

პატარა ადამიანები ზურგჩანთამოკიდებულები გამოდიოდნენ სახლიდან, მოგვიანებით მოზრდილების ფუსფუსი იწყებოდა, მძიმე ჩანთებს, კალათებსა და შეკვრებს რომ მოათრევდნენ. ამ მოზრდილებს, ქალბატონები რომ ერქვათ, კაბები ეცვათ და სურსათის მაღაზიიდან ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ ბორბლებზე შემდგარი ეტლების მთელი წყება გამოჰყავდათ ხოლმე სასეირნოდ. ამ ეტლებში პატარა ადამიანები, ანუ ბავშვები იწვნენ, რომლებიც ექიმთან შემოწმებაზე მიდიოდნენ. თითო ქალბატონს თითო ეტლი მიჰყავდა. მხოლოდ ერთი იყო ისეთი, რომელსაც კაცი მიაგორებდა. მას გვერდით პატარა გოგონა მოჰყვებოდა, ეტლში კი ჩვილი იწვა და ეძინა.

ქალბატონები ერთი დიდი შენობის წინ გაჩერდნენ და ეტლები გვერდზე გადგეს. კაციც ასე მოიქცა.

– მამა, რა ცუდია, რომ ეტლიდან სწორედ ახლა უნდა ამოვიყვანოთ. ისე სძინავს, პირველი საათის გამოცვლამდე არც გაიღვიძებდა.

– ფრთხილად თუ ავიყვან, იქნებ არც გაიღვიძოს, – მიუგო კაცმა, ეტლისკენ გადაიხარა და ფუმფულა პლედში შეფუთული ჩვილი ამოიყვანა.

– ავრორა, საბანი გამოიყოლე, თორემ ამ სიცივეში სულ გაიყინება.

– სხვები რომ ასე არ შვრებიან? – ჰკითხა ავრორამ.

– ჩვენ ასე ვიზამთ, – მოუჭრა კაცმა.

დიდი, მძიმე შესასვლელი კარი გამოაღეს და შიგნით კიდევ ერთი კარი დაუხვდათ. იქიდან ვრცელ დარბაზში შეაბიჯეს, რომლის კედლებთანაც სკამები მიეწყოთ, შუაში გრძელ მაგიდები დაედგათ, ზედ თეთრი ქაღალდი გადაეკრათ, სამეთვალყურეოდ კი ერთი ქალი მიეჩინათ, თეთრი წინსაფრითა და პატარა, თეთრი ქუდით, რომელსაც წინ სასწორი, სახაზავი და კიდევ ბევრი სხვა ხელსაწყო ედო. მაგიდების ბოლოში კიდევ ერთი ქალი იჯდა და რაღაცას წერდა. მასაც თეთრი წინსაფარი აეფარებინა. სასწორზე ჩვილი იწვა და ხელ-ფეხს აფართხალებდა.

კედელთან მიწყობილ სკამებზე დედები ისხდნენ და კალთებში თავ-თავიანთი ფუთები ედოთ.

ავრორამ და მამამ დარბაზში მიმოიხედეს.

ერთი ცარიელი ადგილი ნამდვილად იყო. დედები ისხდნენ და ერთმანეთში ზრდილობიანად საუბრობდნენ უმნიშვნელო თემებზე, მაგრამ როგორც კი დარბაზში შემოსულები დაინახეს, ერთიანად მიჩუმდნენ. მალევე მიხვდნენ, ასე გაჩუმება სისულელეაო, ამიტომ კვლავ საუბარი გააჩაღეს. ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ზოგიც ჩურჩულებდა, მაგრამ თვალს ყველა ავრორასა და მამამისისკენ აპარებდა.

რამდენიმე მათგანი წამოდგა, ბავშვები სკამზე დატოვა და ახალმოსულებს მიეგება.

– ხომ არ დაგეხმაროთ? ბავშვს ხომ არ გამოვუცვალოთ? – ჰკითხეს მამას.

– ნუ შეწუხდებით, თავადაც მოვახერხებთ, – მიუგო მამამ, – დახმარებისთვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ სოკრატეს ურჩევნია, იმან გამოუცვალოს, ვისაც უკვე იცნობს.

– რა ხნისაა? – ჰკითხეს ქალებმა.

– ხვალ რვა კვირისა ხდება, – თავი ზრდილობიანად დაუკრა მამამ.

ავრორამ შეამჩნია, რომ დახმარებაზე უარის მიღებისას ქალებმა ცხვირები აიბზუეს და თავ-თავიანთ ადგილებს უხმოდ დაუბრუნდნენ. შიგადაშიგ მამას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

როგორ უნდოდა ავრორას, მამას დახმარებოდა და ქალ-ბატონებისთვის ეჩვენებინა, რომ ყველაფერს მშვენივრად არ-თმევდა თავს. ალბათ იქ მყოფებს ეგონათ, რომ მამას ბავშვები-სა არაფერი ესმოდა, რომ ჩვილისთვის საფენი არასდროს გა-მოეცვალა. მათ საუბარს ერთხანს ყური უგდო და გადაწყვიტა, ხმამაღლა ეკითხა:

– მამა, საწოვარა ბოთლები მაცივარში შეაწყვე?

– რა თქმა უნდა, – გაკვირვებულმა გამოხედა მამამ, შემ-დეგ შვილს ჩანაფიქრს მიუხვდა და დასძინა: – წამოსვლამდე საფენებიც გამოვხარშე და გავავლე კიდეც.

– ძალიან კარგი, – გაუღიმა ავრორამ, – არ დაგავიწყდეს, რომ აფთიაქში უნდა შევიაროთ და მალამო ვიყიდოთ, ვინიცო-ბაა, კანი გაუღიზიანდეს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

– მართალია, – თავი დაუქნია მამამ, – იქნებ ცოტა ხნით დაიჭირო ბავშვი, პალტო უნდა გავიხადო. ძალიან ცხელა!

აქეთ-იქიდან ბავშვების ჭყივილი ისმოდა. ავრორამ გაიფიქრა, ნამდვილი კონცერტი გამართესო. ასეთ ხმაურში ფიქრიც კი ჭირდა.

სანამ მათი ჯერი დადგებოდა, დიდი დრო გავიდა, მაგ-რამ ამით არ შეწუხებულან. მამამ პალტო გაიხადა და სოკრატე საბანში ისე გაახვია, როგორც ქალებმა – თავ-თავიანთი შვი-ლები. ისხდნენ და იცდიდნენ. საბედნიეროდ, სოკრატეს არ უტირია, იწვა და აქეთ-იქეთ ირწეოდა. ავრორამ ბავშვებს მო-ავლო თვალი. ზოგი სულ ერთი ციდა იყო, ზოგიც უკვე წამოჩი-ტულიყო და დამოუკიდებლად ჯდომა შეეძლო. რამდენიმე

მათგანი საკუთარი ფეხის თითებს ეტანებოდა და ამით ერთოობოდა. ზოგი იღიმოდა, მერე ტირილს იწყებდა, ბოლოს კი დედას ცხვირზე წააფრინდებოდა.

ავრორა გაღიმებული უყურებდა მათ, ქალების უმეტესობამ ღიმილითვე უპასუხა, როგორც ჩანს, ყველა არ ეჭვობდა, რომ მამას საფენების გამოცვლა არ ეხერხებოდა. დიახაც, ქალები მეგობრულად უღიმოდნენ ავრორას, როცა ამჩნევდნენ, რომ გოგონა მათ პატარას უყურებდა.

ზოგ დედას შვილი მხარზე გადაეწვინა. ეს განსაკუთრებით სულ პაწაწუნებს მოსწონდათ, დედებს რომ ძლივძლივობით ებღაუჭებოდნენ და სამყაროს წამომსხდრები აკვირდებოდნენ.

მათთვის ყველაფერი ერთი დიდი სანახაობა იყო.

მედდა ერთიმეორის მიყოლებით წონიდა და ზომავდა ბავშვებს, შემდეგ კი დედებთან ერთად გვერდითა ოთახში უშვებდა.

ამ ოთახიდან ზოგჯერ ყურისწამღები წივილი ისმოდა. მოსაცდელში მყოფი დედები თავ-თავიანთ პატარებს გულში იკრავდნენ და აწყნარებდნენ. მამაც შეშფოთებული დაჰყურებდა სოკრატეს და დროდადრო ოხრავდა.

– აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, – დაამშვიდა ის ავრორამ.

როგორც იქნა, მათი ჯერიც დადგა. მამამ სთხოვა, იქნებ გარეთ დარჩე და საბანს მიხედოო.

სოკრატეს სულაც არ გახარებია, რომ რბილი, თბილი საბნიდან ამოიყვანეს და ცივ, ქაღალდდაფენილ სასწორზე დააწვინეს.

პატარა საშინლად გაცხარდა და აყვირდა. არც ის ეპიტნავა, ფეხების მოკეცვა რომ დაუშალეს და სიგრძეში გაზომეს, რადგან ფეხგაშლილს წოლა სულაც არ მოსწონდა. სოკრატე ხომ აკრობატულ ნიჭს უკვე ავლენდა და ფეხების მოკეცვა და ჰაერში ქნევა მისი საყვარელი საქმიანობა იყო.

მედდის თანაშემწემ ბავშვის წონა და სიგრძე ჩაიწერა. ახლა შეეძლოთ, საბანში გაეხვიათ და ექიმთან შესულიყვნენ.

მამამ ავრორას გახედა და მანაც თავი დაუქნია. ის იყო, საბანი მიაწოდა და ექიმის ოთახისკენ დაიძრა, რომ მედდის ხმა გაიგონა:

– ჩემო კარგო, იქნებ აქ დაგეცადა?

ავრორამ მამას ახედა, მერე ფეხის წვერებზე აიწია და მედდას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

– გასაგებია, – გაიღიმა ქალმა, მერე მამა-შვილს ოთახში შეჰყვა და ექიმს გაესაუბრა. ექიმმა კი ავრორას, სოკრატესა და მამას სათითაოდ დაუკრა თავი.

– აბა, ვნახოთ, როგორ ბრძანდება ეს ყმაწვილი.

პატარას ჯერ ხუმრობით ეჭიდავა, შემდეგ კი გასინჯა. სოკრატე ძლიერად იქნევდა ფეხებს და ექიმს ნეკზე ყოჩაღად ებღაუჭებოდა თავისი პატარა თათებით.

სოკრატეს გასინჯვას რომ მორჩა, ექიმმა განაცხადა:

– კეთილი, ახლა აცრას გაგიკეთებ, რომ ყივანახველა და მსგავსი აბეზარი დაავადება არ შეგეყაროს. იქნებ შენ მაგიდასთან დადგე და დაამშვიდო, – მიუბრუნდა ავრორას.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა გოგონამ. დიდად არ უხაროდა, რომ ექიმს სოკრატესთვის ნემსი უნდა ეჩხვლიტა, მაგრამ იცოდა, რომ ასე იყო საჭირო. სოკრატემ გვარიანად იჭყივლა, მაგრამ ბრაზმა მალევე გადაუარა და კვლავ ფეხების ქნევას მოჰყვა.

– ყველაფერი კარგადაა, – უთხრა მას ექიმმა, – გაგიმართლა, უფროსი და რომ თან გყავს.

ავრორამ მამას გახედა, რომელიც მოშორებით იჯდა და ერთიანად გაფითრებულიყო.

– მოვრჩით, – მიახარა ავრორამ.

– ძალიან კარგი, ავრორა, – გაუღიმა მამამ, – იქნებ გაიქცე და სუფთა საფენი გაშალო, რომ წასასვლელად გავემზადოთ.

– კარგი, – მიუგო გოგონამ.

ოთახიდან გამოსულს დედები მიაშტერდნენ, ალბათ ეუცნაურათ, მარტო რომ დაბრუნდა.

ავრორამ სუფთა საფენი მოძებნა, დასვრილი კი მამის წამოღებულ სპეციალურ ჩანთაში მოათავსა.

– საბრალო პატარავ, დედა ავად ხომ არა გყავს? – ჰკითხა ერთ-ერთმა ახლოს მჯდომმა ქალბატონმა.

– ავად? არა, დედა სულაც არ არის ავად, უბრალოდ, ზოგ-ჯერ იღლება ხოლმე.

– ო, ცხადია. ჩვენც ვიღლებით, მაგრამ სხვა რა გზაა, უნ-და გავუძლოთ.

ავრორამ ჩვილის ტანსაცმელი შეამოწმა. ზედატანი ჯერ კიდევ სუფთა ჰქონდა, ამიტომ გამოცვლა არ სჭირდებოდა. ისე გულმოდგინედ ამოწმებდა ყველაფერს, რომ ქალების ლაპარა-კი წესიერად არც კი ესმოდა.

ამ დროს მამა და სოკრატეც გამოჩნდნენ. პატარა კვლავაც ვერ მოსულიყო გუნებაზე. არც იყო გასაკვირი, ჯერ უდროო დროს გააღვიძეს, მერე ცივ სასწორზე დააწვინეს, მკლავში უჩ-ხვლიტეს, ბოლოს კი მუცელი გაუსინჯეს. საბედნიეროდ, მამამ ყოველთვის ზუსტად იცოდა, სოკრატე როგორ გაემხიარულე-ბინა. სიმღერის ნაცვლად ასე აზუზუნდებოდა ხოლმე: "ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზბზ... " სოკრატეს ისე აოცებდა ეს ბგერები, რომ მა-შინვე ჩუმდებოდა.

– მშვენივრად გამოიყურება, – თქვა მამამ, – დედაც კმა-ყოფილი იქნება.

– დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ვერაფრით დაგეხ-მარებით? – იკითხა იმ ქალმა, ავრორას რომ გამოელაპარაკა, – ჩემი პატარა უკვე მზადაა. გავიგე, თქვენი ცოლი ვერ ყოფილა კარგად.

– კარგად ვერ ყოფილაო? – გაოცდა მამა, – სამსახურში სრულ განაკვეთზე დაბრუნდა, ამ პატარა ვაჟბატონის გაჩენი-დან რვა კვირა ძლივსაა გასული.

– ახლა კი გასაგებია, – მიუგო ქალმა, – თქვენმა პატარა გოგონამ მითხრა, ისეთი დაღლილია, ექიმთან ვერ გამოგვყვაო, თუმცა საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა.

– დიახ, ასეა, – თქვა მამამ, – ავრორა, აბა, კიდევ ერთხელ შეამოწმე, ხომ სუფთაა ზედატანი? ჰო, ნამდვილად გეთანხმები. დღეს მეორე გამოვხარშე, აბაზანაშია გაფენილი და შრება.

მამა სოკრატეს ისე მარჯვედ აცმევდა, ავრორას აზრით, იქ შეკრებილი დედებიდან ვერც ერთი ვერ შეძლებდა ასე ყოჩაღად მოეწესრიგებინა თავისი პატარა. თითების ჩქარი და მსუბუქი მოძრაობით სოკრატე წამში გაამზადა.

– ესეც ასე, – თქვა მამამ, – იქნებ საბანი შენ წამოიღო, ავრორა?

მამამ ჯერ ახლოს მჯდომ ქალებს დაუკრა თავი, შემდეგ კი კიდევ ერთხელ გამოემშვიდობა მედდას, გეგონება, უკვე დაუმეგობრდაო.

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა, – აღნიშნა მამამ, შენობიდან რომ გადიოდნენ. ახლაღა მიხვდა ავრორა, როგორ ღელავდა მამა. ამ ადგილას პირველად იყვნენ, პირველად კი ყველაფერი რთულია ხოლმე. და მაინც, ყველაფერს მშვენივრად გაართვეს თავი.

კარში გასულებს ცივი ქარი შეეფეთათ. უეცრად მამას სახე შეეცვალა.

– ოჰ! პალტო დამრჩა.

სოკრატეს ტანსაცმელი თან ჰქონდა, მაგრამ თავისი დიდი პალტო სულ დავიწყებოდა.

ეტყობოდა, რომ შებრუნება საშინლად ეზარებოდა.

– მე მოგიტან, მამა, იმათი სულაც არ მეშინია, – მიუხვდა ავრორა.

მამას ძალიან გაუხარდა შვილის სიტყვები.

ო, რა ძნელი იყო მისაღების მძიმე კარის გაღება! ავრორა მთელი ძალით მიაწვა, რომ შეეღო. ახლა მეორე კარმა გადაუღობა გზა. ეგონა, ესეც მძიმე იქნებაო, და გულმოდგინედ ეძგერა, მაგრამ კარი მსუბუქი აღმოჩნდა და გოგონა დარბაზში ფრენა-ფრენით შევარდა.

– შენ ისევ აქა ხარ? – გაოცებით ჰკითხა მედდამ.

– ჩვენი პალტოს წასაღებად მოვბრუნდი, – ისე თქვა ავრორამ, თითქოს პალტო მამამისისა სულაც არ იყო.

– კარგი, კარგი, – თავი დაუქნია მედდამ.

ავრორამ მიმოიხედა, მაგრამ პალტო იქ არ დახვდა, სადაც ცოტა ხნის წინ ისხდნენ. უეცრად შენიშნა, რომ იმ ქალს ეჭირა ხელში, მათ რომ გამოელაპარაკა.

– მივხვდი, რომ მამაშენს დარჩა, – უთხრა ქალმა, – ვაპირებდი, გამომეტანა. საბრალო, როგორც ჩანს, მოვლა--პატრონობა აკლია. ეს ღილი მორღვეულა. დედაშენს უთხარი, საღამოსვე დაამაგროს.

ავრორამ პალტო გამოართვა, მადლობა გადაუხადა და მთელი სისწრაფით გავარდა გარეთ.

მამა იდგა და ელოდა.

ავრორას ქალის ნათქვამი არ გაუმეორებია, მხოლოდ ღილზე მიუთითა:

– იცი, მამა, მგონი, ერთი ღილი მოგერღვა.

– მართალი ხარ. სანამ ჩაიდანი ადუღდება, მივაკეროთ. ახლა დროა, სახლში გავბრუნდეთ და სამხარი ვჭამოთ. შემდეგ შეგიძლია, გაისეირნო კიდეც, სანამ მე საქმეებს შევუდგები.

– ნეტა სახლში ვბრუნდებოდეთ, – თქვა ავრორამ.
– სახლში არ ვბრუნდებით? – გაიოცა მამამ.

– ნამდვილი სახლი ვიგულისხმე, იქ, სადაც აქამდე ვცხოვრობდით.

– გასაგებია, – თავი დაიქნია მამამ, – ბუნებრივია, რომ აქაურობას ჯერაც ვერ მიეჩვიე, მაგრამ, შენც კარგად იცი, რომ ქვემოთ, ქალაქში ვეღარ დავრჩებოდით, ჩვენი სახლი ხომ დაანგრიეს. აბა, ვნახოთ, ახალ კორპუსს თუ იპოვი?

ავრორამ მაღალ შენობებს ახედა.

– არც ის არის, არც ეს და არც მის უკან. აი, იქაა, კორპუსი ძ.

– სწორია! – თქვა მამამ, – ავრორა, იცი, აფთიაქში წასვლა სულაც არ გვჭირდება, სახლში ყველაფერი გვაქვს მომარაგებული.

– ჰო, – დაეთანხმა ავრორა, – ეგ იმიტომ გითხარი, რომ სცოდნოდათ, როგორ კარგად ვართმევთ ყველაფერს თავს.

– მოდი, რბოლა გავმართოთ, – შესთავაზა მამამ.

სახლებიდან ბევრნი გამოდიოდნენ საბავშვო ეტლებით. ზოგი მათგანი გზად ჩერდებოდა, სხვებს ესაუბრებოდა და სეირნობას განაგრძობდა. მხოლოდ ორნი მირბოდნენ – მამა და ავრორა. სოკრატე ეტლში იწვა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სხვა ბავშვებთან შედარებით საოცარი სისწრაფით მიქროდა.

ძ კორპუსს სირბილით მიუახლოვდნენ. ავრორამ ფანჯრებსა და აივნებს ახედა.

– თითქმის დარწმუნებით ვიცი, სადაც ვცხოვრობთ.

– ყოჩაღ, – გაუღიმა მამამ. მალე კორპუსის განიერ შესასვლელს მიადგნენ.

მომდევნო თავში იქაურობას დაგათვალიერებინებ და ნახავ, როგორ ცხოვრობენ.

სადღაც შორს, თითქმის ზეცაში

კორპუსს იმხელა ლიფტი ჰქონდა, რომ საბავშვო ეტლი შიგ თავისუფლად ეტეოდა. ლიფტს ძალიან ემადლიერებოდნენ, რადგან უიმისოდ ეტლის მეათე სართულამდე ხელით ატანა მოუწევდათ. ასე კი სულ მალე ავიდნენ თავიანთ სართულზე. მრავალი ჩამწკრივებული კარიდან ავრორა მაშინვე ცნობ-

და თავისას, რადგან მამამ ლამაზი აბრა დაუმზადა და ჩამოუკიდა. აბრაზე ეწერა: აქ ცხოვრობენ: ავრორა, მარია, ედვარდ და სოკრატე თეგეები.

მამამ ჩაიდანი დადგა გაზქურაზე და პალტოს ღილი დაამაგრა. ავრორამ ფანჯრიდან გადაიხედა.

– ზოგჯერ მგონია, ამერიკაში გადავსახლდით, – უთხრა მამას, – იმ ახალმოსახლეებივით, შენ რომ მიყვებოდი.

– რატომ გგონია ასე? – ჰკითხა მამამ, – ჩვენ ხომ არც ახალი მიწა აღმოგვიჩენია და არც სახლი აგვიშენებია. ეს კორპუსი, კარგა ხანია, აქ დგას.

– ჰო, მაგრამ, თითქოს ჩვენს კორპუსში ბევრი ინდიელი ცხოვრობს, – მიუგო ავრორამ, – რომლებსაც სულაც არ მოსწონთ, რომ სხვა მხრიდან გადმოვედით და ამ ბინაში შევსახლდით. როგორ ფიქრობ, ინდიელებთან შებრძოლება მომიწევს?

– არა, რატომ უნდა შეებრძოლო? – გაუკვირდა მამას.

– აქაურები მოჩხუბრებს ჰგვანან, თითქოს მეტი საქმე არ ჰქონდეთ. სოკრატე ხომ ბიჭია, მასაც მოუწევს ჩხუბი?

– სოკრატეს არაფერი აქვს სანერვიულო, – უპასუხა მამამ, – შეუძლია, მშვიდად იჭყიტოს თავისი საბნიდან. მალე ყველას გაიცნობთ და ნახავ, რომ ეს კორპუსი თითქმის მთელ სამყაროს მოიცავს. აქ სხვადასხვა კუთხიდან მოსული ხალხი ცხოვრობს, ზოგი კეთილია, ზოგს კი ისეთი რთული და მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი, რომ თავადაც დამძიმებულია. ზოგი იმ ადგილს მისტირის, საიდანაც გადმოვიდა, ზოგი კი ახალ

ადგილას გადასვლაზე ოცნებობს, მოკლედ, ყველას თავისი დარდი აქვს.

– მამა, იქნებ დილაადრიან საგზლის ჩანთით გახვიდე ხოლმე გარეთ და შემდეგ უკან შემოიპარო?

– მაინც რატომ უნდა ჩავიდინო ასეთი უცნაური საქციელი? – გაუკვირდა მამას.

– იმიტომ, რომ ყველა იმას კითხულობს, რატომ ზიხარ სახლში და არ მუშაობ.

– ერთი, ცოტა ხნით დამაცადე, ჩაიდანს გადმოვდგამ ქურიდან და სასაუბროდ დავსხდეთ. იქნებ სოკრატეს სთხოვო, დაგველოდოს, სანამ ჭამას მოვამთავრებთ.

ავრორა საძინებელში შეიპარა. ეტლი ღია ფანჯარასთან იდგა. სოკრატეს ტკბილად ეძინა.

– ყველაფერი კარგადაა, – დაიჩურჩულა დაბრუნებულმა ავრორამ, – შეგვიძლია, ვჭამოთ.

მამამ რძიანი ჩაი დაისხა, ავრორამ კი თავისი რძე ოდნავ დაფერა ჩაით. ისე მადიანად შეუდგნენ ჭამას, გეგონება, საუკუნეა, პირში ლუკმა არ ჩაუდვიათო. ექიმთან მისვლამდე კი არც ერთს ჰქონდა მადა.

– ახლა ერთ რამეს გეტყვი, არა, ორ რამეს, საერთოდაც, ბევრ რამეს, – დაიწყო მამამ, – თუ აქაური ბავშვები გეტყვიან, რომ არ ვმუშაობ, შეგიძლია ასე უპასუხო: ამქვეყნად ბევრნაირი სამსახური არსებობს და მამაჩემი თავისებურად მუშაობს-თქო. დედა და მე რომ ერთმანეთს შევხვდით, ორივენი სტუდენტები ვიყავით. მე ბერძნულ ენასა და ისტორიას

ვსწავლობდი, დედა კი – სამართალს. დაქორწინება გადავწყვიტეთ, მალე შენც გაგვიჩნდი. დედამ გადაწყვიტა, კარგ სამსახურსა და მაღალ ხელფასზე დათანხმებულიყო, მე კი სახლიდან ვიმუშავებდი და ისტორიის დოქტორანტურას გავივლიდი. თანაც ასე პიანინოზე დაკვრის დროც დამრჩებოდა.

– და ჩვენც მოგვხედავდი, – დაამატა ავრორამ.

– ჰო, – თავი დაუქნია მამამ, – შეიძლება, დრო მოვიდეს და მე ვიმუშაო გარეთ, დედა კი სახლში დარჩეს. თუმცა, მინდა გითხრა, საოჯახო საქმეები ძალიანაც მეხალისება, რასაც დედაზე ვერ ვიტყვი. ხომ ასეთი ჭკვიანია, მაგრამ როდესაც შინ საქმიანობს, გეგონება, ხელები არ ემორჩილებაო. აბა, პატარა ქალბატონო, შეგიძლია, გარეთ ამაყად გახვიდე და ბავშვებს მოახსენო, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი ვერ იქნება. ზოგი მამა სახლში იმუშავებს, ზოგიც – გარეთ-თქო...

– კი მაგრამ, გარეთ გასვლა აუცილებელია?

– აუცილებელია, ჰაერი უნდა ჩაყლაპო. თანაც სხვა პატარა გოგოებს გაიცნობ. თუმცა, შეგიძლია ცოტა ხანს დაიცადო, სანამ სოკრატეს გამოვუცვლი.

ავრორამ და მამამ საწოვარიანი ბოთლი მაცივრიდან გამოიღეს და თბილ წყალში ჩადეს, შემდეგ ავრორამ ძმა საწოლიდან ამოიყვანა და დამოუკიდებლად მიიყვანა მაგიდამდე. მამამ თავისებურად დაიზუზუნა "ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზზზ" და ზურგზე დაწოლის გამო აწუწუნებული სოკრატეც დაამშვიდა. როგორც კი მუცელზე დააწვინეს, პატარა მაშინვე მოვიდა გუნებაზე, სახეზე ღიმილი მოეფინა, თავი აათამაშა და ეტყობოდა, სულ მალე თავისით ჩამოხტებოდა მაგიდიდან.

წესით, სოკრატეს უნდა მოეცადა, სანამ მამა გამოუცვლიდა, მაგრამ ისეთი მშიერი იყო, პირით ყველაფერს ეტანებოდა. ავრორას წილად ხვდა პატივი, თვითონ მიეცა საწოვარა და იდაყვში მოხრილ მკლავზე საგულდაგულოდ დაეწვინა. მართალია, გოგონა არც ისე დიდი იყო, მაგრამ სოკრატეს მისი სითბო და სიმშვიდე ძალიან მოსწონდა. ისიც მოსწონდა, რომ ჭამის დროს ვიღაც გულში იკრავდა, ასე ხომ კიდევ უფრო მყუდროდ გრძნობდა თავს. ბოთლი რომ გამოცალა, მამამ მხარზე მიიბჯინა, რომ პატარას დაებოყინებინა. შემდეგ სოკრატე ეტლში ჩააწვინეს და აივანზე გააგორეს, სადაც მაშინვე ჩაეძინა.

– აბა, ავრორა, სადილის მომზადებამდე ორი საათი მაქვს, – თქვა მამამ და თავისი წიგნები მოიმარჯვა. ავრორა მიხვდა, რომ ჯობდა, გარეთ გასულიყო.

ჯერ სადარბაზოში გავიდა და ფანჯრიდან გაიჭყიტა. იქაურობა უსაფრთხო ჩანდა. ნაძვის ხეები ლამაზად აშოლტილიყვნენ. ეზოში ბავშვები ირეოდნენ. მაღლიდან ჭიანჭველებივით პატარები ჩანდნენ. უეცრად, გვერდითა კარიდან ვიღაც ქალი გამოვიდა. გოგონამ იფიქრა, ახლა თუ არ გავინძერი, უსათუოდ მკითხავს, აქ რას აკეთებო, დედა თუ არის სახლშიო, მერე მამის სამუშაოზეც ჩაეკითხებოდა, ბოლოს თავზე ხელს გადაუსვამდა და ეტყოდა, საბრალო პატარაო.

სადაც მანამდე ცხოვრობდნენ, იქაურებს არასდროს დაუსვამთ მსგავსი კითხვები, რადგან დედასა და მამას კარგად იცნობდნენ და ისიც იცოდნენ, რას საქმიანობდნენ.

ქალმა ლიფტს მიაშურა, ავრორამ – კიბეს. ერჩია, ფეხით ჩასულიყო, ასე უფრო დიდ დროს მოანდომებდა. მთელი ათი სართული და უთვალავი საფეხური ჰქონდა ჩასავლელი. იქნებ

ჩასვლას იმდენი ხანი მოანდომოს, რომ ამასობაში სადილის დროც დადგეს?

ჯერ ერთი საფეხური ჩაიარა, შემდეგ – მეორე. სადარბაზოს უსწორმასწორო კედლებზე თითები აათამაშა და კიდევ ერთ საფეხურზე ჩავიდა. ისე ფრთხილად მიიწევდა წინ, მისი ფეხის ხმას ვერავინ გაიგებდა. უცებ ფეხი დააბაკუნა და უცნაური ხმა გამოსცა. ქვედა სართულებმა გუგუნი დაიწყო. არა, ხმაურით ვერ ივლიდა. ამ კორპუსში ხომ, ავრორას თქმით, უამრავი ინდიელი ბავშვი ცხოვრობდა!

საქმე ისაა, რომ აქამდე არც ერთს შეხვედროდა, ამიტომაც ჩადიოდა ეზოში მარტო. ალბათ ჯობდა, სწრაფად ჩასულიყო და ამ ვიწრო კიბეებს გასცლოდა. ფანჯრიდან გაიჭყიტა. ახლა ნაძვების წვეროების გასწვრივ იყო. რა მაღალი ხეები ყოფილა. ნეტა თვითონაც ასეთი ვეებერთელა ყოფილიყო! არა, ახლა კი უსათუოდ სწრაფად უნდა გაეგრძელებინა გზა.

მეოთხე და მეხუთე სართულებს შორის იყო, როდესაც კიბეზე ერთ შავგვრემან ინდიელს გადააწყდა.

ინდიელი რვა წლისა თუ იქნებოდა. ავრორას მოეჩვენა, რომ ის ზორბა და მოღუშული იყო.

– აქ რას აკეთებ? – ჰკითხა ბიჭმა.

– აქ ვცხოვრობ.

– რომელ სართულზე?

– მეათეზე. შენც აქ ცხოვრობ?

– ჰო, – თავი დაუქნია ბიჭმა, – ლიფტში რატომ არ შედიხარ? გეშინია?

– კაცობრიობის ისტორიის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ სამყაროს საიდუმლოებების ამოცნობის მოთხოვნილება ყოველთვის გვქონდა, – მიუგო ავრორამ, – მეც ასეთი ვარ.

როგორ გამოადგა, მამას ასე ყურდაცქვეტილი რომ უსმენდა ხოლმე! მისი ნათქვამის გაგონებაზე ბიჭს ენა ჩაუვარდა.

ავრორამ გზა განაგრძო, მაგრამ სამშვიდობოს ჯერაც არ იყო გასული.

– დამავიწყდა, სახელი მეკითხა, – მიაძახა ბიჭმა. მოაჯირზე იყო გადაყუდებული და გოგონას დაჰყურებდა.

– ავრორა, – ასძახა ავრორამ.

– მართლა ასე გქვია? – გაიოცა ბიჭმა.

– კი, მართლა. ჩემი სახელი რაღაცას ნიშნავს, მაგრამ არ გაგიმხელ...

– არაფერსაც არ ნიშნავს, – თქვა ბიჭმა.

– კი, კი, როგორ არა, – დაჟინებით დაიქნია თავი ავრორამ, – მაგრამ არ გეტყვი, რადგან, რადგან...

უნდოდა ეთქვა, არ გეტყვი, რადგან არცთუ სასიამოვნო მოსაუბრე ხარო, მაგრამ ვერ გაბედა... მოეჩვენა, რომ ბიჭი

აედევნა, მაგრამ უკან აღარ მოუხედავს, გზა სირბილით განაგრძო. როგორც იქნა, გარეთ გავიდა. იმ ბრაზიანი ბიჭის გამო გული ასჩქარებოდა.

კორპუსის ეზოში ბევრი ბავშვი დახვდა. ზოგი თამაშობდა, ზოგი კინკლაობდა, ზოგიც ავრორას მისჩერებოდა. ამ აურაცხელ ბავშვს შორის ავრორა სულ მარტო იყო. ყველაფერს ერჩია, სახლში დაბრუნებულიყო, მამასთან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ კიბეზე ის ბიჭი იყო ჩასაფრებული? გოგონამ ზემოთ აიხედა და თვალებით თავისი ფანჯარა მოძებნა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმ ფანჯარას უყურებდა, რომლის მიღმაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ჰოი, საოცრებავ, ფანჯარაში მამა იდგა და ბავშვებს დასცქეროდა. ავრორამ ენერგიულად დაუქნია ხელი. მამამაც ხელის ქნევით უპასუხა. ავრორამ ანიშნა, ჩამოდიო, მაგრამ მამამ თავი გააქნია და სამუშაოს დაუბრუნდა.

ო, არა, ასე არ ივარგებდა. მამა ხომ სადღაც შორს, თითქმის ზეცაში იყო, ავრორა კი ქვემოთ, მიწაზე იდგა და ისეთი სუსტი ხმა ჰქონდა, რომ მისი არავის ესმოდა. იქ გაჩერება შეუძლებელი იყო.

ამ დროს ერთი აზრი მოუვიდა თავში. შეეძლო კორპუსს გასცლოდა, შორს, შორს წასულიყო და სამსახურიდან დაბრუნებულ დედას დახვედროდა. დედას ეს ამბავი უსათუოდ გაუხარდებოდა. რომც დაეგვიანებინა, ეს ავრორას არ ადარდებდა. ადგა და იქაურობას გაეცალა. მისი შემხედვარე, იფიქრებდით, ამ პატარა გოგოს მნიშვნელოვან საქმეზე მიეჩქარებაო.

ალბათ იქ შეკრებილებმა იფიქრეს, მაღაზიაში მიდისო. სხვათა შორის, მაღაზიის ვიტრინაში უამრავი უჩვეულო ნივთი გამოეფინათ. სოკრატე რომ ცოტა დიდი ყოფილიყო, და-ძმა ერთად ივლიდა მაღაზიაში. რა კარგი იქნებოდა! ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებდნენ და ისაუბრებდნენ. ავრორას ერთი სული ჰქონდა, სოკრატეს ფეხი აედგა, ან ეტლში წამომჯდარიყო მაინც, რომ სამყარო დაეთვალიერებინა. ავრორა მას ყველაფერს ანახვებდა: სახლებს, ხეებს, მაღაზიაში გამოფენილ უცნაურობებს. სოკრატემ ჯერ არაფერი იცოდა. მხოლოდ ჭამა, ძილი და საფენების დასველება ეხერხებოდა. თუმცა დედას, მამასა და ავრორას უკვე კარგად იცნობდა. უცნობს რომ ხელში აეყვანა, უსათუოდ ატირდებოდა. კიდევ კარგი, რომ მამა სახლში რჩებოდა, თორემ მარტო ავრორა ბავშვის მოვლას თავს ვერ გაართმევდა. არა, იქნებ მოეხერხებინა კიდეც, თუმცა ბავშვის მოვლა ცალ-ცალკე მაინც გაუჭირდებოდათ, ჯობდა, გუნდურად ემუშავათ.

ავრორა დიდხანს უყურებდა ფანჯრებს, ბოლოს ტროტუარს გაუყვა.

მანქანებმა ჩამოიარეს, მაგრამ დედა არც ერთ მათგანში არ იჯდა. ავრორა დიდ მინდორში, შემაღლებულ ადგილზე მოკალათდა, რომ გზა კარგად დაენახა. სახლში მომავალ დედასაც მაშინვე შენიშნავდა, რადგან მისნაირი მანქანა სხვას არავის ჰქონდა. მანქანა მამამ გაზაფხულზე ლურჯად გადაღება, ფარების გარშემო კი წითლად შეფერა. დიდ ქალაქში იმდენს ჰყავს მანქანა, საკუთარის პოვნა რთულიაო, ასე თქვა. მათი მანქანის პოვნა ახლა უმარტივესი იყო. ავრორა მეათე სართულიდანაც წამში არჩევდა ლურჯ-წითელ ფერებს ასობით ჩამწკრივებულ მანქანას შორის. მამა ნამდვილად ჭკვიანი იყო!

გზაზე მანქანების ახალი წყება გამოჩნდა. უმეტესობას ქალი მართავდა. ავრორა მხოლოდ მათ თავებს ხედავდა, საჭის

ზემოთ რომ ლივლივებდნენ. ვეება სატვირთო მანქანები კი დინჯად მოდიოდნენ, დამაყრუებელი თუხთუხით მოიწევ-დნენ წინ.

რადგან სოკრატე ჯერაც პატარა იყო, დედას სამსახური-დან შედარებით ადრე უშვებდნენ ხოლმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ საცობში არასდროს ხვდებოდა.

ავრორას შესცივდა. სცადა, ცალ ფეხზე დამდგარიყო, მეორე კი ჩიტივით აეკეცა და გაეთბო, მაგრამ არაფერი გა-მოუვიდა.

ადგა და თვალები დახუჭა, ჩაიფიქრა, დიდხანს ვიდგები ასე და როცა გავახელ, დედას დავინახავო.

არა და არა! ჯერ ადრე იყო. იქნებ უკან გაბრუნებულიყო და, მანქანის ხმას რომ გაიგონებდა, ხელი დაექნია? დედას რომ მისი დანახვა ვერ მოესწრო? არა, ასე არ ივარგებდა. ჯობდა, წინ წასულიყო და გაფაციცებულს ევლო. ამასობაში მოსაღამოვდა, ზოგმა მანქანამ ფარები აანთო. სახლებში ფანჯრები განათდა და ამ სინათლემ არემარე კიდევ უფრო ჩააბნელა.

ავრორამ თვალები დახუჭა. ცოტა ხნით სრულ სიბნელე-ში გაეხვა. როცა თვალები გაახილა, სამყარო არც ისე ბნელი მო-ეჩვენა. ამ დროს დედის მანქანაც გამოჩნდა, ყოჩაღად რომ მოიწევდა წინ. ავრორამ სიხარულისგან ხტუნვა-სირბილი და-იწყო, მერე ქუდი მოიგლიჯა და ჰაერში ააფრიალა. საბედ-ნიეროდ, დედამ მალევე შენიშნა და მანქანა გააჩერა.

– კი მაგრამ, ჩემო კარგო, ასე შორს წამოხვედი ჩემთან შესახვედრად?

– ჰო, – უპასუხა ავრორამ და დედის გვერდით სავარძელზე აფოფხდა. მანქანაში სითბო და მყუდროება სუფევდა. ავრორას დაჯდომა და ფეხების დასვენება ეამა.

– მამამ ხომ იცის, რომ აქ ხარ? – ჰკითხა დედამ.

– არა, – მიუგო ავრორამ, – მე ხომ ეზოში ვიყავი, ის კი – სახლში, და ხმას ვერ მივაწვდენდი.

– ჰო, მაგრამ, შეგეძლო ასულიყავი და ნებართვა გეთხოვა.

– კიბეზე ერთი ბიჭი იდგა, – აუხსნა ავრორამ.

– გასაგებია, – თქვა დედამ, – კარგია, რომ დაგინახე. ხომ არ გცივა?

– უკვე აღარ, – უპასუხა ავრორამ და სავარძელში აიბუზა.

– კარგ დროს ვბრუნდებით სახლში. მამას შეიძლება ვახშამიც კი ჰქონდეს მზად, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის დრო დარჩა.

– მოშუშული ხორცი და შოკოლადის პუდინგი გვექნება, გუშინ რომ იყიდე.

– მართალი ხარ. დღეს კი ფარში წამოვიღე, ხვალინდელი სადილისთვის. სხვათა შორის, ჩვენი ძველი მაღაზიიდან ყველამ მოკითხვა გადმოგცა. ლარსენმა კი შენთვის ყურძენი გამომატანა.

– ო, ნეტა ყოველდღე ძველ მაღაზიაში დავდიოდეთ, – ინატრა ავრორამ.

– სამაგიეროდ, კარგია, რომ სახლში სულ სითბოა, არა? – თქვა დედამ, – ძველ სახლში ხომ ცეცხლისთვის წამდაუწუმ უნდა შეგვეკეთებინა!

– ჰო, მყუდროდ ვიყავით.

– ავრორა, დანარჩენს სახლში მომიყვები. მხოლოდ ეს მითხარი, სოკრატეს აცრამ როგორ ჩაიარა? მამამ როგორ გადაიტანა ეს ყველაფერი?

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მამას გონება არ დაუკარგავს. ოთახში მეც შემიყვანეს, სოკრატე რომ დამემშვიდებინა.

– ყოჩაღი გოგო ხარ, – მოეფერა დედა, – დანარჩენს შენ და მამა ერთად მიამბობთ სახლში.

სახლამდე გზა მანქანით სულაც არ აღმოჩნდა გრძელი. დედამ ავტომობილი გააჩერა და ჩაკეტა, შემდეგ ავრორას ხელი ჩაჰკიდა და კორპუსისკენ გაეშურნენ.

ავრორამ იმ ბიჭს მოჰკრა თვალი, კიბეზე რომ გამოელაპარაკა. ბიჭი ვიღაცებს ეკინკლავებოდა. ერთმა ჰკითხა:

– კნურე, სარბენად წამოხვალ?

– არ ვიცი, – უპასუხა იმ ბიჭმა, კნურე რომ ერქვა.

გვერდით რომ ჩაუარეს, გაიგონეს, როგორ თქვა ბიჭმა ავ-
რორას სახელი, მაგრამ დედის თანდასწრებით მეტი არაფერი
უთქვამს.

– ბავშვები გაიცანი? – ჰკითხა დედამ, – რა კარგია!

ლიფტში შევიდნენ და სულ მალე სახლში იყვნენ.

მამა სამზარეულოში იდგა. ცალ ხელში წიგნი ეჭირა,
მეორეში – სადღვები.

– იცი, ავრორა, სულ დამავიწყდა, რომ დღეს შოკოლადის
პუდინგი უნდა გვქონოდა. პუდინგის ნაცვლად შოკოლადის
წვნიანი გვექნება. პირობას გაძლევ, გემრიელი გამოვა.

– შოკოლადის წვნიანი? – გაოცდა დედა, – ასეთი რამ
არასდროს გამისინჯავს.

– არც მე, – აღიარა მამამ, – ამ საღამოს გამოვიგონე. საოც-
რად გემრიელი გამოდის. თეთრ სოუსს კაკაოს, შაქარსა და
მდნარ შოკოლადს თუ ჩაუმატებ, წვნიანი გამოგივა. ვახშმის-
თვის მაკარონი მოვხარშე. გუშინდლიდან ხუთიოდე კარტო-
ფილიც მოგვრჩა... მოდი, მიირთვი.

– მადლობელი ვარ, – გაუღიმა დედამ, – ფარშს მაცივარ-
ში შევდებ და ახლავე მოვალ.

დედა ილუკმებოდა და დროდადრო ამთქნარებდა, მერე
ისევ ჭამდა. ავრორა და მამა კი მას სოკრატეს წარმატებულ აც-
რაზე უამბობდნენ. ვახშმის შემდეგ საფენების გამოცვლის
დრო დადგა, ეს საქმე ამჯერადაც მამამ ითავა, დედამ კი პატა-
რას საჭმელი აჭამა. ჭურჭელი ავრორამ და მამამ დარეცხეს. ბო-
ლოს დედაც, მამაცა და სოკრატეც დაღლილები მიესვენნენ.

– ჩვეულებისამებრ მოვიქცეთ, არა? – იკითხა მამამ.

– აბა, რა, – მიუგო ავრორამ, შემდეგ პატარა სკამი მოიმარჯვა და შემოსასვლელში დადგა. იქ რას აკეთებდა, ამას მომდევნო თავში მოგითხრობ.

შემოსასვლელის საქმეები

ავრორა შემოსასვლელში პატარა სკამზე დასკუპებულიყო. შორიდან რომ დაგენახა, შეიძლება შეგბრალებოდა კიდეც, რატომ ზის პატარა გოგო აქ მარტოო, მაგრამ თავად ამ ამბავს სულ არ დაგიდევდათ. მნიშვნელოვან საქმიანობას ასრულებდა. საძინებელში მამა, დედა და სოკრატე ისვენებდნენ, თავად კი შემოსასვლელს სდარაჯობდა. თან პატარა, წითელი მანქანა ჰქონდა, მაგრამ თამაშის დაწყებაც ვერ მოასწრო, რომ კარზე ზარი გაისმა.

კარი რომ გააღო, ავრორას წინ ვიღაც კაცი იდგა, თავზე ქუდი ეხურა, პალტო ეცვა და იღლიაში ჩანთა ამოეჩარა.

– დედა და მამა სახლში არიან? – ჰკითხა კაცმა.

– დიახ, მაგრამ ახლა ისვენებენ და მათი შეწუხება არ შეიძლება.

– დარაბები უსათუოდ დაგჭირდებათ, – უთხრა კაცმა, – აბა, შეიჭყიტე და ჰკითხე.

– არა, დიდი მადლობა, – მიუგო ავრორამ, – დარაბებს ვერ ვიყიდით, რადგან ამის შესაძლებლობა ახლა არა გვაქვს.

– მაშ, კარგი, – თქვა კაცმა, – სხვა დროს კიდევ გესტუმრებით.

ავრორამ ჩუმად მიკეტა კარი და სკამს დაუბრუნდა. მოსწონდა შემოსასვლელში ჯდომა. დარაბა-კაცის ნაბიჯების ხმა ჯერ შესუსტდა, შემდეგ კი სულაც მიწყდა. ალბათ ლიფტში შევიდა. სხვა კარებზე დაკაკუნება არც ღირდა, ვინც იქ ცხოვრობდა, ძველი მოსახლეები იყვნენ. უცნაურია, ესე იგი, ამ უცნობმა იცოდა, ავრორა და მისიანები რომ ახლახან გადმოსულიყვნენ კორპუსში.

ამ დროს გვერდითა ბინაში ვიღაც შევიდა. სულ მალე ნაბიჯები ზედ ავრორას კარის წინ გაისმა. გოგონამ მანამდე გააღო კარი, სანამ ზარის დარეკვას მოასწრებდნენ.

ამჯერად ვიღაც ბიჭი ლოტოს ბილეთებს ყიდდა.

– არა, გმადლობ, – თავაზიანად იუარა ავრორამ.

– კი მაგრამ, შესაძლოა მანქანა მოიგო, – უთხრა ბიჭმა.

– გმადლობ, უკვე გვყავს.

– ფული სხვა კარგ საქმესაც შეიძლება მოხმარდეს, – განაგრძობდა ბიჭი, – საფეხბურთო მოედანს მოაწყობთ.

– ფული თითქმის აღარ გვაქვს, – აუხსნა ავრორამ, – ახლახან გადმოვედით, მაცივარიც გაჭირვებით ვიყიდეთ, ისიც სოკრატეს გამო. ჯერჯერობით მხოლოდ საჭმლის ყიდვას ვახერხებთ.

– გასაგებია, – უთხრა ბიჭმა და წავიდა.

ნაბიჯების ხმა შესუსტდა, თუმცა დიდხანს ისმოდა. როგორც ჩანს, ბიჭმა თითოეულ კარს ჩამოუარა. მალე ვიღაც სხვა მოვიდა – კაცი, რომელიც კარის საჭვრეტებს ყიდდა.

– ხვრელებს ყიდი? – ავრორას ეს ამბავი უცნაურად ეჩვენა.

– არა, არა, – მიუგო კაცმა, – კარში პატარა შუშას ჩავსვამ. მართალია, თავიდან უნდა გავბურღო კიდეც, მაგრამ შემდეგ შუშას ჩავამაგრებ. ასე კარის გაუღებლადაც დაინახავ, ვინ დგას გარეთ.

ო, რა ჩინებული აზრი იყო! ავრორას ძალიან უნდოდა ეს საჭვრეტი. დაბლა დააყენებდა, თვითონაც რომ მისწვდომოდა, სოკრატესთან ერთად გაეჭყიტა და ეხალისა. უეცრად მნიშვნელოვანი კითხვა დაებადა:

– ამისთვის ფული უნდა გადაგიხადო?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა კაცმა, – მე ამით ვცხოვრობ.

– მაშინ ეს ამბავი არ გამოვა, – მოიღუშა ავრორა, – ასეთი რამისთვის ფული არა გვაქვს. იქნებ რამდენიმე წელიწადში გვესტუმროთ, სანამ ფულს დავაგროვებთ.

– კი, აუცილებლად გესტუმრებით. აბა, კარგად იყავი, – თქვა კაცმა და წავიდა.

ავრორას, ცოტა არ იყოს, გული დასწყდა. საჭვრეტი სახალისო იქნებოდა. იქნებ მამისთვის ეთხოვა, კარს ნახვრეტი გაუკეთეო? ეს ხომ მაინც იყო უფასო?

ამის გაფიქრება და კარზე ზარი ერთი იყო. საჭვრეტი რომ ჰქონოდა, კარის გაუღებლადაც დაინახავდა, ვინ იდგა ზღურბლთან, ახლა კი უთუოდ უნდა გაეღო კარი. ამჯერად ვიღაც ქალი მოსულიყო. ავრორამ გაიფიქრა, მგონი, აქამდეც მინახავსო. ქალს საშინაო კაბა ეცვა, როგორც ჩანს, იმავე კორპუსში ცხოვრობდა.

– სალამი, სალამი, პატარავ, – თქვა მოსულმა, – იქნებ დედას უთხრა, რომ დღეს მისი ჯერია და კიბე უნდა მორეცხოს.

– დიახ, ვეტყვი, – მიუგო ავრორამ.

– არ დაგავიწყდეს, აუცილებლად უთხარი, – თქვა ქალმა.

– აუცილებლად გადავცემ, – დაჰპირდა ავრორა.

ავრორა კარში შეყოვნდა და ჩაფიქრდა. ის ქალი დარწმუნებული წავიდა, რომ დედა კიბეს მორეცხავდა. სინამდვილეში დედა ისეთი დაღლილი იყო, ვახშმის დროს წამდაუწუმ ამთქნარებდა. თანაც სოკრატესთვისაც უნდა ეჭმია, ჯერ ვახშმის შემდეგ, მერე 7 საათზე, ბოლოს კი ძილის წინ. არც მამას ექნებოდა კიბეების მორეცხვის თავი. არადა, ვინმეს რომ სადარბაზო დაეთვალიერებინა, იფიქრებდა, დედა ზარმაცია, ან არ კადრულობსო...

ავრორამ კარგა ხანს იფიქრა, ბოლოს კი სახე გაებადრა. სამზარეულოში შეიპარა და ვედრო, ტილო და სარეცხის ფხვნილი იპოვა. ჯერ ბლომად ფხვნილი ჩაყარა, შემდეგ წყალი ჩაუმატა. ვედრო ნახევრამდე გაავსო, რადგან სავსეს ტარება გაუჭირდებოდა. წყალი მშვენივრად აქაფდა. კიბე სულ მალე

გაქათქათდებოდა. ნეტა ზემოდან უნდა დაიწყოს თუ ქვემოდან? ალბათ ზემოდან დაწყება უფრო იოლი იქნებოდა, თუმცა ჯერ ბოლო სართულზე უნდა ასულიყო. ავრორა მეათეზე ცხოვრობდა, კორპუსს კი ცამეტი სართული ჰქონდა.

რადგან სახლში ყველას ეძინა, ჯობდა, კარი გამოეკეტა. საქმიანობას რომ მოათავებდა, ზარს დარეკავდა.

საქმის მომთავრებამდე კი დიდი დრო იყო, რადგან კორპუსს უთვალავი კიბე ჰქონდა. ზედა სართულებზე ავრორა არასდროს ასულიყო, მხოლოდ ქვედა კიბეები ჩაევლო ფეხით. ვაითუ ახლაც იმ ბრაზიან ბიჭს შევხვდეო, გაახსენდა უცებ, მაგრამ თავი იმით დაიმშვიდა, სადილის მერე გარეთ გავიდოდაო. ვედრო მოიმარჯვა და ისე ჩაეფლო საქმეში, რომ შიში აღარც გახსენებია.

ავრორას ნამდვილად არ ეგონა, ვედრო თუ ასეთი მძიმე იქნებოდა. საპნიანი წყალი ჩქაფუნობდა და იქცეოდა. ნელ--ნელა ავიდა მაღლა, ჯერ მეთერთმეტე სართულზე, მერე – მეთორმეტეზე, ბოლოს – მეცამეტეზე. ამ სიმაღლიდან დაბლა ჩახედვა ძალიან საშიში იყო.

ბოლო სართულის კიბე სუფთა და ლამაზი აღმოჩნდა. ჰაერშიც სისუფთავის სუნი იდგა. ავრორამ გადაწყვიტა, იქაურობა კიდევ ერთხელ მოერეცხა. იმ ქალმა ხომ სწორედ ეს დაუბარა.

ავრორამ სცადა, ტილო კარგად გაეწურა, მაგრამ ნაჭერი მეტისმეტად გაჟღენთილიყო და წურწურით ჩამოსდიოდა წვეთები.

კიბეების მორეცხვა სახალისო საქმე გამოდგა. ავრორა მიყოლებით რეცხავდა საფეხურებს, შემდეგ კი თავისი ვედრო-თი

ქვემოთ-ქვემოთ მიიწევდა. აქაფებული საპნიანი წყალი თოვლივით ეფინებოდა საფეხურებს. თუ თავს კიბესთან ახლოს მიიტანდა, ხედავდა, როგორ ბრჭყვიალებდნენ საპნის პატარა ბუშტები.

როცა ტილოს მოუსვამდა, ქაფში ლამაზი კლაკნილები იხაზებოდა. მაგრამ რა დროს თამაში იყო, აქ საქმისთვის გამოვიდა. იქნებ დაღამებამდე ვერც კი მოესწრო საქმის დამთავრება! უეცრად ბოლო სართულის ერთ-ერთი კარიდან ქალი გამოვიდა. ქაფზე ფეხი აუცურდა და მოთხილამურესავით დაეშვა კიბეზე, მაგრამ როგორღაც მოაჯირს ჩაეჭიდა და დროულად შეიმაგრა თავი.

– ამას რას ვხედავ? აქ რა გინდა, რატომ რეცხავ? ნახევარი საათის წინ დავასუფთავე კიბე. რა, ცუდად ვიმუშავე? და საერთოდ, ვინა ხარ?

– მე ავრორა მქვია, – უთხრა გოგონამ, – წეღან ერთი ქალბატონი გვესტუმრა და თქვა, თქვენი ჯერია დასუფთავებისო.

– სად ცხოვრობ? – ამჯერად მშვიდად ჰკითხა ქალმა.

– მეათე სართულზე, – მიუგო ავრორამ.

– აჰა, გასაგებია. შენ აქაურობა კი არა, მხოლოდ მეათიდან მეცხრე სართულზე ჩამავალი კიბე უნდა მორეცხო.

– უჰ, მე კი მეგონა, მთელი კორპუსის კიბეები უნდა დამესუფთავებინა.

– ღმერთო ჩემო! ასეთი პატარა ამდენ საქმეს როგორ აუხ-ვიდოდი? – ქალს სახეზე ღიმილი გადაეფინა, – წყალსა და ტი-ლოს მოვიტან და აქაურობას ჩავრეცხავ. ძალიან გულუხვად ჩა-გიყრია სარეცხის ფხვნილი, წყალი კი დაგკლებია.

– ამოსატანად ისეთი მძიმე იყო, – დაიჩივლა ავრორამ.

– ვიცი, ვიცი. აბა, ახლა შენს სართულზე ჩადი, – უთხრა ქალმა, – აქაურობას მე მივხედავ.

ავრორა დაბლა დაეშვა. შემდეგ სართულზეც გაკრიალე-ბული კიბე დაუხვდა, როგორც ჩანს, იქაურებს უკვე ემუშავათ. მეთერთმეტე სართულზე რომ ჩავიდა, ვიღაც კაცს შეეჩეხა, რო-მელიც ისე ენერგიულად ასუფთავებდა, გარშემო სულ გუ-ბეები იდგა და კედლებს შხეფები ესხმებოდა.

– კიბეს რეცხავ, მიუხედავად იმისა, რომ კაცი ხარ? – ჰკითხა ავრორამ.

– აბა რა, – მიუგო კაცმა, – მე თუ მკითხავ, ეს სულაც არაა ქალების საქმე. თანაც დალაგება სასარგებლოა. ვარჯიშივითაა. ეს რომ არა, დღის მოციონს(გასეირნება (სამედიცინო ტერმინი)) ვერ შევასრულებდი.

– მართალია, – დაეთანხმა ავრორა.

– აბა, შეგიძლია, გამოიარო. ნაფეხურებს თავად ავაშ-რობ, შენ ნუ შეწუხდები.

– გმადლობ, – უთხრა ავრორამ, – ჩემი აზრით, კარგ საქ-მეს აკეთებ. შენც მამას მხარეზე ყოფილხარ.

– ისიც რეცხავს კიბეს?

– ახლა არა, არ იცოდა, რომ ჩვენი ჯერი იყო. სახლის საქმეებს კი ყოველთვის აკეთებს.

– ასეა, ყველას თავისი საქმე აქვს.

– ამ კორპუსში ყველაზე კეთილი შენ ხარ, – უთხრა ავრორამ.

– დიდი მადლობა, პატარა ქალბატონო, – გაუღიმა კაცმა და რეცხვა განაგრძო.

– ახლა ჩემს კიბეს მოვრეცხავ, – თქვა ავრორამ. უკვე მეათე სართულზე ჩასულიყო და ერთადერთი ჩაყოლება ჰქონდა დასასუფთავებელი.

მუშაობას აქაფებული წყლით შეუდგა. ცოტა ხანში საფეხურები კვლავ თეთრად დაიფარა და მეთერთმეტე სართულის მეზობელი კაციც გამოჩნდა.

– მოგეხმარები, პატარავ, – შესთავაზა მან, – უკვე გაგისაპნია, ახლა კი უნდა მოვრეცხოთ. გპირდები, რომ მოვრჩებით, ყველაფერი სუფთა იქნება. მთავარია, წყალი მოვავლოთ, თორემ შენს სართულზე ვინც ცხოვრობს, ყველანი სრიალ--სრიალით ჩავლენ ძირს. თანამედროვე ადამიანების ამბავი ხომ იცი, ისეთი სათუთები არიან, წამში საავადმყოფოში მოხვდებიან.

კაცმა ვედროთი სუფთა წყალი მოიტანა და მარჯვედ მორეცხა გასაპნული კიბე.

ორიოდე საფეხურიღა დარჩენილიყო და კაცსაც თითქმის მოემთავრებინა მორეცხვა, როდესაც კიბეზე ვიღაც ქალი გამოჩნდა.

– ღმერთო ჩემო, ახალი ოჯახი ასეთ პატარებს ამუშავებს? ჯერ იყო და, ცოლი ქალაქში გავარდა და სახლის საქმეები ქმარს შეაჩეჩა, ახლა კიბის მორეცხვასაც არ კადრულობს.

– ო, არა, ასე სულაც არ არის, – აღელდა ავრორა, – დედამ და მამამ არ იციან, კიბე რომ უნდა დაგვესუფთავებინა. მინდოდა, გამეხარებინა.

– აჰ, გასაგებია, – თავი გადააქნია ქალმა.

– უნდა დაგვიცადოთ, სანამ მორეცხვას მოვრჩებით, თორემ მთელ ქაფს ზემოთ გაიყოლებთ.

– გამაგებინეთ, თქვენ მეთერთმეტე სართულზე არ ცხოვრობთ? – ჰკითხა ქალმა.

– სწორედაც რომ მეთერთმეტეზე, – მიუგო კაცმა, – ადრე მოვრჩი საქმიანობას და ვიფიქრე, ამ პატარა გოგონას მივეშველები-მეთქი. ერთი საფეხური, ორი საფეხური, სამი საფეხური! მიბრძანდით, შეგიძლიათ გაიაროთ.

ქალი წავიდა. კაცი ავრორას მიუბრუნდა:

– ამაზე არ იდარდო. ზოგს ჰგონია, ყველაფერი იცის, სინამდვილეში კი არაფერიც არ გაეგება. შეგიძლია, სახლში დაბრუნდე და შენებს უთხრა, რა ყოჩაღად მოიქეცი.

– კარგი, – ავრორამ ვედრო და ტილო აიღო და სუფთა კიბეს აუყვა.

მის სართულზე სიჩუმე იდგა. სახლის კარი მოძებნა და ზარი დარეკა. ლოდინი მოუწია, სანამ მძინარე, თმააჩეჩილმა მამამ კარი გაუღო.

– სად იყავი? – ჰკითხა მამამ.

– კიბე მოვრეცხე, ჩვენი ჯერი ყოფილა.

მამას გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, შემდეგ სადარბაზოში გამოვიდა.

– რა მშვენიერია, – თქვა მამამ, – ჩინებული სიურპრიზია, ავრორა.

– ეს კაცი დამეხმარა, – უთხრა ავრორამ, – ჯერ თავისი სართული მორეცხა, შემდეგ მე მომეშველა.

მამამ კაცს თავი დაუკრა, გაუღიმა და უთხრა:

– უღრმესი მადლობა. საერთოდ არ ვიცოდი, კიბე თუ უნდა დაგვესუფთავებინა. იმედია, შემდეგში მეც შევძლებ თქვენს დახმარებას.

– რას ამბობთ, არაფერი გაქვთ სამადლობელი. დროა, სახლში ავბრუნდე და ცოლს ყავა მოვუდუღო.

– ჩვენც უნდა მოვამზადოთ ყავა, ავრორა, – თქვა მამამ, – დედას რაც შეიძლება ნაკლები საზრუნავი უნდა დავუტოვოთ.

მამამ ერთდროულად მოამზადა ავრორასთვის სამხარი, დედასთვის კი – ყავა. რადგან გოგონამ ასე იყოჩაღა, ისეთი უგემრიელესი ბუტერბროდები დაუმზადა, სადღესასწაულო სუფრასაც რომ დაამშვენებდა. დედა რომ ადგა, მაგიდას მიუსხდნენ. ავრორა ბედნიერი ილუკმეზოდა, მეზობელი ქალის ნათქვამზე სიტყვაც არ დაუძრავს.

– ტირილტოპენიდან მშვენიერი ხედი მოჩანს, – აღნიშნა დედამ, რომელიც ყავის ფინჯნით ხელში ფანჯარასთან იდგა.

– ახლა ბევრს ვერაფერს გაარჩევ, – თქვა მამამ.

– ქალაქის სინათლე კარგად ჩანს. ძალიან ლამაზია აქედან.

– სოკრატეს არ დავანახვოთ? – იკითხა ავრორამ.

– როგორ არა, – მიუგო დედამ, – შეგიძლია მოიყვანო, მალე გამოცვლის დროც მოუვა.

ავრორა საძინებელ ოთახში შევიდა. სოკრატე გაღვიძებული დაუხვდა. იწვა, ჩაფიქრებული ჭერს ასცქეროდა და თითებს ლოღნიდა.

ავრორამ პატარა აიყვანა, მხარზე გადაიწვინა და მისაღებ ოთახში ფანჯრისკენ ზურგით შეტრიალდა, რომ სოკრატეს ხედი დაენახა.

პატარამ განათებულ ქალაქს თავი დაუქნია. ამ სანახაობით აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

– საღამოს რომელმა დავბანოთ სოკრატე?

– თუ შეიძლება, მე დავბან. დღეს ხომ წესიერად ვერც კი მივხედე, – თქვა დედამ.

– რა თქმა უნდა, შეიძლება, – მიუგო მამამ, – მაშინ წყალს მე გავამზადებ.

– მე როდის უნდა დამელაპარაკო? – ჩაერთო ავრორა.

– როგორც კი სოკრატეს დავბან, – დაჰპირდა დედა, თუმცა ავრორას რომ შეხედა, გადაიფიქრა.

– იქნებ მამამ დაბანოს სოკრატე, მანამდე კი ჩვენ ვისაუბრებდით!

– კეთილი, – სიხარულით დასთანხმდა მამა, – ახლავე მოვიტან წინსაფარს.

– საწერი მაგიდის ქვეშ დევს, – უთხრა ავრორამ, – გარეცხილია.

– მშვენიერი, მშვენიერი, – მამა სააბაზანოში შევიდა. ავრორას ესმოდა, როგორ ივსებოდა საბავშვო ვარცლი წყლით.

– ხალიჩაზე პირქვე წოლას არაფერი სჯობია, – თქვა დედამ, – პატარაობაში მეც ასე ვიწექი ხოლმე.

– დედაშენიც ასე გიწვებოდა ხოლმე გვერდით? – ჰკითხა ავრორამ.

– არა, – გაეღიმა დედას, – ის სკამზე იჯდა და კერავდა ხოლმე. რომ დაბნელდებოდა, კერვას თავს ანებებდა, მაგრამ შუქს მაინც არ ანთებდა და ფანჯრიდან იხედებოდა. ამ მომენტს ბინდის წუთებს უწოდებდა. ქურაში ცეცხლი გვენთო და მოცეკვავე ალს ვუყურებდით ხოლმე. გეგონებოდა, შიგ მთელი ტყე იწვისო.

– ოჰ, – ავრორა მოიკუნტა და მყუდროდ მოეწყო. რა კარგი ყოფილა დედას ბავშვობა.

ამ დროს მამაც შემოვიდა და სოკრატე ხელში აიტაცა.

– ერთი შეხედე ჩვენს ქალბატონებს, რა მშვენივრად წამოწოლილან ხალიჩაზე! ჩვენ, კაცები კი უნდა გავისარჯოთ. ნეტა რაზე საუბრობენ? ალბათ ძველ დროზე, თუმცა ისეთ ძველზეც არა, როცა შენი სეხნია ცოცხალი იყო. ნეტა შენი სახელი თუ მოგეწონება? არ იდარდო, მეორე სახელად ნილსი დაგარქვით, ვინიცობაა, არ მოგეწონოს. საბედნიეროდ, ჯერაც სოკრატეს გეძახით. მე პირადად ძალიან მომწონს ეს სახელი.

ამ დროს ზარი გაისმა. მამამ სოკრატესთან ერთად მიაშურა კარს.

– იწექი, არ ადგე, – უთხრა დედას, – დარწმუნებული ვარ, გამყიდველი იქნება.

– სამწუხაროდ, დღეს ვერაფერს შევიძენთ, – მოიბოდიშა მამამ კარის გაღებისას, თუმცა გარეთ გამყიდველი კი არა, სამი ქალი დაუხვდა.

– საღამო მშვიდობისა, – მიესალმნენ ქალები მამას, – თქვენი მეუღლე სახლშია? ხელმოწერებს ვაგროვებთ იმისთვის, რომ კორპუსის გვერდით საბავშვო მოედანი აშენდეს. თუმცა იქნებ თავადაც დაგვეხმაროთ.

ქალებმა ჯერ მამა შეათვალიერეს, შემდეგ სოკრატე, ბოლოს კი დედა, რომელიც ხალიჩაზე პირქვე იწვა.

დედა წამოდგა.

– ედვარდ, ამ ამბავს მე მივხედავ, – უთხრა მამას დედამ, – მე მოგიწერთ ხელს. რამდენიმე წელში სოკრატეც სიამოვნებით ითამაშებს საბავშვო მოედანზე.

დედამ ხელი მოაწერა, მაგრამ ქალები წასვლას არ ჩქარობდნენ. ავრორამ შენიშნა, რომ ისინი ბინას ათვალიერებდნენ.

– ესეც ასე, ხელი მოწერილია, – შეახსენა დედამ.

ქალებმა მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ. დედამ და ავრორამ კარგა ხანი იწრიალეს ხალიჩაზე, სანამ წეღანდელივით მოკალათდებოდნენ.

– ნეტა ასე ხშირად არ რეკავდნენ ზარს, – ინატრა დედამ.

– მალე მიგვეჩვევიან და აღარ მოვლენ, – დაამშვიდა მამამ, – აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. ესეც ასე, სოკრატე ნაბანავები, მაგრამ საშინლად მშიერია. ახლა ჩემი ჯერია, მეც ხომ უნდა ვესაუბრო ავრორას. სააბაზანოში შებრძანდით, პატარა ქალბატონო. ამასობაში დედა სოკრატეს დაანაყრებს.

მამამ ავრორას აბაზანა აუვსო და ულამაზესი იალქნიანი გემით თამაშის უფლება მისცა. შემდეგ ავრორა თავის

ოთახში შევიდა, საწოლში ჩაწვა და კორპუსის სხვა ბავშვებზე ჩაფიქრდა, რომლებიც ალბათ ახლა თავ-თავიანთ ლოგინებში იწვნენ და მასავით საბანში ცხვირჩარგულებს ეძინათ.

მამას არეულ-დარეული დღე

ავრორას დილით ადრე გაეღვიძა. გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა, ამიტომ გოგონამ ღამის სანათი აანთო, თავისი ოთახიდან გავიდა და მშობლების კარს მიაყურადა.

ჯერ სოკრატესაც კი არ ეღვიძა. ავრორას შეეძლო, საწოლში დაბრუნებულიყო. თავის ოთახში ორი თოჯინა ეგულებოდა. ერთს, ნაჭრის დიდ თოჯინას "თითა" ერქვა, მეორე კი დედას ბავშვობისდროინდელი იყო, დაწვენისას თვალებს ხუჭავდა და "დედას" იძახდა. გრძელი წამწამები და ქერა თმა ჰქონდა, თითქმის ავრორას თმის სიგრძისა, ოღონდ უფრო ღია ფერის. ამ თოჯინას "პატარა რორა" ერქვა.

თითას დაბანა არ სჭირდებოდა, რადგან ნაჭრისგან იყო დამზადებული. სამაგიეროდ, მისთვის საბავშვო პუდრის მიფრქვევა და თეთრეულის გამოცვლა შეეძლო. ავრორა ჩაფიქრდა და მერე თოჯინებს მიმართა:

– თითა და პატარა რორა, გინდათ, დედამ ქალაქში გაგასეირნოთ მანქანით? ოფისში მისვლამდე დიდი გზაა, თითა უკანა სავარძელში მოკალათდება, შენ კი, პატარა რორა, გვერდით მიუჯდები. ხომ იცით, ბავშვებისთვის წინ ჯდომა აკრძალულია.

– გთხოვ, დედა, წინ დამსვი, რა, – თქვა პატარა რორამ.

– არა, არ გამოვა, სწორედ გუშინ ღამით მოვისმინე რადიოში, რომ ბავშვების ადგილი უკანა სავარძელში ყოფილა, – აუხსნა ავრორამ, – არ დაღონდე, პატარა საჭეს მოგცემ და ტარეზაში მომეხმარები... აბა, დავიძარით. უჰ, მანქანა არ იქოქება. კარგი, კარგი, ჯერ ძრავას გავახურებ და შემდეგ წავალთ. მაინც რას აკეთებს ის მანქანა, წინ რომ გაჩერებულა? ესეც ასე, გვერდი ავუარეთ. აბა, სად წავიდეთ, მამას უნივერსიტეტში, მეფის სასახლეში, დედას ოფისში თუ გემების სანახავად?

– გემები ვნახოთ, გემები! – სთხოვა პატარა რორამ.

ავრორამ რამდენჯერმე მოიარა ქალაქი თოჯინებთან ერთად. აჰა, როგორც იქნა, საძინებლიდან სოკრატეს ხითხითი მოესმა. ავრორამ თითა და რორა ხელში აიყვანა და მშობლების ოთახში შევიდა.

– მამა, გაიღვიძე, სოკრატემ ჩაისველა და მშიერია.

– ჰმმმ, – წაილუღლუღა მამამ.
– თითას უკვე გამოვუცვალე საფენები.

– ყოჩაღ, – შეაქო მამამ და იმწამსვე ჩაეძინა.

– გამოსაცვლელი მაგიდა მზადაა, – არ მოეშვა ავრორა, – უნდა ადგე, თორემ დღის გეგმას ვერ შეასრულებ.

როგორც კი მამას სიტყვა "გეგმა" ჩაესმა, მაშინვე გამოფხიზლდა. მშვენიერი სია ჰქონდა ჩამოწერილი, რომელიც ვახშმობამდე უნდა მოესწრო:

06:30 – სოკრატესთვის საფენების გამოცვლა და მარიას-თან მიყვანა;

შხაპის მიღება და ტანსაცმლის ჩაცმა;

ყავის ადუღება და საფენების გამოხარშვა;

ავრორას დახმარება, თუ საჭირო გახდა;

საუზმის მომზადება;

სოკრატეს მარიასთვის გამორთმევა და დაბოყინებაში მიხმარება.

სანამ მარია აბაზანაშია, სოკრატეს ეტლში ჩაწვენა;

საწოლების გასწორება და ოთახების განიავება, სანამ ავ-რორა სოკრატეს მისაღებ ოთახში ასეირნებს;

სოკრატეს საძინებელში შეყვანა;

საუზმობა, საგზლის მომზადება;

ნასაუზმევის ალაგება, სანამ ავრორა მარიას მანქანამდე მიაცილებდეს;

იატაკის მოწმენდა და ოთახის განიავება;

ავრორასთვის ზღაპრის მოყოლა;

ათი საათის გამოცვლამდე ერთსაათიანი მუშაობა;

ათი საათის გამოცვლა, საფენების გამოხარშვა;

თუ კარგი ამინდია, სოკრატეს ეტლით აივანზე გაყვანა;

ორსაათიანი მუშაობა;

პირველი საათის გამოცვლა, მეორე საუზმე;

ორსაათიანი მუშაობა სადილისწინა გამოცვლამდე.

ჩინებული გეგმა იყო, თუმცა ხან რა ხდებოდა, ხან რა, და მამაც ყოველთვის ვერ ახერხებდა გეგმის ბოლომდე შესრულებას. ამაზე ძალიან დარდობდა ხოლმე და ასეთ დღეებს "არეულ-დარეულ დღეებს" უწოდებდა.

ის დღეც სწორედ რომ არეულ-დარეული გამოდგა.

ჯერ იყო და, ზარი შუა საუზმობისას დარეკეს. მამას კართან ორი პატარა გოგო დახვდა.

– შეიძლება, აქ რომ ცხოვრობს, იმას ვეთამაშოთ?

მამა ერთი წამით დაიბნა, შემდეგ კი მიხვდა, ვისაც გულისხმობდნენ.

– ოჰ, თქვენ ავრორას ეძებთ? კი, კი, როგორ არა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ახლა ძალიან ადრეა.

– კარგი, მოგვიანებით შემოგივლით, – უთხრეს პატარა ქალბატონებმა და წავიდნენ.

მამა ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, დააბნია, თუმცა საუზმეს ჩვეულებისამებრ მიუბრუნდა. დედა რომ გასასვლელად მოემზადა, ავრორამ მისი გაცილება აღარ ისურვა.

– ხელს არ დამიქნევ, ავრორა? – ჰკითხა დედამ.

– მირჩევნია, ფანჯრიდან დაგემშვიდობო. აქედანაც კარგად ჩანხარ. მანამდე გიქნევ ხელს, სანამ მანქანა თვალს არ მიეფარება.

– მაინც რატომ არ მომყვები? – ჩაეკითხა დედა, – ხომ სახალისოა, ერთად რომ ვმგზავრობთ ხოლმე ლიფტით? თანაც, თუ კიბეს ფეხით ამოივლი, ღონიერი ფეხები გექნება.

– იცი, ქვემოთ ერთი ბიჭი ცხოვრობს... – აღიარა კვლავ ავრორამ.

– ო, გასაგებია, – თავი დაუქნია დედამ, – მხოლოდ იმიტომ გეშინია მისი, რომ ჯერაც არ იცნობ. მაშ, კარგი, ჩემო პატარავ, ფანჯრიდან გადმომხედე. ვნახოთ, მე თუ დაგინახავ დაბლიდან.

ავრორა ფანჯარასთან დადარაჯდა. ამ ამბავმა მამას გეგმები აურია, რადგან, ჩვეულებისამებრ, ჭურჭლის რეცხვისას სწორედ იმ ფანჯარას აღებდა ხოლმე. თანაც, ისიც აფიქრებდა, ვაითუ ერთმანეთი ვერ დაინახონო.

– ვხედავ! – დაიჭყივლა ავრორამ, – ძალიან შორს ჩანს, მაგრამ ვხედავ! მოდი, შენც გადახედე, მამა.

რაღა ექნა მამას, მივიდა და ფანჯრიდან გაიჭყიტა. დედა ჭიანჭველასავით პატარა ჩანდა, თუმცა შორიდან მაინც გაირჩეოდა. როგორც ჩანს, არ იყო დარწმუნებული, მეათე სართულიდან ხედავდნენ თუ არა, ამიტომ ხელებს გამალებით იქნევდა. ბოლოს ჩანთა მოიხსნა და ისე დააბზრიალა ჰაერში, კარუსელი გეგონებოდათ.

უეცრად მამამ სამზარეულოს მაგიდაზე დარჩენილ საგზალს მოჰკრა თვალი...

სასწრაფოდ სტაცა ხელი და აივანზე გავარდა. ახლა უკვე მამა იქნევდა ხელებს, თანაც ისეთი გამწარებით, რომ დედა გაოცებისგან გაშეშდა. მაშინღა მიხვდა, რა მომხდარიყო, როდესაც მამამ საგზლის შეკვრა გადაუგდო. შეკვრა სწრაფად დაეშვა ქვემოთ, მაგრამ გზად კურსი შეიცვალა და მიწაზე დავარდნის ნაცვლად ერთ მაღალ ხეს შერჩა.

ალბათ ასე იქნებოდა ტოტებშუა გაჩრილი, სანამ ყვავი ან კაჭკაჭი არ წაიღებდა ბუდეში.

მამამ ხელებით სცადა, აეხსნა დედასთვის, პურს ხელახლა დავჭრიო. დედამ თავი დაუქნია და მანქანის გათბობას შეუდგა.

ამასობაში მამა სამზარეულოში შევარდა და სიჩქარეში ყველაზე უცნაური საგზალი გამოიგონა, რაც კი ავრორას ოდესმე ენახა. შემდეგ ლიფტს მიაშურა და სულ მალე დაბლა იყო, დედას ჩაეხუტა და გაამგზავრა. წასვლამდე დედამ ავრორას კიდევ ერთხელ დაუქნია ხელი. მამა ელვის სისწრაფით ამოქანდა სახლში, რადგანაც თავის განრიგს არ უნდა ჩამორჩენოდა. ბევრი მამა ამ დროს სამსახურში მიდიოდა, ზოგი მათგანი მორიდებით ემშვიდობებოდა თავისიანებს, შემთხვევით სხვას

არ დავუქნიო ხელიო. ზოგი ჯერ მანქანაში ჯდებოდა და ძრავას ქოქავდა. მანქანების გამონაბოლქვისგან გარშემო რუხი კვამლი დგებოდა ხოლმე. სულ მალე მამები თავ-თავიანთ საქმეებზე წავიდოდნენ. უცნაური იყო, რომ ქალაქში მიმავალ ამდენ ადამიანს შორის დედა ერთადერთი იყო, რომელიც ვახშამამდე შინ არ დაბრუნდებოდა.

მამა რომ სახლში ამოვიდა, ავრორა ფანჯარასთან დაუხვდა.

– ახლა ყავას დავისხამ, ავრორა, და ერთ ამბავს მოგიყვები. ჰო, მართლა, დილაადრიან ორი პატარა გოგო გვესტუმრა, შენთან თამაში უნდოდათ. მოგვიანებით გამოგვივლიან, გაჰყევი და ერთად ითამაშეთ.

– არა მგონია, გავყვე, – თქვა ავრორამ, – იმ ბიჭის შიშით აღარასდროს გავალ გარეთ.

– ამ სამყაროში ყოველთვის მოიძებნება ისეთი ხალხი, რომელსაც ჩხუბისა და აურზაურის ატეხა სურს. სწორედ ამის შესახებ უნდა მეამბა: ძველ საბერძნეთში ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად პერიკლე. სოკრატემდე დიდი ხნით ადრე...

– ჩვენს სოკრატემდე?

– ძალიან დიდი ხნით ადრე, – განაგრძო მამამ, – პერიკლე გონიერი და ნიჭიერი კაცი იყო და ეს ამბავი ზოგს სულაც არ ახარებდა. ერთხელაც პერიკლეს ერთი კაცი მიადგა და დილიდან საღამომდე სულ ლანძღვა-გინებით აიკლო. პერიკლეს ამის გამო თავისი საქმე არ შეუწყვეტია. რომ მოსაღამოვდა, შინისკენ გაეშურა. ის ავი კაციც ყვირილით დაედევნა უკან. შინ

რომ მივიდა, პერიკლემ მსახურს უთხრა, ჩირაღდანი აანთე, რომ ამ სიბნელეში ის კაცი არ წაიქცესო. აი, ხომ ხედავ, ყველაფრის მიუხედავად, პერიკლე მას თავაზიანად და კეთილად მოექცა.

– იმას გულისხმობ, რომ კნურეს თუ შევხვდი, უხეშად რომც დამელაპარაკოს, ჯიბის სანათი უნდა მოვიმარჯვო და სახლამდე მივაცილო? – დაიბნა ავრორა.

– ჰო, ასეც შეიძლება, – მიუგო მამამ, – ახლა კი ჯობია, სოკრატესთან შეხვიდე და დაარწიო. მგონი, უგუნებოდაა.

ავრორა საძინებელში შევიდა და სოკრატეს დაუყვავა. ამ დროს კარზე ზარი გაისმა. კვლავ ის ორი გოგონა იყო. ერთი ავრორას ტოლი ჩანდა, მეორე ცოტა უფროსი იქნებოდა.

– თუ შეიძლება, ცოტა ხანს თქვენთან შემოვალთ, – სთხოვა ერთმა გოგონამ და მეორეზე ხელით ანიშნა, – ამის დედა მაღაზიაშია ჩასული.

– ჰმმ, კარგი, – უთხრა მამამ, – ახლა სამუშაოს უნდა მივბრუნებოდი, მაგრამ ცოტა ხნით კი მიგიღებთ. ამასობაში ავრორასაც გაიცნობთ და ერთად გაგიშვებთ სათამაშოდ.

– რა კარგია, – გაუხარდა უფროსს.

– აბა, რა გქვიათ? – შეეკითხა მათ მამა.

– მე ნუსე, ამას კი ბრიტ-კარენი, – უპასუხა ერთ-ერთმა და მამას წინსაფარს მიაშტერდა.

მამამ შეშფოთებით დაიხედა წინსაფარზე, დასვრილი ხომ არ მაქვსო. არა, წინსაფარი გუშინ გარეცხეს, ახლაც მხოლოდ წყლის ლაქები ჰქონდა, ჭურჭლის რეცხვისას რომ მიეწუწა.

– ავრორა! – გასძახა მამამ, – სტუმრები მოგივიდნენ, – ეს ნუსეა, ეს კი ბრიტ-კარენი. ხომ სწორად დავიმახსოვრე?

– დიახ, – მიუგო ნუსემ, რომელმაც, როგორც იქნა, წინსაფარს თვალი მოსწყვიტა და მისაღები ოთახი მოათვალიერა.

– თქვენ, რა, ტახტი არა გაქვთ? – იკითხა ბოლოს.
მამა წამით დაიბნა, შემდეგ ზრდილობიანად გაუღიმა:

– არა. სამაგიეროდ, ბაღის სკამებზე ჯდომა ძალიან მოსახერხებელია.

– არც ტელევიზორი გაქვთ? – ახლა ბრიტ-კარენმა ჰკითხა.

– არა, სამაგიეროდ, პიანინო გვიდგას. არც ისე ცუდია, არა?

– ჰო, არც ისე ცუდია. უცნაური მანქანა კი გყავთ!

– ჯობია, შემოხვიდეთ და ავრორასთან ითამაშოთ, მე კი სამუშაოს მივხედავ.

ავრორას ლამაზი ოთახი ჰქონდა. კედელზე თავისი და მამას ნახატები ჩამოეკიდა. მამას ძველეგვიპტური პირამიდები და ხალხი დაეხატა. ავრორას ნახატზე კი მანქანაში მჯდარი

დედა, მამა და სოკრატე იღიმებოდნენ. იქვე იდგა ქალაქის სახლი, რომელშიც ადრე ცხოვრობდნენ. კიდევ კარგი, ნახატზე მაინც შემორჩა.

– რამდენი უცნაური ნივთი გქონიათ, – თქვა ნუსემ, – თოჯინის ეტლი თუ გაქვს?

– მაქვს, თანაც დიდი! – მიუგო ავრორამ, – სანამ სულ პატარა ვიყავი, შიგ მე მაწვენდნენ. სოკრატე რომ გაჩნდა, ბებომ ახალი გვაჩუქა.

– რა ბედნიერი ხარ, ბებო რომ გყავს. მე მხოლოდ ბებია და ბაბუა მყავს, ბებო – არა.

– ეგ ხომ ერთი და იგივეა. ჩემი ბებო მამის დედაა.

– ტირილტოპენზე ცხოვრობს? – ჰკითხა ბრიტ-კარენმა.

– არა, ისე შორს ცხოვრობს, მანქანით რამდენიმე საათით უნდა იმგზავრო, სტუმრად რომ მიხვიდე.

– რა ცუდია, – ტუჩი აიბზუა ნუსემ.

– აქ ნათესავები არა გყავს? – როგორც იქნა, ეტლს თვალი მოაცილა ბრიტ-კარენმა.

– როგორ არა, ორი მყავს. მათ სოკრატესთან ერთად სძინავთ ხოლმე ოთახში და დასვენების საათებში არ უნდა შევაწუხო.

– მოდი, ოჯახობანა ვითამაშოთ, – მოიფიქრა ნუსემ, – დედა მე ვიქნები.

– მე მამა ვიქნები, – თქვა ბრიტ-კარენმა, – ავრორა შენ შვილი იყავი, ბევრი ლაპარაკი არ დაგჭირდება.

– დილა მშვიდობისა, ცოლო, – დაიწყო ბრიტ-კარენმა, – სამსახურში მივდივარ. გთხოვ, ჩემი ლურჯი პიჯაკი დამიუთოო.

– რა თქმა უნდა, დაგიუთოებ, – მიუგო ნუსემ და "ქმარს" კარი მიუკეტა, – ოჰ, რა კარგია, როც ქმარი სამსახურში მიდის! – დაამატა ხელების ფშვნეტით.

ავრორამ ამის გაგონებაზე თვალები დააჭყიტა.

– ასეა, ასე, – განაგრძო ნუსემ, – ვიღაც ხომ უნდა დარჩეს და სახლის საქმეები აკეთოს. მოდი, ჯერ ჩავალ და ჟურნალს ვიყიდი. შვილო, შენ შინ დარჩი, თორემ, რომ წაგიყვანო, ტკბილეულის ყიდვას მომთხოვ. იცოდე, კარი არავის გაუღო.

– კარგი, – თქვა ავრორამ.

– ვითომ ფანჯარასთან დგახარ და მიყურებ, – დაარიგა ნუსემ,– მერე წამოიტირე. შინ რომ მოვალ, გაიცინე.

– ოჰ, – ამოიოხრა ავრორამ და ფანჯრიდან ნაძვებს გადახედა. ერთ-ერთ მათგანზე ჯერაც ჩამოკონწიალებულიყო საგზლის შეკვრა.

მისაღებ ოთახში ბრიტ-კარენი მანქანას დაატარებდა – "სამსახურში მიდიოდა", სააბაზანო კი ნუსეს მაღაზიად ქცეულიყო.

– არა, პატარა ქალბატონო, აქ მანქანის ტარება არ შეიძლება, – უთხრა ბრიტ-კარენს მამამ და გოგონა ავრორას ოთახში დააბრუნა. გზად ნუსეც გამოიყოლა.

ავრორა ჯერაც ფანჯარასთან იდგა და იცდიდა. მათი დანახვისას თვალები გაუბრწყინდა.

– ახლა უნდა იტირო, – უკარნახა ნუსემ, – და უნდა მითხრა: "დედა, დედა, რა კარგია, რომ მოხვედი!"

– არა, ამას არ ვიტყვი. აღარ მინდა თამაში.

– კარგი. გარეთ არ გამოხვალ? ბრიტ-კარენ, დედაშენი მაღაზიიდან ბრუნდება, ჯობს, გავიქცეთ. კარგად, ავრორა! ჰო, მართლა, შეიძლება საძინებელში შევიხედოთ? მაინტერესებს, ჩვენნაირი ავეჯი თუ გაქვთ.

– არა, საძინებელში სოკრატეს სძინავს, იქ შესვლა არ შეიძლება.

საბედნიეროდ, ამ დროს მამა დაბრუნდა.

– აბა, პატარა ქალბატონებო, წასვლას აპირებთ?

– წინსაფარი აღარ გიკეთია? – შენიშნა ნუსემ.
– არა, ახლა სხვა სამუშაოს შევუდექი და წინსაფარი აღარ მჭირდება.

– რა სამუშაოს აკეთებ? – ჩაეკითხა ნუსე, – სახლში სადურგლო გაქვს?

– არა, ისტორიას ვკითხულობ, – მიუგო მამამ.

– ოჰ, რა სამუშაო ეგაა, – გადაიხარხარა ნუსემ, – დედაჩემი სულ კითხულობს ისტორიებს თავის ჟურნალებში.

– ჟურნალებში სხვა ისტორიები წერია, თუმცა, ვისაც რა მოსწონს, ის უნდა იკითხოს, – უთხრა მამამ.

– იქნებ, ერთხელ შენც იშოვო სამსახური, – გაამხნევა მამა ნუსემ.

მამას გაეღიმა.

– გმადლობ გამხნევებისთვის. თუ შეიძლება, დღისით ნუღარ მოხვალთ, ამ დროს ვმუშაობ ხოლმე. გარეთ თამაში კი თავისუფლად შეგიძლიათ.

– ჰო, თანაც თქვენი სახლი უკვე დავათვალიერეთ, – განაცხადა ნუსემ, – ნახვამდის! – გოგოებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და გაიქცნენ. გზაში უკან გამოიხედეს და ჩაიცინეს.

– აი, ნახავ, ბავშვებს რომ გაიცნობ, აღარ მოიწყენ ხოლმე, – უთხრა მამამ ავრორას.

– მართალია. მაგრამ, მირჩევნია, თავად მოვძებნო ისინი, ვისთანაც თამაში მინდა.

– რა თქმა უნდა, უფლება გაქვს, თავად აირჩიო მეგობრები. თუმცა, როგორც წესი, ნებისმიერი ნაცნობობა კარგად მთავრდება ხოლმე.

ავრორამ მეორე დღესვე მონახა ის, ვისთან მეგობრობაც მოუნდა. თუმცა, თავადაც გაოცებული იყო, სწორედ იმ ბავშვს რომ დაუმეგობრდა.

უცნობი აივანზე

იმ დღეს მამამ და ავრორამ ადრიანად წაიხემსეს.

– იმედია, აღარ მოვლენ, – თქვა ავრორამ.

– ასე ნუ იტყვი, – მიუგო მამამ, – ჯერ ხომ კარგად არ იცნობ. ახალი ადამიანების გაცნობას დიდი დრო სჭირდება.

– ის ორნი ერთმანეთს კარგად იცნობენ, მე კი – არა.

– ადამიანები უცნაური არსებები არიან, – უთხრა მამამ, – ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში უამრავი საოცარი თავგადასავალი გადაგვხდება ხოლმე და ბევრ თავსატეხსა და საფიქრალს გვიჩენს.

– მამა, რა რთულად ლაპარაკობ, – შენიშნა ავრორამ.

– სულაც არა. ავიღოთ, მაგალითად, თუნდაც ჩვენი კორპუსი. რამდენი ადამიანია, რამდენი საოცარი...

– განსაკუთრებით ის ბიჭი, კნურე რომ ჰქვია.

– დარწმუნებული იყავი, რომ მასაც ეშინია რაღაცის, – თქვა მამამ, – დაფიქრდი ამაზე, კიდევ რომ გადაეყრები.

– აღარასდროს გადავეყრები. იმიტომ, რომ გარეთ არასდროს გავალ, – განაცხადა ავრორამ.

– აუცილებლად გახვალ!

– შენ არ შეგაწუხებ, მამა, – უთხრა ავრორამ, – ჩუმად ვიჯდები ოთახში და იმ საგზალს გადავხედავ, ტოტებშუა რომ გაიჭედა.

– ო, არა, ასე არ ივარგებს, – თავი გადაიქნია მამამ, – ამ ყველაფერს იმიტომ კი არ გეუბნები, რომ შენი აქ ყოფნით ვწუხდები, არამედ იმიტომ, რომ მინდა, სუფთა ჰაერზე გახვიდე. ნახევარ საათს გარეთ თუ გაისეირნებდი, სამუშაოს მოვამთავრებდი და სოკრატესთან ერთად ჩამოგაკითხავდი. იქნებ სამივეს ერთად გაგვესეირნა?

– კარგი, მაშინ ჩავალ და, თუ რამეა, ვიტყვი, მამას ველოდები-მეთქი, – მოიფიქრა ავრორამ.

– თითას და პატარა რორასაც ჩაიყვან? თუ მანქანას? – ჰკითხა მამამ.

– მანქანას, – მიუგო ავრორამ, – მანქანით თამაში ხომ ყველგან შეიძლება, – ავრორას მანქანა ქურთუკის ჯიბეშიც მშვენივრად ეტეოდა.

– მგონი, ჯობია, ქუდი დაიხურო, რომ ყურებზე არ შეგცივდეს, – დაარიგა მამამ.

ავრორა გასასვლელად გაემზადა, მაგრამ სადარბაზოში გასულმა ნაბიჯი შეანელა.

– რა მოხდა? – ჰკითხა მამამ, – ოჰ, მგონი, ვხვდები. მოდი, ლიფტით ჩაგაცილებ, ასე კიბეების ჩავლა არ მოგიწევს.

– რა კარგია, – გაუხარდა ავრორას, – თანაც ლიფტიდან პირდაპირ ქვემოთ ჩავალ და იმ ბიჭს აღარ გადავეყრები.

მამას მხოლოდ პერანგი და შარვალი ეცვა. ლიფტით ჩასვლა-ამოსვლისას არ შემცივდებაო, იფიქრა, ამიტომ უპალტოოდ გავარდა გარეთ და კარი მოიჯახუნა. სადარბაზო იმხელა იყო, სირბილი თავისუფლად შეიძლებოდა. მამამ ისიც კი ინატრა, ნეტა გორგოლაჭებით სრიალი შეგვეძლოსო.

ლიფტში რომ შევიდნენ, ღილაკს თითი ავრორამ მიაჭირა.

– ხომ ხედავ, ლიფტით მგზავრობაში რთული არაფერია. აქაურობას რომ მიეჩვევი, ყოველდღე ლიფტით იმგზავრებ.

მამამ ავრორა ჩააცილა და სახლში დაბრუნდა. ავრორა კორპუსის წინ შეჩერდა და მიმოიხედა.

გარეთ ბევრი ბავშვი ირეოდა. ყველანი რაღაცით ერთობოდნენ და მისი გამოჩენა არც კი შეუმჩნევიათ. ავრორა ქვიშის მოედანთან მივიდა, სადაც რამდენიმე პატარა იჯდა და საქმიანად აგროვებდა ქვიშას ნიჩბით. ყრიდნენ და ოხრავდნენ, ნამდვილად დამღლელი იყო ქვიშის შეგროვება. ავრორამ პატარა ფანერი იპოვა და ზედ მანქანა გადაატარა. მანქანა მარჯვედ მიიკვლევდა გზას და თუ სადმე ქვიშას წააწყდებოდა, ცხვირით ყრიდა გვერდზე. მალე ქვიშაში ლამაზი კლაკნილი გზები დაიხატა.

– გოგო რომ ხარ, მანქანით რატომ თამაშობ? – გაისმა ვიღაცის ხმა.

ავრორამ აიხედა და ნუსესა და ბრიტ-კარენს წააწყდა. ისეთი გალამაზებულები იყვნენ, გოგონას მათი ნათქვამი სულ გადაავიწყდა. პატარა ქალბატონებს ჰგავდნენ. ნუსეს თმა დაეკულულებინა.

– ქალაქში მივდივართ ნუსეს დედასთან ერთად, – განაცხადა ბრიტ-კარენმა.

– მე თმა დავიხვიე, – მხარი აუბა ნუსემ.

– ჰოოო... – ავრორამ ახლა ბრიტ-კარენი შეათვალიერა. მას ჩანთა გადაეკიდებინა, კაშკაშა წითელი პალტო, წითელივე ქუდი და თეთრი ბოტები ეცვა.

– წვეულებაზე მიდიხართ? – ჰკითხა ავრორამ.

– არა, ქალაქში უნდა გავისეირნოთ. წასვლამდე ყოველთვის ასე ვიპრანჭებით ხოლმე.

– ჰოოო...

– მანქანით რატომ თამაშობ? შენ ხომ გოგო ხარ? – გაუმეორა ნუსემ.

ავრორა დაფიქრდა და უპასუხა:

– დიდი ქალებიც ხომ ატარებენ მანქანას, მე რატომ არ უნდა ვითამაშო?

– ჰმმ, მართალი ხარ, – თქვა ბრიტ-კარენმა, – რამდენჯერაც მანქანით თამაში მოვინდომე, დედამ მითხრა, თოჯინები სჯობიაო. მათხოვებ?

– რა თქმა უნდა, – მიუგო ავრორამ, რომელიც გაპრანჭულ გოგოებს თვალს ვერ სწყვეტდა.

ბრიტ-კარენმა მანქანა ქვიშაში გაატარა.

– ახლა ჩემი ჯერია! – მოუნდა თამაშში ჩაბმა ნუსესაც და ქვიშაში მონდომებით ჩაიმუხლა.

– ნუსე, დედაშენი მოდის!

ავრორამ კორპუსისკენ გაიხედა. იქიდან გამოსული ქალი ამ გოგოებივით ლამაზი იყო. ქალმა ნუსეს რომ მოჰკრა თვალი, ძალიან გაბრაზდა.

– შენ რა, კიდევ დაისვარე ტანსაცმელი? აბა, ფეხებზე დაიხედე!

ნუსემ თავი ჩაქინდრა. ბრიტ-კარენიც დაღონდა.

ავრორამ თავი უხერხულად იგრძნო, ჩემი ბრალიც არისო, ამიტომ ნუსეს დედასთან მივიდა და დაამშვიდა:

– მამაჩემი ამბობს ხოლმე, ქვიშა მალე შრებაო. ჩამობერტყავთ და სულ ესაა.

ქალმა ავრორას დახედა.

– შენ ჩააგდე, არა, ჩემი შვილი ქვიშაში? ნუსე, გამოცვლის დრო აღარ გვაქვს, ასევე უნდა წამოხვიდე, – განაცხადა მან და ბრაზიანი ნაბიჯებით გაეშურა მანქანისკენ.

ნუსე და ბრიტ-კარენი შიშისგან დაპატარავდნენ და უწინდელი სილამაზე ერთიანად დაკარგეს. ავრორამ იგრძნო, რომ ამ ამბის შემდეგ გოგოები უკეთ გაიცნო.

ნეტა როდის ჩამოვიდოდა მამა? ავრორამ მაღლა აიხედა. ნაძვზე საგზლის შეკვრა აღარ კონწიალებდა, ალბათ რომელიმე ფრინველს წაეღო. ავრორამ თვალი აივნებსა და ფანჯრებს ააყოლა და უეცრად პირი დააღო... ერთი აივნიდან მეორემდე კიბე გაედოთ, ხოლო ეს მეორე ნამდვილად ავრორას აივანი იყო. კიბეზე ვიღაც მიცოცავდა, ვიღაც უცნობი! ქურდი იქნებოდა! ვინ იცის, მამა სამზარეულოში იჯდა და კითხულობდა, ეს ქურდი კი შეუმჩნევლად შეიპარებოდა სახლში. თანაც კითხვისას მამას არაფერი ესმოდა ხოლმე. ან იქნებ საძინებელში იყო შესული და სოკრატეს ტანსაცმელს უცვლიდა? თუ თავისებურად ზუზუნებდა, ქურდის შემოსვლას ნამდვილად ვერ გაიგებდა.

ავრორა წამოხტა, ქვიშიან მანქანას ხელი დაავლო და ჯიბეში იტაცა. ჯერ იფიქრა, ლიფტით ავალო, მაგრამ მარტოს შეეშინდა. სხვა გზა არ იყო, კიბით უნდა ასულიყო. მთელი ათი სართული უნდა აევლო. თუ არ იჩქარებდა, ქურდი სახლში შეასწრებდა.

ისე სწრაფად არბოდა, ძლივსღა სუნთქავდა.

მეოთხე და მეხუთე სართულებს შორის ვიღაც დახტოდა. ფეხებშეტყუპებული ხან ერთი საფეხურით მაღლა ასკუპდებოდა, ხან დაბლა.

ეს კნურე იყო. ავრორას დანახვით გაოცებულმა ბიჭმა ძლივს ამოღერღა:

– ღმერთო ჩემო, ასეთი სისწრაფით სად მიქრიხარ?

– ვიღაც კაცი ჩვენს ბინაში აპირებს შეპარვას! – ამცნო ავრორამ.

გული ამოვარდნაზე ჰქონდა და ძლივს სუნთქავდა. კნურე ავრორას დაედევნა და მალე გაუსწრო. უცნაურია, მაგრამ გოგონას სულაც აღარ ეშინოდა მისი.

ავრორას უკვე ძალა ეცლებოდა. საბედნიეროდ, კნურემ ხელი ჩაჰკიდა და ასვლაში მიეხმარა.

მეათე სართულზე რომ ავიდნენ, კნურემ თქვა, ჩუმად მივეპაროთ, რომ არ გაგვიგოსო. ავრორა დაეთანხმა. კიბის ბოლოდან ყველაფერი კარგად ჩანდა. მათი კარის წინ კაცი იდგა.

– ეგ არის? – დაიჩურჩულა კნურემ.
– არა, ეს მამაა. ალბათ ქურდს უსაფრდება. საწყალი სოკრატე, მარტო დარჩა!

უეცრად კარი გაიღო და იქიდან ლურჯ კომბინეზონში ჩაცმული კაცი გამოვიდა.

– ესეც ასე, – თქვა უცნობმა.

– დიდი მადლობა! – უთხრა მამამ, – ძალიან დამეხმარეთ. იმედია, თქვენი შეწუხება აღარ მომიწევს.

– კარი ჩაჰკეტვია და გარეთ დარჩენილა, – დაასკვნა კნურემ.

– ასეა, – დაეთანხმა მამა, – ავრორა, გასაცილებლად რომ ჩამოგყევი, სიჩქარეში სულ დამავიწყდა გასაღების წამოღება. ამიტომ შენობის დარაჯს ვთხოვე დახმარება. საბედნიეროდ, სახლში აღმოჩნდა. მიესალმე, ავრორა, ის ჩვენს კორპუსს უვლის.

დარაჯმა ავრორას ხელი ჩამოართვა, კნურეს კი თავი დაუკრა.

– ერთმა პატარა არსებამ იქაურობა ტირილით აიკლო, – გაუღიმა მათ და წავიდა.

მამა სახლში შევარდა და სოკრატე ხელში აიტაცა. პატარა მაშინვე დამშვიდდა, თითქოს სულაც არ უტირიაო.

– ავრორა, შინ ხომ არ დარჩებოდი? როგორ გაოფლილხარ! – თქვა მამამ.

– ისე მწყურია! – დაიჩივლა ავრორამ, – კნურესაც მოსწყურდებოდა.

– ეს მშვენიერი ყმაწვილი ვინაა? – იკითხა მამამ.

– ეს ის ბიჭია, ადრე კიბეზე რომ შემხვდა, – გაახსენა ავრორამ.

– ეს ისაა, ფარნით ხელში სახლამდე რომ უნდა მიაცილო? – გაეხუმრა მამა.

– არა, არა, – უპასუხა ავრორამ, – კიბეზე ამოსვლაში დამეხმარა, გვეგონა, ქურდი იპარებოდა სახლში.

– გასაგებია, – თქვა მამამ, – წვენზე ხომ არ დაგვეწვევი? შემახსენე, რა გქვია?

– კნუტი მქვია, მაგრამ ბიჭები კნურეს მეძახიან.

– კარგი, კნუტ, აბა, შემოხვალ? – შეიპატიჟა მამამ, თუ ჯერ მშობლები უნდა გააფრთხილო, რომ ჩვენთან მოდიხარ?

– სახლში არავინაა, – თქვა კნუტმა, – შემოვალ, თუ შეიძლება.

– შემოდი, – უთხრა ავრორამ.

– მგონი, პირველი საათის გამოცვლამდე ვერ გავისეირნებთ, – თქვა მამამ, – მანამდე კი სახლში ითამაშეთ.

კნუტმა ფეხსაცმელი გაიხადა, კარის წინ დააწყო და ჩაფიქრებით თქვა:

– სახლში შემოვიტან და გაზეთზე დავაწყობ, თორემ ყველა დაინახავს, რომ აქ ვარ.

– როგორც გინდა, – მიუგო მამამ.

კნუტს ძალიან მოეწონა ავრორას ნახატები. მისი სამი სათამაშო მანქანის დანახვამ კი საოცრად აღაფრთოვანა.

ავრორამ ჯიბიდან პატარა მანქანა ამოიღო. სათამაშოს ბლომად ქვიშაც გამოჰყვა და იატაკზე დაიბნა.

– აქანდაზი ხომ გაქვთ? – ჰკითხა კნუტმა და მაშინვე სამ-ზარეულოდან ცოცხი და აქანდაზი მოარბენინა, რომ იატაკი მოესუფთავებინა.

მამამ სოკრატე აბაზანაში მოაწესრიგა და სულ მალე კარში გამოჩნდა.

– ავრორა, იქნებ სოკრატეს ბოთლი მისცე, სანამ მე წვენ-სა და ბანანებს გაგიმზადებდეთ.

მამას კვლავ გაეკეთებინა წინსაფარი, თუმცა ეს ამბავი კნუტს სულაც არ გაჰკვირვებია. იდგა და სოკრატეს დაჰყურებ-და.

– მართლა სოკრატე ჰქვია?

– კი, – უთხრა ავრორამ, – ასე იმიტომ ჰქვია, რომ მამას ძალიან მოსწონს ძველი საბერძნეთის ამბები. სოკრატე ბრძენ-კაცი იყო.

– არ ვიცოდი, – უთხრა კნუტმა.

– ოდესმე მოგიყვება მასზე, – დაამშვიდა ავრორამ, – ახ-ლა კი ცოტა ხანს ვეღარ ვილაპარაკებთ, სოკრატეს სიჩუმეში უყვარს ჭამა.

– მაშინ, თუ წინააღმდეგი არ იქნები, მანამდე საშინაო დავალებებს მოვამზადებ. მომწონს, როდესაც სხვისი თანდას-წრებით ვმეცადინეობ.

– რა თქმა უნდა, მიდი, – თავი დაუქნია ავრორამ.

კნუტი წიგნებიანად მოკალათდა იატაკზე, ავრორა კი საწოლზე ჩამოჯდა და სოკრატეს ბოთლი მისცა. საკუთარ თავზე ეცინებოდა, ამ ბიჭისა როგორ შემეშინდაო.

უეცრად კნუტმა წიგნიდან ამოიხედა.

– იცოდე, აქ რომ ვარ, საიდუმლოა. არ მინდა, ხმა დამიყარონ, გოგოებთან თამაშობსო.

– კარგი... – მიუგო ავრორამ, – ლიფტით რატომ არ მგზავრობ?

– თავიდან არ მომწონდა, მერე კი გადავწყვიტე, ფეხით ასვლისას მევარჯიშა, – აუხსნა კნუტმა, – ზოგჯერ ორ სართულს შორის საფეხურებზე დავხტივარ. მხოლოდ ქვემოთ ჩავდივარ ხოლმე ლიფტით.

როგორც ჩანს, კნუტს ლიფტისა მართლაც არ ეშინოდა.

ამასობაში სოკრატე წოვდა და წოვდა. ბოთლის დაცლას დიდხანს მოუნდა, რადგან საწოვარას სულ პატარა ნასვრეტი ჰქონდა.

კნუტი იატაკზე გაშოტილიყო და წერდა, მერე ფიქრობდა, მერე ისევ წერდა.

მამამ წვენი და ბანანები მიუტანა. გაუკვირდა, ბიჭი რომ იატაკზე დაუხვდა.

– მოსწონს, სხვისი თანდასწრებით რომ მეცადინეობს ხოლმე, – აუხსნა ავრორამ.

– ახლა მეც წავიმეცადინებ, – გადაწყვიტა მამამ.

სოკრატეს კი თბილი ტანსაცმელი ჩააცვეს და თავის საწოლში ჩააწვინეს.

– გინდა, ამომყვე და ნახო, სად ვცხოვრობ? – შესთავაზა კნუტმა ავრორას, – კარგი იქნება, რომ იცოდე, სად მომაგნო, ვინ იცის, რაიმე დაგჭირდეს...

– კარგი, – დასთანხმდა ავრორა და ორი სართულით მაღლა აჰყვა ბიჭს.

კნუტი გრძელი ჰოლის ბოლოში მდებარე კართან გაჩერდა. ავრორამ წარწერაზე სახელები ვერ გაარჩია. უეცრად მიხვდა, რისაც ეშინოდა ამ გამბედავ ბიჭს. კნუტს ცარიელ სახლში დაბრუნება არ უნდოდა. მხოლოდ ზურგჩანთა შეაგდო შიგნით და კარი მაშინვე გამოიხურა.

– ესეც ასე, ახლა გარეთ გავალ. შეიძლება, სხვა დროსაც ჩამოვიდე თქვენთან?

– კი, როგორ არა, – გაუღიმა ავრორამ.

– მაინც, რას ნიშნავს?

– რა რას ნიშნავს?

– შენი სახელი...

– ავრორა განთიადის ქალღმერთს ერქვა ძველ რომში, – აუხსნა ავრორამ.

– ვაჰ! აბა, კარგად! – დაემშვიდობა კნუტი.

ავრორა აუჩქარებელი ნაბიჯით ჩავიდა მამასთან. როგორც იქნა, კორპუსში ერთი ადამიანი მაინც გაიცნო წესიერად. მართალია, მასთან გარეთ თამაში არ შეიძლებოდა, მაგრამ შინ ხომ მაინც იხალისებდნენ.

– მაშ, ასე, სახლშია ავრორა Z კორპუსიდან, – გაუღიმა მამამ ავრორას, – ახლა სოკრატე გავასეირნოთ.

სოკრატეს რომ ლაპარაკი შესძლებოდა, იტყოდა, სეირნობა დაგვიგვიანდაო. თუმცა, პატარა უხმოდ იწვა და საბნის ქვეშიდან შეფიქრიანებული გაჰყურებდა სამყაროს.

პატარა შავი ღრუბელი

მას შემდეგ, რაც ტირილტოპენზე გადასახლდნენ, მამა სურსათის მაღაზიას თავს არიდებდა ხოლმე. სხვა მაღაზიებში კი დადიოდა, აფთიაქშიც შესულა და წიგნის მაღაზიაც დაუთვალიერებია, მაგრამ საჭმელი ყოველთვის დედას მოჰქონდა ქალაქიდან.

სადაც ადრე ცხოვრობდნენ, იქვე, ახლოს ერთი ძველი, მყუდრო სურსათის მაღაზია იყო, გადაქექილი ხის დახლითა და ნაცნობი გამყიდველი ქალით, რომელიც უთქმელად ხვდებოდა, რის ყიდვასაც აპირებდნენ.

შობა მოდიოდა. ერთხელ დედამ თქვა, ყოველდღე სასამართლოში უნდა ვიარო და იქნებ საჭმელი თქვენ იყიდოთო.

– ამაზე უარესს ვერაფერს იტყოდი, – ამოიოხრა მამამ, – თუმცა დღეს მეტს მაინც ვეღარ წავიკითხავ და საყიდლებს როგორმე გავართმევთ თავს, არა, ავრორა?

– აბა რა, – მიუგო ავრორამ.

– ოთხ საათზე რომ გამოუცვლი, მერე ხომ მეტი დრო გექნება საყიდლებისთვის? – ჰკითხა დედამ.

– ასეა, – დაეთანხმა მამა, – მაგრამ იქნებ შეგვეკვეთა სურსათი? ან მანქანით მოგვეტანა?

– დღეს არა, ამას მხოლოდ ხვალ და ზეგ შევძლებთ.

– კარგი, კარგი, – დანებდა მამა.

მამამ სოკრატე თერთმეტ საათზე მოაწესრიგა. ფუმფულა სახვევში კარგად შეფუთა და ეტლში ჩააწვინა.

– საყიდლებზე წამოგვყვები. ჯობია, ახლავე შეეჩვიო.

სოკრატეს არ გაუპროტესტებია. რბილად იწვა, დანაყრებული იყო და არც მუცელი სტკიოდა. როგორც კი ლიფტიდან გამოაგორეს, თვალები მილულა და ჩათვლიმა.

ეტლში ძილი საწოლში ძილს გაცილებით სჯობდა, რადგან ეტლი სასიამოვნოდ ირწეოდა, თანაც მამასა და ავრორას ხმები უფრო ახლოდან ჩაესმოდა. სოკრატე მშვიდად იყო, როდესაც თავს ოჯახის წევრები დასტრიალებდნენ.

თორმეტი თვისა ვერც მოახერხებდა რამეზე დაწუწუნებას.

ჩაიღიმა და ფიქრებში ჩაიკარგა.

ეტლს ერთი მხრიდან ავრორა მიაგორებდა, მეორიდან – მამა. მის სახელურზე ჩანთა ეკიდა, რომელშიც ნავაჭრი უნდა ჩაეწყოთ. ჯერჯერობით შიგ მხოლოდ ცარიელი ბოთლები წკარუნებდა, გეგონებოდა, ეტლს ზანზალაკები ჰკიდიაო.

მაღაზიას რომ მიუახლოვდნენ, სოკრატეს თითქმის ეძინა. მაღაზიის წინ თხუთმეტიოდე საბავშვო ეტლი იდგა. შიგ პატარები იწვნენ და სულაც არ აპირებდნენ დაძინებას. ერთმა უცებ წამოიყვირა, კაცმა არ იცის, რატომ, მეორემ კი იმიტომ მორთო ტირილი, რომ ქუდი ცხვირამდე ჰქონდა ჩამოფხატული. ზოგს, ცოტა უფრო მოზრდილს, ეგონა, დედა კარს მიღმა გაუჩინარდაო. ზოგიერთი კი მხოლოდ იმიტომ ტიროდა, რომ სხვები ჭყიოდნენ. მოკლედ, მაღაზიის წინ ისეთივე კონცერტი გამართულიყო, როგორიც ექიმის მოსაცდელში. რამდენიმე წამში სოკრატეც ასლუკუნდა.

– ხომ არ ჰგონია, რომ კიდევ უნდა უჩხვლიტონ? – ჩაფიქრდა ავრორა.

– სწორი დაკვირვებაა, სოკრატეს ნამდვილად კარგი მეხსიერება აქვს. ჩემო ბიჭო, ხელში აღარავინ გიჩხვლეტს. მე და ავრორა მაღაზიაში შევივლით და საჭმელს ვიყიდით.

მისმა ნათქვამმა სოკრატე აშკარად ვერ დაამშვიდა, რადგან პატარამ ტირილს უმატა და სიბრაზისგან წამოწითლდა.

– ხომ არ ჯობია, მასთან დავრჩე, სანამ შენ ივაჭრებ? – ჰკითხა მამას ავრორამ.

– არა მგონია, კარგი აზრი იყოს, – მიუგო მამამ.

– იქნებ სოკრატე აქეთ-იქეთ გავასეირნოთ, სანამ ჩაიძინებდეს? – შესთავაზა ავრორამ.

– ო, ეგ კი ჩინებული აზრია, თანაც სხვა გზა არც გვაქვს, – დაეთანხმა მამა.

მამა-შვილმა მაღაზიის გარშემო გაასეირნა პატარა, მამა თავისებურად აზუზუნდა და მას დაუყვავა. ბავშვი კარგა ხანს ცდილობდა, თვალები არ დაეხუჭა, მაგრამ ბოლოს დანებდა და ძილს მისცა თავი. მამამ და ავრორამ ბოლო წრე დაარტყეს მაღაზიას და ტკბილად ჩაძინებული სოკრატე ატირებული პატარების ეტლებს შორის დატოვეს.

ავრორას ხშირად დაუთვალიერებია ამ დიდი მაღაზიის ვიტრინები. ხალხი აქეთ-იქით სავაჭრო ურიკებს დააგორებდა, რაც ძალიან სახალისო ჩანდა.

შიგნით რომ შევიდნენ, რაღაც აპარატის წინ დიდი რიგი შენიშნეს.

– ეს ცარიელი ბოთლების ჩამბარებელი აპარატია, – გადაუჩურჩულა მამას ავრორამ.

– იქნებ ჩვენი ბოთლები ვინმეს მივაწოდოთ? – შესთავაზა მამამ.

– არა, არა, ბოთლები აპარატის ხვრელში უნდა შევუშვათ.

– ჰო, მაგრამ, არ ვიცი, მისი მექანიზმი როგორ მუშაობს.

– ვნახოთ, სხვები როგორ აკეთებენ და ჩვენც ვისწავლოთ, – შეაგულიანა ავრორამ, – მანქანის ტარებასავითაა, მამა, აპარატსაც აქვს გადამრთველი, ხომ ხედავ?

მამასთვის ეს სიტყვები დიდი ვერაფერი ნუგეში იყო, რადგან მანაქანის ტარება ჯერაც არ ესწავლა. მანქანა რომ იყიდეს, მხოლოდ მართვის მოწმობისთვისღა დარჩათ ფული და რადგანაც დედას ყოველდღე ქალაქში უნდა ევლო, მოწმობაც მან აიღო.

აპარატში ბოთლებისთვის ექვსი სხვადასხვა ზომის ხვრელი იყო დატანებული. რძის ბოთლისთვის – დიდი, ლუდის ბოთლებისთვის – საშუალო, ხოლო წვენის ბოთლებისთვის პატარა ხვრელები იყო გამოყოფილი.

მამა და ავრორა რიგში მდგომებს აკვირდებოდნენ, რომ აპარატის ხმარება ესწავლათ. ჯერ გადამრთველი მარჯვნივ უნდა გადაეწიათ, შემდეგ ბოთლი ხვრელში მოეთავსებინათ. მერე კი გადამრთველი მარცხნივ უნდა დაებრუნებინათ და აპარატიდან ქვითარი აეღოთ. იქნებ ამ მაღაზიაში შესასვლელად ბილეთია საჭიროო, გაიფიქრა ავრორამ. ამასობაში მათი ჯერიც მოვიდა. მამამ რძის ბოთლები დიდ ხვრელში მოათავსა და გადამრთველი გადასწია. კმაყოფილი ჩანდა, რომ ყველაფერი სწორად შეასრულა. შეგულიანებულმა შემდეგი ბოთლი ძალიან სწრაფად ჩასვა ხვრელში, მაგრამ ბოთლი უკანვე ამოხტა, იატაკზე დავარდა და დაიმსხვრა.

– ბოდიში, – მამამ მორცხვად დახედა ბოთლს, თუმცა სინამდვილეში იქ შეკრებილთათვის უნდოდა მობოდიშება. ამ დროს წითელწინსაფრიანი ქალი მოვიდა.

– ერთი მაცოდინა, ბავშვებს რატომ აძლევენ ბოთლებს, – ჩაიბურდღუნა მან.

– ჩემი ბრალია, – უთხრა მამამ, – ბოთლი ხელიდან გამისხლტა. ხელთათმანის გახდა სულ დამავიწყდა.

– ერთხელ მეც დამემართა ასე, – გაისმა ვიღაცის ხმა რიგის ბოლოდან.

ავრორამ მოხუცი ქალი შენიშნა, თეთრი თავშალითა და ზურგჩანთით. ძალიან გაუხარდა, ვიღაც მაინც რომ გამოექომაგათ.

მამა ძალიან აღელვებული და დაბნეული ჩანდა. გადამრთველი მარცხნივ ისეთი ძალით გადასწია, რომ აპარატიდან ზედიზედ ოთხი გახვრეტილი ქვითარი გამოვიდა. მამამ სასწრაფოდ ჩაიჩურთა ქაღალდები და მაღაზიის შუაგულს მიაშურა. პატარ-პატარა დახლებთან ქალები ისხდნენ, რომელთაც წინ სალარო აპარატები ედგათ. ამ ქალებს წითელი წინსაფრები ეკეთათ და იისფერი ქუდები ეფარათ. კედლის გაყოლებაზე რკინის ურიკები ჩაემწკრივებინათ.

– ურიკა არ ავიღოთ? – იკითხა ავრორამ.

– ვითომ დაგვჭირდება? ჩვენ ხომ ბევრი რამის ყიდვას არ ვაპირებთ, ფულიც თითქმის გაგვითავდა, – ჩასჩურჩულა მამამ, – დედას ხვალამდე არ ექნება ხელფასი.

– ჰო, მაშინ ურიკა არ გვჭირდება. ისე, სახალისო კი იქნებოდა გაგორება-გამოგორება.

უეცრად თავზე ის მოხუცი ქალი დაადგათ:

– მიდი, აიღე ურიკა, თორემ მამაშენზე იფიქრებენ, ქურდობას აპირებსო.

ავრორამ შეშინებულმა გახედა ქალს.

– ჰო, ჰო, თუნდაც პატარა შეკვრა საფუარი გინდოდეს, ურიკა მაინც უნდა გააგორო, – დაამატა ქალმა.

– კეთილი, – გაუღიმა მამამ, – დიდი მადლობა რჩევისთვის. იცით, ჩვენ პირველად ვართ ამ მაღაზიაში.

– ჰო, მივხვდი, – ქალმა თავისი ურიკა გააგორა და გზა განაგრძო.

სანამ მამა სიას ადგენდა, ავრორა ურიკას მიაწვა.

– რძე, კარტოფილი, ყავა და ცოტაოდენი ფარში გვჭირდება, – შეახსენა მამამ.

– რძე იქითაა, – ანიშნა ავრორამ.

განიერ თაროებს ჩაუარეს და რძის ბოთლებს მიადგნენ. ბოთლებით სავსე ყუთები დიდ მაცივარში ეწყო.

– მუყაოს ყუთით ავიღოთ, – თქვა მამამ.

– აქამდე რომ არ გვიყიდია ასეთი? – გაუკვირდა ავრორას.

– ახლა ვცადოთ, – მიუგო მამამ.
ამ დროს საყიდლების ჩანთიდან წკარუნი გაისმა.

– მამა, ყველა ბოთლი არ ჩაგიბარებია? – ჰკითხა ავრორამ.

– იცი, რა, ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, წვენისთვის შეგვენახა, ან მომავალი მოგზაურობისთვის, – თავი იმართლა მამამ და ავრორა ახლაღა მიხვდა, რატომ გადაწყვიტა მან მუყაოს ყუთით ეყიდა რძე.

– თქვენ მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიდიხართ, – უთხრა ვიღაც ქალმა მამას და მართალიც იყო. სხვები მეორე მხრიდან მოსულიყვნენ და ურიკებს სალაროსკენ მიაგორებდნენ.

– არა უშავს, მთავარია, სალაროს რიგში არ გადაგვასწროთ, – დასძინა ქალმა.

– არა, არა, ჩვენ ახლახან შემოვედით, – უპასუხა მამამ.

მან სამი ყუთი რძე აიღო და ურიკაში მოათავსა, მერე სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას.

– ურიკა უკეთ დაგორავს, როცა შიგნით ნივთები დევს, – შენიშნა ავრორამ.

– ასეა, – დაეთანხმა მამა, – ავრორა, ყავისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?

გარშემო იმდენი თარო და დახლი იყო, ორივეს თვალები აუჭრელდა.

ყავის სუნი დილიდან იდგა ხოლმე მათ სახლში, როცა დედ-მამა აქეთ-იქეთ დაქროდნენ საუზმემდე საქმეების მოსასწრებად. ავრორამ თვალები დახუჭა და ჰაერი შეისუნთქა. სულ მალე ყავით სავსე ტომრების წინ აღმოჩნდა.

მამამ ჯერ შიგ ჩაიხედა, შემდეგ კი ხელით მოსინჯა.

– ჯობია, წვრილად დაფქული იყოს. ეს ყავა კი საერთოდ დაუფქვავია.

მამამ ტომარა გახსნა. შიგ მართლაც მთელ-მთელი, პრიალა მარცვლები ეყარა.

– მოდი, ვიკითხავ, – გადაწყვიტა მამამ და ერთ-ერთ წინსაფრიან ქალთან მივიდა.

– უკაცრავად, წვრილად დაფქული ყავა მინდოდა... – დაიწყო მამამ.

– ტომრების გვერდით საფქვავი მანქანა დგას, თავად შეგიძლიათ დაფქვათ სასურველი ყავა.
– კეთილი.

მამა ყავის საფქვავს მიადგა. მარცვლები საფქვავის თავზე არსებულ დიდ ხვრელში უნდა ჩაგეყარა. მანქანას ქვემოთ ღილაკები ჰქონდა: "მსხვილად დაფქვა", "საშუალოდ დაფქვა", "წვრილად დაფქვა". ჩამრთველი ღილაკიც იქვე იყო.

მამას ღილაკები დიდად არ ეხატებოდა გულზე. ისტორია კარგად იცოდა, პიანინოზეც ჩინებულად უკრავდა, მიუხედავად იმისა, რომ კლავიშებზეც ღილაკებივით თითის დაჭერა

იყო საჭირო. აი, ყავის საფქვავი აპარატისა კი მამას არაფერი გაეგებოდა.

ასე შეშინებული დგომა არ ივარგებდა, ამიტომ ძალა მოიკრიბა და ყავა ხვრელში ჩაყარა.

– წვრილად დავაფქვევინოთ, – უთხრა ავრორას, რომელიც მასავით დაძაბული ელოდა მოვლენების განვითარებას.

თავიანთ ძველ მაღაზიაში გამყიდველი ქალი უწონიდათ ხოლმე ყავას.

– წვრილად დაფქული გნებავთ, არა? – ასე ჰკითხავდა ხოლმე, შემდეგ უკანა ოთახში უჩინარდებოდა. იქიდან საფქვავის ხმა მოგუდულად ისმოდა და სულ მალე ქალი, დაფქული ყავით ხელში, უკან ბრუნდებოდა.

მაშ, ასე, მამამ ყავა აპარატში ჩაყარა და ღილაკს თითი დააჭირა. აპარატი აღუღუნდა, მაგრამ სულ მალე ისეთი რამ მოხდა, რასაც საერთოდ არ ელოდნენ...

აპარატის გვერდზე დატანებული ხვრელიდან წვრილად დაფქული ყავა გამოიფრქვა და პატარა შავი ღრუბელივით ჩაფრინდა ძირს. ირგვლივ ბუღი დადგა.

– ვაი, – აღმოხდა ავრორას.

– მიშველეთ, – დაიძახა მამამ, რომელიც ერთ ადგილას გაშეშებულიყო და ღილაკს მისჩერებოდა.

ამ დროს ავრორასთვის ნაცნობი ხმა გაისმა.

– ამ მაღაზიაში ვაჭრობამდე ორკვირიან გაკვეთილებს უნდა გვიტარებდნენ. ერთი მინიშნებაც კი არ არის, როგორ უნდა დავფქვათ ყავა!

კვლავ ის თავშალიანი მოხუცი ქალი ადგათ თავზე. მან ყავის ტომარა აიღო, აპარატში ჩაცალა და მამას ასწავლა, როგორ უნდა მიემაგრებინა ცარიელი პარკი მეორე ხვრელთან. ასე ყავა გარეთ აღარ გადმოიყრებოდა. ქალმა ცოცხი და აქანდაზიც იშოვა, რომ მამასა და ავრორას იქაურობა მოესუფთავებინათ.

– დიდი მადლობა, ძალიან დაგვეხმარეთ, – უთხრა ქალს მამამ, – უთქვენოდ, არ ვიცი, რა გვეშველებოდა.

– ოჰ, არაფერია, – თავი გაიქნია ქალმა და მამას დაემშვიდობა.

ამის შემდეგ მამამ კარტოფილი და ფარშიც აიღო. დრო იყო, რიგში ჩამდგარიყვნენ. რიგი კი საშინლად გრძელი აღმოჩნდა.

– ხომ არ გახედავდი სოკრატეს? – სთხოვა მამამ ავრორას.

ავრორა გარეთ გავიდა. პატარები ჯერაც ჭყიოდნენ, მაგრამ სოკრატეს კვლავ ტკბილად ეძინა. გარშემო ბავშვები ირეოდნენ. ზოგი აქეთ-იქით დახტოდა, ზოგი კინკლაობდა, ზოგიც ტკბილეულს ჭამდა. ავრორამ ეტლს ჩასჭიდა ხელი, რომ სხვებისთვის ეჩვენებინა, ჩემიაო.

იმ კუთხეში, სადაც ზაფხულობით ველოსიპედებს აყენებდნენ, ერთი ხუჭუჭა, შავი პუდელი იჯდა, მის გვერდით კი დაახლოებით ავრორას ტოლი გოგონა იდგა.

გოგონა თავის პუდელს ეფერებოდა და ამშვიდებდა. ძაღლს, როგორც ჩანს, თათებზე სციოდა და სულაც არ მოსწონდა იქ დგომა და ლოდინი. ავრორა გოგონას თვალს ვერ აშორებდა და ფიქრობდა, რა კეთილი გოგოაო. იქნებ სულაც მათ კორპუსში ცხოვრობდა?

გოგონამაც გახედა ავრორას, მაგრამ მალევე მიუბრუნდა თავის პუდელს.

მამას რომ გარეთ გამოეხედა, უსათუოდ დაინახავდა გოგონასა და ძაღლს. მაგრამ მას ახლა უამრავი საფიქრალი ჰქონდა, სალაროსთან უკვე მისი რიგი მოსულიყო და ჩანთაში პროდუქტებს უწყობდნენ. მოლარემ დარჩენილი ცარიელი ბოთლები შენიშნა და მამას აპარატზე მიუთითა. მამა დაიძაბა. ავრორა მიხვდა, ჯობია, მივეხმაროო. მაშინვე შიგნით შევარდა, უსიტყვოდ გამოართვა ბოთლები და სათანადო ხვრელებში მოათავსა, აპარატის ქვითრები კი მამას მიაწოდა, მამამ ისინი მოლარე ქალს გადასცა და მანაც ხურდები დაუბრუნა.

ყველაფერი გამოუვიდათ. გარეთ გამოსულებს, პუდელის პატრონი გოგონა წასული დახვდათ. გული კი დასწყდა ავრორას, მაგრამ იფიქრა, აუცილებლად ისევ შევხვდებით ერთმანეთსო.

უარის თქმა ზოგჯერ ძნელია

ერთ მშვენიერ დღეს კარზე ზარი გაისმა. ავრორასთან ბრიტ-კარენი მოსულიყო.

– არ გინდა, ჩემთან წამოხვიდე? ნუსე გაცივებულია და შინ უნდა დარჩეს. შეგვიძლია, ვითამაშოთ. ოღონდ მისაღები ოთახის არევ-დარევა აგვიკრძალეს.

– მამას ვკითხავ, – უთხრა ავრორამ.

– წადი, ავრორა, – ნება დართო მამამ, – ამასობაში მე სამზარეულოს ფარდებსა და სხვა წვრილმან ნივთებს გავრეცხავ, შემდეგ კი ნამცხვრის ცომს მოვზელ, რომ მოგვიანებით ერთად გამოვაცხოთ.

– რა კარგია, – ტაში შემოკრა ავრორამ. უკვე აღარც უნდოდა სახლიდან წასვლა, რადგან მამას ამდენი სახალისო რამ ჰქონდა დაგეგმილი.

– სამეცადინო სულ არა გაქვს? – ჰკითხა ბოლოს მამას.

– როგორ არა. ნამცხვრის მომზადებამდე დიდი დროა, უშენოდ მაინც არ გამოვაცხობ.

ავრორა ბრიტ-კარენს გაჰყვა. ორად ორი სართული უნდა აევლოთ და კიბეს აუყვნენ. მეთერთმეტე სართულზე რომ ავიდნენ, ერთ-ერთი კარიდან ბიჭი გამოვარდა. მთელი სისწრაფით მიარბენინებდა ცარიელ ბოთლებს, ალბათ მაღაზიაში მიიჩქაროდა. ავრორას მხოლოდ წამით შეხედა, გოგონამ კი საერთოდ აარიდა თვალი.

ბიჭი რომ დაბლა ჩავიდა, ბრიტ-კარენმა დაიჩურჩულა:

– ეს კნურეა. ამ კორპუსის ყველაზე საძაგელი ბიჭი. საშიში ვინმეა.

– მართლა? – ავრორამ დამალა, რომ კნურეს კარგად იცნობდა, რომ ბიჭი ხშირად მოდიოდა მასთან სტუმრად, იქვე მეცადინეობდა, მამას ელაპარაკებოდა ხოლმე და დალაგებაშიც ეხმარებოდა. არც ის უთქვამს, როგორ ეშინოდა კნურეს შინ მარტო დარჩენისა.

ბრიტ-კარენმა კარის საფოსტო ხვრელი გახსნა და შიგ ჩაჰყვირა: "დედა, მე ვარ!"

კარი დედამ გააღო.
– მაშ, ესაა ავრორა?

ავრორამ თავი დაუკრა.

– კარგი, შენს ოთახში შედით და იქ ითამაშეთ.

ბრიტ-კარენის ოთახი ლამაზად იყო მოწყობილი, იქ ტახტიც იდგა და თოჯინის ეტლიც. შიგ ხვეულთმიანი და სახემოხატული თოჯინა იწვა. ბრიტ-კარენმა ავრორას ტანსაცმლის კარადა დაათვალიერებინა, რომელშიც ეკიდა ორი გამოსასვლელი კაბა და ორიც – საყოველდღეო, ასევე ოთხი ბლუზა და სამი ქვედატანი. ავრორას ოთახი ცარიელი მოეჩვენა, მოშიშვლებული კედლებითა და ცოტა ნივთით.

– ოჯახობანა ვითამაშოთ, – შესთავაზა ბრიტ-კარენმა, – მე დედა ვიქნები, თოჯინა შვილი იყოს, შენ კი – მამა, რომელიც სამსახურიდან ბრუნდება.

– კარგი, – დაეთანხმა ავრორა.

– ვითომ უკვე დაბრუნდი და დაღლილობაზე წუწუნებ.

– კარგი, – თქვა ისევ ავრორამ და სკამზე ჩამოჯდა.

– ვახშამი ცოტა ხანში იქნება, დღეს შემაგვიანდა. შობამდე იმდენი რამ უნდა მოვასწრო, – დაიწყო ბრიტ-კარენმა, – ქალაქში ვიყავი და საჩუქრები ვიყიდე. შენ ხომ სამსახურის მეტი არაფერი გადარდებს. არც კი შეგიმჩნევია, ფარდები რომ გავრეცხე!

– ო, დიახ, როგორ არა, – აღელდა ავრორა, – ძალიან კარგად გაგირეცხავს.

– არა, ასე არ მიპასუხო, – დაარიგა ბრიტ-კარენმა, – უნდა მითხრა, დიახაც, უნდა დარეცხო, ეგ ხომ შენი საქმეაო...

ამ დროს ზარი გაისმა. კარი ბრიტ-კარენის დედამ გააღო და სტუმარი ყავაზე შემოიპატიჟა. ავრორამ იგრძნო სამზარეულოდან შემოპარული საამო სურნელი.

ცოტა ხანში ბრიტ-კარენის დედამ ბავშვებს ნამცხვარი და რძე შემოუტანა და ტკბილად უთხრა, მიირთვითო. ნამცხვარი ისეთი გემრიელი აღმოჩნდა, რომ ბავშვებს სულ მიავიწყდათ თამაში.

ღია კარიდან მისაღებ ოთახში მსხდარი ორი ქალბატონი მოჩანდა, ყავას რომ მიირთმევდნენ ნამცხვართან ერთად. ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, მერე უცებ ხმას დაუწიეს და აჩურჩულდნენ. ავრორას საკუთარი სახელი მოესმა, ნამცხვრის ჭამას თავი ანება და ყური მიუგდო. გაიგონა: ქმარი სახლში საქმიანობს, ცოლი კი ყოველდღე ქალაქში დარბისო. ავრორას სევდა შემოაწვა. მაინც რატომ ლაპარაკობდა ყველა იმაზე, რომ მამა სახლში მუშაობდა, დედა კი – გარეთ?

ავრორა ფანჯარასთან მივიდა. ამ სიმაღლიდან ალბათ მანქანით დაბრუნებულ დედას ვერც კი დაინახავდა. ვეებერთელა ნაძვის ხეებიც კი პატარები ჩანდნენ. მოშორებით ტყე გადაჭიმულიყო. ტყეში ალბათ სახლი იდგა, რადგან ხეებს შორის წვრილი კვამლი მიიკლაკნებოდა.

ავრორას ძალიან მოუნდა მამასთან ერთად ტყეში გასეირნება. სოკრატესაც წაიყვანდნენ, მაგრამ მოყინულ მიწაზე ეტლის გაგორება გაუჭირდებოდათ.

– უნდა წავიდე, – თქვა უცებ ავრორამ.

– ახლახან არ მოხვედი? – გაუკვირდა ბრიტ-კარენს და დედას გასძახა: – დედა, ავრორა ამბობს, უნდა წავიდეო.

– შემოდით ცოტა ხნით, დაგელაპარაკოთ, – გამოსძახა ბავშვებს მეორე ქალმა, რომელიც ავრორას არასდროს ენახა. გოგონამ შეამჩნია, როგორ ჩაუკრა თვალი იმ ქალმა ბრიტ--კარენის დედას.

– აბა, მართლა ასეთი ჭკვიანი მამიკო გყავს? საჭმელსაც გიმზადებს?

– დიახ, – მიუგო ავრორამ.

– დღეს რა გაქვთ ვახშმად? – ჩაერთო ბრიტ-კარენის დედა.

– სპაგეტი, – თქვა ავრორამ.

– დედა რას საქმიანობს?

– ოფისში მუშაობს, ზოგჯერ სასამართლოშიც დადის, რადგან იურისტია, – უპასუხა ავრორამ.

– ჭკვიანი გოგო ყოფილხარ, – თქვა ქალბატონმა, – რა სამწუხაროა, რომ დედა ყოველდღე გტოვებს.

ქალმა ავრორას ისეთი მზერა მიაპყრო, გოგონა უნებლიეთ დაეთანხმა. სინამდვილეში დედის სამსახურში სიარულის გამო მაინცდამაინც არ დარდობდა, მამა ხომ შინ ჰყავდა! თანაც დედა ყოველ საღამოს ბრუნდებოდა და ახარებდა ხოლმე.

– კიდევ კარგი, ბრიტ-კარენთან და დედამისთან ამოსვლა შეგიძლია, – განაგრძობდა ქალი, – ვფიქრობ, აქ ყოფნა უფრო მოგეწონება, ვიდრე შინ დარჩენა.

ავრორა ამაზე კი აღარ დასთანხმებია, მაგრამ მისი სიჩუმე დასტურად მიიღეს.

– ნამცხვრისთვის მადლობა. ნახვამდის! – ავრორამ თავი დაუკრა იქ მყოფთ და სწრაფად გავიდა კარში. თვალზე ცრემლმომდგარმა კიბე სირბილ-სირბილით ჩაიარა. არა, ასე ატირებული შინ ვერ მივიდოდა, თორემ მამა ისევე შეშინდებოდა, როგორც ყავის საფქვავთან ჭიდილისას.

უეცრად ბოთლების წკარუნი მოესმა. კიბეზე კნუტი ამოდიოდა. ავრორას ძალიან გაუხარდა მისი დანახვა. კნუტი მიხვდა, რომ ავრორა მარტო იყო, არც გოგონას ცრემლებით სავსე თვალები გამოჰპარვია, ამიტომ გულითადად გამოელაპარაკა:

– რამე მოხდა? ჩემთან წამოდი, ბოთლები უნდა დავაბინავო, თან ვიფიქრე, საშობაო კექსებს გამოვაცხობ-მეთქი, დედას არ სცალია. აბა, წამომყვები?

– იქნებ ჩემთან წამოხვიდე? მამაც ნამცხვრის გამოცხობას აპირებს, შეგვიძლია ერთად მივეხმაროთ, – შესთავაზა ავრორამ.

– კეთილი. უკეთ ხარ?

– უკეთ ვარ, – თავი დაუქნია ავრორამ.

მამას სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ბრიტ-კარენთან წასული ავრორა შინ კნუტთან ერთად დაბრუნდა.

– შეიძლება, კექსების ცხობაში დაგვეხმაროს? დედამისს არ სცალია, – სთხოვა ავრორამ.

– რა თქმა უნდა, – მიუგო მამამ, – საშობაო კექსების ცომი უკვე მოვამზადე და კარგიც გამომივიდა. ზემოდან მოსაყრელი ნუშის გარდა ყველაფერი გვქონდა სახლში. სამწუხაროდ, ნუში ძალიან ძვირია. კარგი იქნება, გაბრტყელებაში თუ მომეხმარებით. კექსების ნახევარი კნუტს გავატანოთ სახლში.

– ფქვილში, შაქარსა და ერთ კვერცხში გაგიცვლით, – შესთავაზა კნუტმა.

– მშვენიერია, – მოუწონა მამამ.

კნუტიც კმაყოფილი დარჩა, სახლში აირბინა და მასალა ჩამოიტანა. შემდეგ მომზადებას შეუდგნენ.

– ბრიტ-კარენთან ცოტა ხანს დარჩენილხარ, – უთხრა ავ-
რორას მამამ.

– ჩემთვის კი ისე გაიწელა დრო, – უპასუხა გოგონამ, – აქ
მირჩევნია ყოფნა.

ორმოცი კექსი კნუტისთვის გამოჭრეს, ორმოცი – ავრო-
რასა და მამასთვის, სამი ცალი გასასინჯად გაამზადეს.

სანამ კნუტი და ავრორა გულისყურით სდარაჯობდნენ
ღუმელს, მამამ ხახვი მოშუშა და სპაგეტის მომზადებას შეუდ-
გა. ბოლოს სამზარეულოს ფანჯრებზე გარეცხილი ფარდები
დაკიდეს. საბედნიეროდ, ისეთი ქსოვილი იყო, დაუთოება არ
სჭირდებოდა.

– საშობაოდ დასუფთავებაც მოვასწარით და ტკბი-
ლეულის გამოცხობაც, – კმაყოფილებით თქვა მამამ, – დედას-
თვის სუფთა სახლიც მზადა გვაქვს და საჭმელიც.

კნუტი ამასობაში შინ წასულიყო.

იმ დღეს დედა გვიანობამდე დარჩა სამსახურში და სახ-
ლში ისეთი დაღლილი დაბრუნდა, რომ თვალები ებინდებოდა.
საბრალო მაშინვე სავარძელში ჩაესვენა და ამოიოხრა.

მამა დაძაბული იჯდა. საშობაო კექსების ყუთი ჯერაც
უთავსახუროდ იდო. მამამ თქვა, უნდა გაცივდესო, მაგრამ ავ-
რორამ იცოდა, რომ ყუთი თავღია განგებ დატოვა, დედას დასა-
ნახად.

მაგრამ დედა ვერაფერს ამჩნევდა, იჯდა თავისთვის
დაღლილი თვალებით და გრძელ-გრძელ სპაგეტის ჩანგლით
ებრძოდა.

უყურა მამამ, უყურა და მიხვდა, რომ როგორმე უნდა გა-ემხნევებინა.

– აბა, გამოიცანი, რა გავაკეთეთ მე და ავრორამ!

– რა გააკეთეთ? ჩვენ ხომ ფული აღარ გვქონდა, მაღა-ზიაში ვერ ჩახვიდოდით. საბედნიეროდ, დღეს ხელფასი ავიღე, ჩანთაში მიდევს.

– აბა, ჰაერი შეისუნთქე, სასიამოვნო სურნელს თუ იგ-რძნობ.

– ვერ ვგრძნობ, – თქვა დედამ.

– საშობაო კექსები გამოვაცხვეთ, – მიახარა მამამ და ყუ-თი ცხვირთან მიუტანა.

– ვაი, რა კარგია! – გაუხარდა დედას, – სწორედ დღეს ვფიქრობდი, მგონი, წელს საშობაო ტკბილეულს ვერ შევწვდებით-მეთქი.

– ის თუ შეამჩნიე, სამზარეულოს ფარდები რომ გავრეც-ხე? – ჰკითხა მამამ.

უეცრად ავრორამ გამოაცხადა:

– დიახაც, უნდა გაგერეცხა, ეგ ხომ შენი საქმეა!

დედა და მამა გაოგნდნენ. მამამ პირი დააღო, დედას კი დაღლილობამ უცებ გადაუარა და თვალები გაუფართოვდა, ხან შვილს უყურებდა, ხან ქმარს. ბოლოს ავრორას შეხედა და

სიცილი აუტყდა. მანამდე იცინოდა, სანამ თვალები არ აუცრემლიანდა.

– ავრორა, რა კარგია, რომ მარტო მამას კი არა, მეც დამემგვანე. იცი, დედაჩემს ყოველთვის შეეძლო გამოცნობა, დღისით ვისთანაც ვთამაშობდი. "კარის ეთამაშე?" "ევას ეთამაშე?" "მეზაღის ბიჭებთან ერთად ირბინე?" – ყოველთვის ხვდებოდა. აბა, დღეს ვისთან იყავი?

– ბრიტ-კარენთან ავედი სტუმრად, – უთხრა ავრორამ.

მშობლებს გაეღიმათ. მამა ადგა და ავრორასა და დედას მოეხვია.

– ორივე ერთმანეთზე მეტად მიყვარხართ, ძვირფასებო.

დედ-მამას ისევ სიცილი აუვარდა, ავრორა კი უფრო და უფრო იღუშებოდა, რას იფიქრებდა დედა, რომ გაეგო, ავრორას სხვაგან უფრო მოსწონს ყოფნა, ვიდრე სახლშიო – ბრიტ--კარენის დედასთან მოსული ქალბატონი რომ დედას შეხვედროდა, უსათუოდ თავის გამჭოლ მზერას მიაპყრობდა და ეტყოდა: "საბრალო თქვენი გოგონა, სახლში სულ მოწყენილია. ბრიტ-კარენთან ყოფნა ყველაფერს ურჩევნია, რადგან დედამისი მუდამ შინაა".

ავრორა წამოდგა და გამოაცხადა, ჭამა აღარ მინდაო.

– ავრორა, ხომ არ გეწყინა რამე? – ჰკითხა დედამ.

– არა. თქვენგან არაფერი მწყენია, – მიუგო ავრორამ.

იმ საღამოს მამამ სოკრატე ჩვეულებრივზე დიდხანს აბანავა, რათა ავრორასა და დედას გემრიელად ესაუბრათ.

დედამ რომ შვილის ნაამბობი მოისმინა, ასე უთხრა:

– ავრორა, ამ ამბავზე არ იდარდო. აზრი არა აქვს იმათზე გაბრაზებას, ვისაც საქმის არსი არ ესმის. ცოტა არ იყოს, მეცოდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სხვის საქმეში ცხვირს ყოფენ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი ცხოვრება გაიხალისონ.

– იქ აღარასდროს ავალ, – მტკიცედ განაცხადა ავრორამ.

– ადი, – ურჩია დედამ, – ოღონდ გახსოვდეს, რომ შენ, მე, სოკრატე და მამა ერთი გუნდი ვართ და ერთმანეთს ყოველთვის გვერდში დავუდგებით. ამაზე თუ იფიქრებ, გამბედაობაც მოგემატება. თანაც ბრიტ-კარენის დედა კი არა, ის მეორე ქალი ჩაგეძია, ასე არ არის?

– ჰო, – დაუდასტურა ავრორამ, – იცი, ბრიტ-კარენი როცა ნუსესთან თამაშობს, მე არ მეძახის ხოლმე. სამაგიეროდ, კნუტი კარგი ბიჭია. ჰო, მართლა, გუშინ მაღაზიის წინ ერთი გოგო დავინახე, შავი, ხუჭუჭა პუდელი ჰყავდა. მაღაზიაში კი ერთი მოხუცი ქალი შეგვხვდა, ისიც კეთილი აღმოჩნდა.

მამამ სოკრატე საჭმელად შემოიყვანა.

– ავრორა, მომეხმარები ჭურჭლის გარეცხვაში?

ავრორა მამას გაჰყვა.

– არც კი მინდა შუქი ავანთო, მთვარის შუქზე ტყე ძალიან ლამაზად ჩანს, – თქვა მამამ.

– დღეს, მაღლა რომ ვიყავი, ტყეს გადავხედე და იქ გასეირნება მომინდა, – უთხრა ავრორამ, – თანაც, ხეებს შორის კვამლი შევამჩნიე. ნუთუ იქ ვინმე ცხოვრობს?

– მგონი, კი. შუქიც ხშირად შემინიშნავს.

– ხვალ რომ გავისეირნოთ? – სთხოვა ავრორამ.

– ხვალ არ გამოვა, სამრეცხაოში უნდა ჩავიტანოთ თეთრეული.

– სამრეცხაოში რა ხდება?

– არ ვიცი. ალბათ სხვადასხვა მოწყობილობა დგას, აუარებელი ღილაკით. თურმე ბავშვებისთვის იქ შესვლა აკრძალულია, ამიტომ მარტოს მომიწევს იქაურობასთან გამკლავება. იქნებ სოკრატე ეტლით ავიყვანოთ, რომ სხვენის წინ ასეირნო, სანამ მე იქ საქმიანობას მოვრჩები?

– კარგი, – დაეთანხმა ავრორა, – ტყეში ხომ აუცილებლად წავალთ?

– წავალთ, – დაჰპირდა მამა.

მამა სამრეცხაოში

დედა რომ წავიდა, მამა დაბზრიალდა და სარეცხი შეაგროვა.

– ესეც ასე, თეთრეული, პირსახოცები, ჩვენი სვიტერები, დედას სათხილამურო ტანსაცმელი. ყველაფერი უნდა ჩავიტანოთ, არა მგონია, იმ ვეებერთელა სარეცხ მანქანებს მუშაობა დაეზაროთ. ალბათ რამდენჯერმე ასვლა-ჩასვლა მომიწევს, სოკრატეც ჩასაყვანი გვეყოლება.

– ბევრი საქმე გვაქვს, – კვერი დაუკრა ავრორამ.

– მოდი, ასე მოვიქცეთ: ჯერ მე ჩავალ და სარეცხს მანქანაში ჩავყრი. მერე ამოვალ და სოკრატესთან ერთად ჩაგიყვან დაბლა. მერე თქვენ გარეთ დარჩით, მე კი სარდაფში ვისაქმიანებ.

– შევთანხმდით, – თქვა ავრორამ.

მამამ სამგზავრო ჩანთა სარეცხით გატენა და ქვემოთ ჩავიდა, ავრორა კი შინ დარჩა. გოგონამ იფიქრა, მოდი, მამას გავახარებ, მის მოსვლამდე აქაურობას დავასუფთავებო, და საქმეს შეუდგა.

სამზარეულოს სკამზე აცოცდა, წინსაფარი აიფარა და საპნიანი წყლის მომზადებას შეუდგა. საბედნიეროდ, კორპუსში მუდმივად მოდიოდა ცხელი წყალი, ამიტომ დალაგება არ გაუჭირდა. ოჰ, როგორ გაუხარდებოდა მამას სუფთა სახლში შემოსვლა!

სწორედ ამ დროს კარზე ზარი გაისმა. ავრორამ ამოიოხრა, რადგან გეგმაც ჩაუშალეს და სიმშვიდეც დაურღვიეს. ჰქონდა კი უფლება, შინ მარტო მყოფს კარი გაეღო? მამას ამის თაობაზე არაფერი დაუბარებია. საჭვრეტი რომ ჰქონოდა, შეძლებდა დაენახა, ვინ იყო.

კიდევ დარეკეს ზარი.

– ვინ არის? – იკითხა ავრორამ.

– ნუსეს დედა ვარ, – უპასუხეს კარს იქიდან.

საშიში არაფერი იყო, ამიტომ ავრორამ საპნიანი ხელი საკეტს წაატანა და რამდენიმე ცდის შემდეგ გადაატრიალა.

– გამარჯობა, – მიესალმა ნუსეს დედა.

ავრორას ნუსეს დედა მას შემდეგ არ ენახა, რაც ბრიტ--კარენსა და ნუსესთან ერთად ქვიშაში ითამაშა. მაშინ ქალი ნუსეს ძალიან გაუბრაზდა.

– ვიფიქრე, ნუსესთან ხომ არ ამოვა, სანამ მაღაზიაში გადავალ-მეთქი?

– ო, არა, დღეს არ გამოვა, – უთხრა ავრორამ.

– იქნებ ნუსე ჩამოვიდეს შენთან? გარეთ გასვლა ჯერაც ეკრძალება.

– ბოდიში, მაგრამ მეც გავდივარ. სოკრატე ქვემოთ უნდა ჩავიყვანო, სანამ მამა სამრეცხაოში საქმიანობს.

– აჰ, თუ ასეა... იქნებ ისიც ამოიყვანო, რა ჰქვია?

– სოკრატე.

– ჰო, სოკორატე, სოკრატეც თან წამოიყვანე ნუსესთან. გაცივებულია და ამიტომ ვერ ჩამყავს მაღაზიაში, არადა, მარტო დარჩენაც არ უნდა.

– ვერა, – თავი გააქნია ავრორამ, თუმცა ნუსესი კარგად ესმოდა. სახლში მარტო დარჩენა, სანამ მშობლები საყიდლებზე იყვნენ წასულები, არავის უყვარდა, – ბრიტ-კარენი რომ მოვიდეს ნუსესთან?

– ძალიან ეშინიათ, რომ სურდო არ გადაედოს, – თქვა ნუსეს დედამ, – ამიტომ ბრიტ-კარენს არ უშვებენ. უკვე ვიყავი და ვთხოვე. რომ ჰკითხო, მეგობრები არიან, მაგრამ უარით გამომისტუმრეს. ამიტომ ვიფიქრეთ, იქნებ შენ ამოსულიყავი, ისედაც ხომ მარტო ხარ ხოლმე.

ავრორამ ნუსეს დედას ახედა. იგი გამჭოლ მზერას არ აცილებდა გოგონას, უნდოდა, როგორმე დაეყოლიებინა. მაგრამ ავრორას კარგად ახსოვდა დედის ნათქვამი, სოკრატე გაცივებულ ხალხს მოარიდე, ჩვილები გაცივებას რთულად იტანენო.

– არა, ვერ წამოვალ, – გადაჭრით უთხრა ავრორამ.

– სულ ცოტა ხნით, სანამ მე მაღაზიაში ვიქნები, – არ მოეშვა ნუსეს დედა, – ძალიან გთხოვ, ხათრს ნუ გამიტეხ.

ავრორა დაიბნა. უარის თქმა ძალიან რთული აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს გაახსენდა დედის სიტყვები, ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთმანეთს უნდა მივხედოთო.

– არა, ვერ წამოვალ, სოკრატე ბაცილებს უნდა მოვარიდო.

– კარგი, კარგი, უბრალოდ, ვიფიქრე, სახლიდან გამოსვლა გაუხარდება-მეთქი, – ნუსეს დედა სწრაფად გაბრუნდა. ავრორამ შეამჩნია, რომ ქალი ბრაზიანად მიაბიჯებდა. გოგონას დალაგების ხალისი დაეკარგა.

ცოტა ხანში მამაც შემოვარდა.

– ღმერთო ჩემო, იმედია, ყველაფერი სწორად გავაკეთე. მოხმარების წესები კი ეწერა, მაგრამ მაინც ავირ-დავირიე. ასეა თუ ისე, სარეცხი ირეცხება, ამასობაში სოკრატეს გამოვუცვლი. რა ყოჩაღი გოგო ხარ, დალაგება დაგიწყია!

– დავიწყე და დავამთავრებდი კიდეც, კარზე ზარი რომ არ დაერეკათ, – უთხრა ავრორამ.

– ვინ მოვიდა? სოსისის მოყვარულთა კლუბიდან ხომ არ იყვნენ? – გაიხუმრა მამამ.

– ნუსეს დედა იყო. მთხოვა, ნუსესთან დარჩი, სანამ საყიდლებზე გავალო.

– არა, ეგ ამბავი ვერ გამოვიდოდა, – თქვა მამამ და სარეცხის ახალი გროვა გაამზადა.

სოკრატე, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მამას იმ დღეს ჩვეულებრივზე ბევრი საქმე ჰქონდა, ამიტომ ცუდ გუნებაზე დადგა, აჭყივლდა და ასხმარტალდა. მამას დიდხანს მოუწია ზუზუნი, სანამ პატარას დაამშვიდებდა. ავრორამ რომ საწოვარა მოუტანა, მაშინღა გამოუკეთდა გუნება და, როგორც იქნა, გაიღიმა.

– დღეს მამას ტანსაცმლის რეცხვაში უნდა მივეხმაროთ, ამიტომ ჭკვიანად უნდა მოიქცე. მალე ეტლით გაგასეირნებ, – უთხრა ავრორამ.

სოკრატე ამ წინადადებას ცოტა ხნით ჩაუფიქრდა, მაგრამ რძიანი ბოთლი როცა დაცალა და ორჯერ გემრიელად დააბოყინა, დაეტყო, რომ გასეირნებაზე უარს არ იტყოდა.

– სვიტერებიანი ჩანთა მზადაა, თეთრეულის ჩანთებს კი ეტლზე ჩამოვკიდებთ. ავრორა, თბილად ჩაიცვი, გარეთ ცივა.

მშვენიერი სეირნობა გამოუვიდათ. მართალია, სარეცხი ბევრი ჰქონდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, სოკრატეს ეტლი სატვირთო მანქანის ფუნქციასაც ჩინებულად ასრულებდა. სარდაფში რომ ჩავიდნენ, მამამ დაღლილი სახით თქვა, დროებით გემშვიდობებით, ახლომახლო ისეირნეთო, შემდეგ ბარგი მოიმარჯვა და სამრეცხაოში გაუჩინარდა.

– არ იდარდო, ხვალ აღარაფერი გვექნება გასარეცხი, – დაამშვიდა ავრორამ და სოკრატეს ეტლს მიაწვა.

სამრეცხაოში შესულ მამას თვალწინ თავზარდამცემი სურათი გადაეშალა: იმ სარეცხი მანქანიდან, რომელიც მას ჩაერთო, ქაფის მთელი ჩანჩქერი გადმოდიოდა!

საბედნიეროდ, სამრეცხაოში ვიღაც ქალბატონი საქმიანობდა, რომელმაც მამა დაამშვიდა და დაარიგა, შემდეგში ნაკლები სარეცხი ფხვნილი ჩაყარეთო. ისიც ასწავლა, როგორ გაევლო თეთრეული და საშრობშიც გადაატანინა, კარგად რომ დაწრეტილიყო. იმ ქალბატონის წყალობით საქმე მშვენივრად მოგვარდა, წყნარად და მშვიდად ასწავლიდა ყველაფერს. მაგ-

რამ ქალი საქმიანობას რომ მორჩა, წავიდა. მამას გული დასწყდა, მაგრამ რას იზამდა, სულ მალე მანქანაში სვიტერები უნდა ჩაეყარა. შარშან ამ დროს დედა სვიტერებს პატარა ვარცლში რეცხავდა. მაშინ წყალიც ცოტა ჰქონდათ. არა, კორპუსის სამრეცხაო, ყველაფრის მიუხედავად, ჩინებული რამ იყო.

მამა სამრეცხაოს მანქანებს შეეჩვია და შიშიც გაუნელდა. იხსენებდა ძველ დროს, როდესაც ხალხი მდინარის პირას ჩადიოდა ხოლმე, იქ ავლებდა სარეცხს, და ლოდებზე მირტყმით წურავდა. ალბათ რეცხვისას თავს სიმღერითაც ირთობდნენ. მამა ამ ძველი დროის მრეცხავებზე ფიქრმა გაიტაცა.

ნეტა ავრორა რას შვრებოდა? მამამ სვიტერები მანქანაში ჩააწყო, ღილაკებს თითი მიაჭირა და გარეთ გავიდა.

ავრორა უკვე დიდი ხანია, მძინარე სოკრატეს ასეირნებდა. ზოგჯერ სამრეცხაოს დაბალ ფანჯრებშიც იჭყიტებოდა, რომ მამა დაენახა, მაგრამ იგი ისე იყო გართული საქმიანობაში, შვილი არ შეუნიშნავს.

– აბა, ავრორა, ყველაფერი კარგადაა? – ჰკითხა მამამ.

– ყველაფერი კარგადაა. საქმეს მალე მორჩები?

– ოჰ, კიდევ ცოტა ხანს უნდა გავჩერდე სამრეცხაოში. სწორედ ახლა ჩავყარე სვიტერები. თუ ეტლის ტარებით დაიღალე, შეგიძლია, თოვლში ითამაშო.

გარშემო დიდი თოვლი იდო. ავრორას შეეძლო, თოვლის ბაბუა გაეკეთებინა, ან სულაც რაიმე ცხოველი, და ზედ შემომჯდარიყო. მართლაცდა, ჩინებული აზრი მოუვიდა! მაშინვე და-

იწყო გუნდის აგორება. მამა კი ამასობაში სამრეცხაოს დაუბრუნდა. ის იყო, სვიტერები უნდა გაევლო, რომ უეცრად თითი დაეწვა! ღმერთო, რა ცხელი იყო სარეცხი! ეტყობა, სიჩქარეში ხარშვის ღილაკს მიაჭირა ხელი. ხარშვა კი შალის ტანსაცმელს სულაც არ სჭირდებოდა. ეს არავის არ უნდა უთხრას. ამასობაში გასაშრობად გაფენილი ტანსაცმელიც მზად იყო უთო--პრესში გასატარებლად. უთო-პრესიც მექანიკური აღმოჩნდა. მამამ ჩართვა კი შეძლო, მაგრამ მანქანამ ისეთი დამწვრის სუნი გამოუშვა, რომ მაშინვე გამორთო. აღელვებული ავრორასთან მივიდა და უთხრა:

– უთო-პრესი ცუდად მუშაობს. ნეტა კორპუსის დარაჯი სად არის?

ავრორამ თოვლის ცხოველს თვალი მოსწყვიტა და მამას შეხედა, შეატყო, რომ აღელვებული იყო. ამ დროს შორიახლოს სკოლიდან მომავალი მოსწავლეები შეამჩნია, მათ შორის – კნუტიც. ავრორამ ფრთხილად დაუქნია ხელი, სხვებს რომ არ დაენახათ. კნუტმა, როგორც ჩანს, შეამჩნია, რადგან გზიდან გადაუხვია, ბავშვებს რაღაც მიაძახა და ისინი რომ თვალს მიეფარნენ, სამრეცხაოსკენ გაეშურა.

– ხომ არ იცი, დარაჯი სად არის, კნუტ? – ჰკითხა მამამ, – უთო-პრესმა გამაწვალა.

– მე დაგეხმარებით, – ამაყად განაცხადა კნუტმა, – ხშირად ვრეცხავ ტანსაცმელს, რადგან დედას არასდროს სცალია.

– შენთვის შეიძლება სამრეცხაოში შესვლა? – გაუკვირდა ავრორას.

– რა თქმა უნდა, იქ ყოფნა მხოლოდ ძალიან პატარებს ეკრძალებათ, – მიუგო კნუტმა და მამას სამრეცხაოში შეჰყვა.

რა კარგი იყო, რომ კნუტმა სარეცხ-საუთოებელი მანქანებისა ყველაფერი იცოდა, მამას აუხსნა, რა როგორ უნდა ჩაერთო და მანამდე დარჩა სამრეცხაოში, სანამ უთო მუშაობას მორჩა. ბოლოს იყოჩაღა და გაწურული შალის სვიტერებიც მოკრიბა.

– რამდენი სვიტერი ჰქონიათ ავრორასა და სოკრატეს, – გაიკვირვა კნუტმა.

– ჩემი და ჩემი ცოლისაც მანდ არის, – მიუგო მამამ.

– ოჰ, – აღმოხდა კნუტს და სვიტერებს დააცქერდა. ისეთი პატარები იყო, ავრორასაც კი ძლივს ჩაეტეოდა.

– ჰმმ, – თავი ჩაღუნა მამამ, – როგორ დაპატარავებულან, – ალბათ გაშრობისას ძველ ფორმას დაიბრუნებენ.

კნუტმა მამას ახედა.

– გამოხარშე?

მამა წამით დაიბნა, შემდეგ კი კნუტს მზერა გაუსწორა და მიუგო:

– დიახ, სწორედაც რომ გამოვხარშე.

– ამიტომაც დაპატარავებულან, – თქვა კნუტმა, – პირველად მეც ასე დამემართა.

– ახლა როგორ ვუშველოთ? – შეშინდა მამა.

– შეგვიძლია, ჩემთან სახლში გავაშროთ, შემდეგ კი... – კნუტმა მამას რაღაც წასჩურჩულა.

– კეთილი, – თქვა მამამ, – ცოლს საშობაოდ ახალ სვიტერს ვუყიდი. დიდი მადლობა, კნუტ, არ ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდა.

კნუტს შექება ძალიან ეამა.

ავრორას ლამაზი, მაგრამ უცნაური თოვლის ცხოველი გამოუვიდა: წინიდან აქლემს ჰგავდა, უკნიდან კი – ძროხას.

"უფრო აქლემს ჰგავს, – გაიფიქრა ავრორამ, – ჩემი აქლემით უდაბნოს ქარს უნდა გავექცე და ქარავანს შევუერთდე, რომ უდაბნოს მძარცველებისგან თავი დავიცვა..."

უეცრად გოგონას თავზე ორი ბიჭი დაადგა.

– ეს რა სიმახინჯე გაგიკეთებია? – ჰკითხა ერთ-ერთმა.

– ჩუმად, სოკრატე არ გააღვიძო, – სთხოვა ავრორამ.

– როგორც მინდა, ისე ვილაპარაკებ. მეც ხომ აქ ვცხოვრობ.

ამ დროს კნუტი გამოჩნდა. ავრორას ახსოვდა მისი თხოვნა, ამიტომ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავის ცხოველს გადაუსვა ხელი.

– ჰეი, კნურე, მოდი, ეს თოვლის საფრთხობელა დავანგრიოთ!

– რას ამბობ, ბავშვები ხომ არა ვართ, – მიუგო კნუტმა. ბიჭებთან საუბრისას ხმა სულ შეცვლილი ჰქონდა, – აბა, ბიჭებო, ვინ მიასწრებს სასრიალომდე?

ბიჭები წავიდნენ, ავრორა კი სოკრატესკენ გაეშურა. მამაც იქ იყო.

– კნუტი სადაა? შევპირდი, სადილზე დაგპატიჟებ, ასე რომ მომეშველე-მეთქი.

– ვიღაც ბიჭებს უნდა მიხმარებოდა, ამიტომაც წავიდა, – იცრუა ავრორამ.

– რა სამწუხაროა, – თქვა მამამ.

ავრორა რომ გემრიელ ბუტერბროდებს მიირთმევდა, ხოლო სოკრატე რძიან ბოთლებზე ოცნებობდა, სწორედ ამ დროს კარზე ზარი გაისმა. ეს კნუტი იყო.

– ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ უფრო ადრე ვერაფრით მოვედი.

– ჩაი უკვე მზადაა, – უთხრა მამამ, – როგორ მიხარია, კორპუსში რომ ისეთი ბიჭი ცხოვრობს, როგორიც შენა ხარ, კნუტ.

– მეც მიხარია, – თქვა კნუტმა და პურის ნაჭერს სუნელებიანი ყველი დაადო.

საუკეთესო ბებია

ავრორა ფანჯარასთან იდგა და აივნებზე გამოფენილ ნაძვის ხეებს ათვალიერებდა. შორიდან გეგონებოდათ, ხეები ბინებში ამოვიდნენო.

– ნაძვის ხეს დღეს ვყიდულობთ, მამა? – ჰკითხა ავრორამ.

– ჰო, ალბათ. ბებოს დასახვედრად რომ წავალთ, მაშინ ვიყიდით.

– რა საწყენია, ბებიასთან რომ ვერ მოვდივარ, – თქვა დედამ, – მოკითხვა გადაეცით ჩემგან. რაც მთავარია, საშობაო სადილზე ვნახავთ ერთმანეთს.

მამამ და დედამ ავრორა სოკრატეს საწოლში გადაიყვანეს, სოკრატეს კი ტანსაცმლის კალათაში უნდა დაეძინა. შეიძლება გაგიკვირდეთ, ავრორა სოკრატეს საწოლში როგორ ჩაეტევაო, მაგრამ ეს საწოლი სწორედ მას ეკუთვნოდა ძმის დაბადებამდე. გოგონას ძალიან მოსწონდა თავისი ძველი საწოლი, რომელშიც ტირილტოპენში გადმოსახლებამდე ეძინა. მას შემდეგ საუფროსო საწოლი უყიდეს. მამამ მოიფიქრა, ბებია რომ გვესტუმრება, ავრორას ახალ საწოლში დავაწვინოთო.

ავრორა ბებიას საუკეთესო ბებიას ეძახდა, მამა – დედას, დედა კი – დიდედას. საერთოდაც, ბებიასთვის ყველას სხვადასხვა სახელი ჰქონდა მოგონილი.

მშვენიერი დღე იდგა. ავრორა, მამა და სოკრატე ტრამვაიში უნდა ჩამსხდარიყვნენ და ბებიას ქალაქის სადგურში დახვედროდნენ. ავრორას მოსწონდა ასეთი დღეები, რადგან ყოველთვის სახალისო რამეები ხდებოდა. სოკრატე სულ სხვა აზრისა გახლდა, უნდოდა, ყველაფერი ჩვეულებისამებრ მომხდარიყო. საერთოდაც, ნატრულობდა, ნეტა მამას ბევრი საქმე არ ჰქონდეს, დედა გიჟივით არ დარბოდეს, ავრორა კი სულ გვერდით მეჯდეს და მიმღეროდესო.

ის დღე სულაც არ გამოდგა ჩვეულებრივი, ამიტომ სოკრატემ თავისი გაბრაზება გემრიელი ტირილით დააგვირგვინა და მანამდე არ გაჩერებულა, სანამ დედა კოპებშეკრული არ დაელაპარაკა.

მამა სახლში ბზრიალებდა. ჯერ საფენები გარეცხა და გაავლო, შემდეგ მტვერი გადაწმინდა. ბებია რომ ესტუმრებოდათ, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა ყოფილიყო. მაგიდებზე ქათქათა სუფრები გადააფარეს, ავრორამ შანდლებში ახალი სანთლები ჩაარჭო.

უეცრად კარზე ზარი დარეკეს. ახალგაზრდა ქალი მოსულიყო, ხელში ჩვილი ეჭირა.

– ბოდიში, რომ გაწუხებთ. თქვენთან სათხოვარი მაქვს: იქნებ ჩემი პატარა დაიტოვოთ ცოტა ხნით, მაღაზიაში ვარ ჩასასვლელი. სურდო აქვს და არ მინდა, გარეთ გავიყვანო. ვიცი, რომ თქვენც გყავთ პატარა და ვიფიქრე, სახლში იქნებიან--მეთქი.

– ჰმმ, – ჩაფიქრდა მამა, – ჩვენ ქალაქში ვაპირებდით წასვლას, მაგრამ მანამდე სახლში უნდა ვისაქმიანოთ, ამიტომ თუ გეჩქარებათ...

– კარგი, კარგი, – მაშინვე თქვა ქალმა და საბავშვო ეტლი ბინაში შემოაგორა.

– პატარა ოთახში შებრძანდით, – უთხრა მამამ, – რადგანაც ბავშვი გაცივებულია, ჯობია, ჩვენს პატარას მოვარიდოთ. იმედია, ერთ საათში ყველაფერს მოასწრებთ.

– დიახ, აუცილებლად, – თქვა ქალმა და გაიქცა.

მამამ ავრორას შეხედა. გოგონამ სახის გამომეტყველებაზე შეატყო, რომ მას რაღაცის თქმა სურდა.

– გისმენ, მამა, – თქვა ავრორამ.

– თუკი სჭირდებათ, ყველას სიამოვნებით ვეხმარები, – დაიწყო მამამ, – მაგრამ ზოგჯერ მგონია, საქმის ვითარებას აზვიადებენ და აბუქებენ. მაინც, რატომ მოვიდა ჩვენთან? ამ სართულზეც კი არ ცხოვრობს. მაგრამ, რას ვიზამთ, პატარა კაცუნა დაგვიტოვეს და უნდა მივხედოთ.

მამამ და ავრორამ საქმიანობა განაგრძეს. პატარა დროდადრო ღუღუნებდა, სოკრატე კი იწვა და მშვიდად ფიქრობდა.

თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ სულ მალე კიდევ ერთი ქალბატონი მიადგათ კარზე.

– გთხოვთ, მომიტევოთ, ასე მოულოდნელად რომ დაგადექით... იცით, სააბაზანოს მილი სულ დაიშალა და წყალი ისე წვეთავს, რომ აბაზანაში საზარელი მწვანე ლაქა გააჩინა. კიდევ კარგი, ახალი მილი ვიყიდე, მაგრამ ახლა გამოცვლაა საჭირო.

– აჰ, გასაგებია, – თქვა მამამ, – ალბათ კორპუსის დარაჯი გეგონეთ, არა?

– არა, არა, დარაჯს კარგად ვიცნობ, – მიუგო ქალმა, – უბრალოდ, თხელძირიანი ფეხსაცმელი მაცვია და ამ სიცივეში გარეთ ვერ გავალ მის მოსაძებნად. თანაც, ვიფიქრე, რა კარგია, შუადღისას ერთი კაცი მაინც რომ მოიძებნება კორპუსში--მეთქი...

– სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, – გაუღიმა მამამ, – იცით, დღეს ერთის ნაცვლად ორ ჩვილს უნდა მივხედო. სწორედ ახლა დამიტოვა თავისი ბიჭი ერთმა ქალბატონმა. სახლიდან ვერ გამოვალ, რადგან ეს უპასუხისმგებლო საქციელი იქნება. თანაც, წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა გამოვცვალო მილი.

– გასაგებია, – თქვა ქალმა, – რა გაეწყობა, მაშინ დარაჯს მოვძებნი. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ.

– აღარ ვიცი, რა ვქნა, – ჩაილაპარაკა მამამ.

მან დალაგება შეწყვიტა, ჩამოჯდა და ჩიბუხი გააბოლა, მერე კი პატარა ფურცელზე დაწერა:

"ისტორიის მკვლევარი და დოქტორანტი. სამუშაო საათები 8-დან 6-მდე. გთხოვთ, სამუშაო საათებში ზარს ნუ დარეკავთ.

მამამ ეს წარწერა შემოსასვლელ კართან ჩამოკიდა.

– ესეც ასე. ვნახოთ, თუ გააკეთებს თავის საქმეს, – თქვა მამამ და სოკრატესთვის საწოვარა გაამზადა. ცდილობდა, საფენები აუჩქარებლად გამოეცვალა, მაგრამ პატარა მაშინვე მიხვდა, რომ იმ დღეს მამას საქმე თავზე საყრელად ჰქონდა და გუნება გაუფუჭდა. სანამ ავრორამ ფეხისგულებზე არ შეუღიტინა, ერთხელაც არ გაუღიმია. კიდევ კარგი, მალე საწოვარა მისცეს. ამასობაში მამამ ბოლო გარეცხილი საფენიც ჩამოკიდა. იქნებ მათ დაბრუნებამდე გამშრალიყო კიდეც.

– შეგვიძლია, ჩავაცვათ, – თქვა მამამ, – სოკრატე, ჩვენთან ერთად მოდიხარ ბებიის დასახვედრად. იცოდე, კარგ გუნებაზე უნდა იყო.

სოკრატეს ნაქსოვი თეთრი ტანსაცმელი ჩააცვეს. ავრორას აზრით, ლამაზადაც ეცმებოდა და თბილადაც, თანაც ფუმფულა სახვევში შეფუთავდნენ, პირზე კი თხელ საბანს დააფარებდნენ, რომ ცივი ჰაერი ფილტვებში არ ჩასვლოდა.

– ესეც ასე. მზად ხარ, ავრორა? – ჰკითხა მამამ.

– კი, მაგრამ, იმ პატარას ხომ არ დავტოვებთ მარტოს?

– ვერ დავტოვებთ, – დაუდასტურა მამამ, – მაგრამ, წესით, დედამისი სულ მალე უნდა მოვიდეს. ხომ თქვა, ერთ საათში მოვალო.

– ეგ შენ უთხარი, ერთ საათშიო, – შეახსენა ავრორამ.

მამამ სადარბაზოში გაიხედა. კაციშვილი არ ჩანდა. ფანჯრიდან კი ამდენ ქალში პატარას დედას რას გაარჩევდა. მამამ გადაწყვიტა, ეტლი სადარბაზოში გაედგა და იქ დალოდებოდა. აღელვებული, საათს წამდაუწუმ უყურებდა.

– შემდეგ ტრამვაის დაველოდებით, მაგრამ დაგვიანებაც არ გამოვა.

როგორც იქნა, ნაბიჯების ხმაც გაისმა. ჩვილის დედა სრულიად აუჩქარებლად მოსეირნობდა.

– თუ არ შეწუხდებით, იქნებ ფეხს აუჩქაროთ? – სთხოვა მამამ, – თითქმის ორი საათია, გელოდებით.

– ოჰ, მართლა ორი საათი გავიდა? – გაუკვირდა ქალს, – საყიდლების შემდეგ ტელეფონით ვლაპარაკობდი, დრო პირდაპირ მიფრინავს, ხომ გესმით... ისე, კი შემეძლო კარის მეზობლისთვის მეთხოვა დახმარება, მაგრამ ის ქალი დიასახლისია და შემეცოდა. საშობაოდ ქალებს ხომ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს!

– ესეც თქვენი ბიჭი, – ეტლი მიუგორა მამამ.

– გმადლობთ, – უთხრა ქალმა და წასვლამდე მამას გამოკრულ წარწერას შეხედა. ავრორა, მამა და სოკრატე სასწრაფოდ ლიფტში შეცვივდნენ.

მამაცა და ავრორაც ბრაზისგან აწითლებულიყვნენ, მაგრამ ცივ ჰაერზე გასვლამ ორივე დამშვიდა. ახლა ტრამვაიში უნდა ჩამსხდარიყვნენ და ქალაქში ჩასვლა მოესწროთ.

ტრამვაი გაჩერებაზე დაუხვდათ. ტირილტოპენი ბოლო გაჩერება იყო, ამიტომ ტრამვაი თითქმის არასდროს მოდიოდა სავსე. მაგრამ მაინცდამაინც იმ დღეს განეზრახათ ტირილტოპენელებს საშობაო საყიდლებზე წასვლა.

ტრამვაი სავსე ჩანდა. მძღოლმა მამას გამოხედა.

– სამწუხაროდ, ტრამვაი სავსეა, შემდეგს უნდა დაელოდოთ.

– კი მაგრამ, დედაჩემი მატარებლით ჩამოდის, ვერ დავაგვიანებთ.

– წესი ასეთია, – მიუგო მძღოლმა, – უკვე ორი ეტლიანი გვყავს, მეტს ვეღარ ამოვუშვებ.

– იქნებ ეტლი დავკეცო და ბავშვი კალთაში ჩავისვა? ასე ხომ შეიძლება ამოსვლა?

– კარგი, ამობრძანდით, – მიუგო მძღოლმა და მამას მიეხმარა. ეტლი დაკეცეს და კედელზე ააყუდეს, მაგრამ მამა სოკრატეთი ხელში ფეხზე დარჩა. ვაგონში ერთი თავისუფალი ადგილიც კი არ დარჩენილიყო.

– დაბრძანდით, – ორი ქალბატონი ერთდროულად წამოდგა ფეხზე, – ბავშვით ფეხზე დგომა არაფრით არ შეიძლება. შენც დაჯექი, – უთხრეს ავრორას.

– რა კეთილი ქალბატონები არიან, – გადაუჩურჩულა ავრორამ მამას.

– ნამდვილად, – დაეთანხმა მამა, – დღეს ქალბატონებისგან ძირითადად უსიამოვნებები შემემთხვა.

– მე და დედაც ხომ ქალბატონები ვართ? – გაუკვირდა ავრორას.

– თქვენ ჩემი ქალბატონები ხართ, ეს სულ სხვა საქმეა, – მიუგო მამამ.

-აბა, სოკრატე, დავიძარით. ეს შენი პირველი ტრამვაია, – უთხრა ძმას ავრორამ.

გოგონამ ფანჯრიდან უამრავი შენობა დაინახა, რომლებიც ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ძ კორპუსს. მათ შორის, აქა--

იქ კერძო სახლები და კიდევ დათოვლილი ხეები, გზები, ხალხი და მანქანებიც მოჩანდა. ტრამვაიში მსხდომთა უმეტესობა ქალი იყო, კალთაში ჩანთები ჩაეწყოთ და საშობაო საყიდლებზე ფიქრობდნენ. ქალაქში მალე ჩავიდნენ. სამწუხაროდ, სოკრატეს გზაში ჩაეძინა და ამ ყველაფრის დათვალიერება ვერ მოასწრო.

სადგურში დიდი აურზაური დაუხვდათ. სოკრატეს გამოეღვიძა და დაიბნა. აქამდე ყველაზე ხმამაღალი რამ, რაც კი მოესმინა, მამას პიანინო იყო.

– ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზ-ბზბზ, – აზუზუნდა მამა, – საშიში არაფერია, ჩემო კარგო.

სადგურში მატარებლის ჩამოსვლა გამოაცხადეს.

– ავრორა, მატარებელი ჩამომდგარა, დარჩები აქ სოკრატესთან ერთად, სანამ დედას მოვძებნი?

მამა მატარებლისკენ გაეშურა. ვაგონებიდან გამოსული ხალხის ნაკადი არა და არ წყდებოდა. იმდენი ხალხი იყო, ყველას ხმა ერთმანეთში ირეოდა.

უეცრად ავრორასკენ პატარა მატარებელი დაიძრა. ეს ბარგის გადამზიდი მანქანა პირდაპირ გოგონასკენ გამოქროლდა და, ავრორა რომ დროზე არ გასცლოდა ეტლიანად, ალბათ შეასკდებოდა კიდეც. მამა ჯერაც არსად ჩანდა. არც ავრორა იდგა იქ, სადაც მამამ დატოვა.

– სულ მარტო ხარ, ჩემო გოგონა, დახმარება ხომ არ გინდა? – ჰკითხა უცნობმა კაცმა.

იქნებ მართლაც სურდა დახმარება, მაგრამ ავრორას კარგად ახსოვდა დარიგება, ქალაქში უცნობ ხალხს არ გამოელაპარაკოო, ამიტომ მოკლედ მოუჭრა:

– არა, მამაჩემს ველოდები.

ავრორამ მომლოდინე მზერით გახედა ხალხს და ამ დროს ნაცნობი ხმა მოესმა: ვიღაც იმ მელოდიას უსტვენდა, რომელიც მხოლოდ მან, მამამ, დედამ და სოკრატემ იცოდნენ. ავრორა სიხარულისგან აჭყივლდა და ჰაერში ახტა. აი, მამაც გამოჩნდა! გვერდით თითქმის მისი სიმაღლის, ტყავის შავ პალტოში, შავ ქუდსა და შავ ყელსახვევში გამოწყობილი ქალი მოჰყვებოდა, რომელსაც პატარა ხელჩანთა ეჭირა. სამაგიეროდ, მამა მოათრევდა ორ დიდ ჩანთასა და ერთ შალის საბანს.

– ავრორა, ტაქსით უნდა წავიდეთ. აქეთ!

ტაქსის გაჩერებაზე დიდი რიგი დაუხვდათ. ბებიამ ავრორას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, როგორ გაზრდილხარო. შემდეგ მამასკენ შეტრიალდა.

– კი მაგრამ, ედვარდ, შარფი რანაირად გაგიკეთებია?

ბებიამ მამას შარფი მოხსნა, ხელახლა შემოახვია და ბოლოები პალტოში ჩაუჩურთა. მამა დამჯერი პატარა ბიჭივით ხმაამოუღებლად იდგა.

ლოდინი დიდხანს მოუწიათ. ტაქსის მომლოდინეებს შესცივდათ და აცქმუტდნენ. მამამ და ბებიამაც დაიწყეს ხტუნვა, იქნებ ცოტა გავთბეთო, სოკრატე კი აღუღუნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალე მოშივდებოდა. როგორც იქნა, მათი ჯერიც დადგა.

Z კორპუსს რომ მიუახლოვდნენ, ბებიამ შეიცხადა:

– ღმერთო ჩემო, აქ ცხოვრობთ? მაინც რამდენი ფანჯარა აქვს ამ შენობას?

– ჯერ არ დაგვითვლია, – მიუგო მამამ, – რომელიმე თავისუფალ დღეს მაგისთვისაც მოვიცლით.

ლიფტში ჩანთებითა და ეტლით შევიდნენ. ბებიამ თვალები დახუჭა და ლიფტის გახსნამდე არ გაუხელია.

კარს რომ მიადგნენ, ბებიამ შენიშნა:

– ედვარდ, ეს რა უცნაური წარწერა გამოგიკრავს?

– იძულებული გავხდი, ჩამომეკიდა, – მიუგო მამამ, – სხვა დროს მოგიყვები.

შინ რომ შევიდნენ, ბებიამ ფანჯრიდან გადაიხედა და თქვა, ამსიმაღლეზე აღარასდროს ამოვალო, მერე კი ოთახები საგულდაგულოდ მოათვალიერა. სააბაზანოშიც შევიდა, სამზარეულოშიც, საძინებელშიც და ავრორას ოთახშიც.

– უნდა ვაღიარო, რომ ყოჩაღი ცოლი გყავს, ედვარდ. სახლის საქმეებსაც ასწრებს და სამსახურსაც.

ავრორას უნდოდა, ეთქვა, სახლში მამა საქმიანობსო, მაგრამ მამამ ანიშნა, არ გინდაო.

– სანამ აქა ვარ, მე ვისაქმიანებ, რომ მარიამ არდადეგები თქვენთან ერთად გაატაროს.

– ძალიან კარგი, დედა. ოღონდ, სოკრატეს მეც უნდა გამოვუცვალო ხოლმე, – უთხრა მამამ.

– ვითომ შეძლებ? ფრთხილად იყავი, არ დაგივარდეს.

– რა თქმა უნდა, ფრთხილად ვიქნები, – მამამ პატარა ეტლიდან ამოიყვანა. სოკრატემ ისე ტკბილად გაუღიმა, თითქოს ყველაფერი გაიგოო.

ბებია სამზარეულოში დაბზრიალდა. თან იმდენი გემრიელი რამერუმეები ჰქონდა წამოღებული! ერთ-ერთ ჩანთაში კი შეფუთული საჩუქრები ეწყო. ნეტა, რომელიმე ავრორასთვისაც ყოფილიყო!

მამამ სოკრატეს საფენები გამოუცვალა და ავრორა საშობაო ნაძვის ხის საყიდლად წაიყვანა. ამჯერად პატარა სახლში დატოვეს, ბებიასთან. კარგა ხანს არჩევდნენ, სანამ ისეთი ნაძვის ხე არ იპოვეს, რომელსაც მათთან სურდა წამოსვლა.

იმ დღეს მათ აივანზეც გამოჩნდა ნაძვის ხე, რომელიც მოაჯირზე გადაზნექილიყო და დანარჩენ ხეებს ესალმებოდა.

– ახლა კი ვიმხიარულებთ, სოკრატე, – უთხრა ძმას ავრორამ.

სოკრატემ თვალები დახუჭა. ის მხიარულებისთვის ყოველთვის მზად იყო.

ირგვლივ სიმშვიდე სუფევს

ბებიას ჩამოსვლის შემდეგ სახლში ყველაფერი შეიცვალა. საჭმელსაც ის აკეთებდა, ტანსაცმელსაც ის რეცხავდა, თან ავრორას, მამასა და დედას დახმარებას უკრძალავდა. მამას შეეძლო, დიდხანს მჯდარიყო სამეცადინოდ. იმის დროც კი დარჩა, რომ ავრორასთან ერთად გრძელ-გრძელი საშობაო ბარათები დაეწერა და საჩუქრებზე ეფიქრა. ორ საღამოს სხვადასხვა წვეულებაზე პიანინოზეც დაუკრა, რომ დედის საჩუქრისთვის ფული ეშოვა. ავრორას ეს საიდუმლო არავისთვის გაუმხელია.

შობამ ძ კორპუსი ერთიანად შეცვალა. ყველას იმდენი საქმე გაუჩნდა, ჩხუბისა და კამათისთვის არავის ეცალა. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი შრომა კნუტს მოუწია, რადგან ბებიას ჩამოსვლის შემდეგ ერთხელაც არ გამოჩენილა. დედასაც უამრავი საქმე ჰქონდა სამსახურში და გვიან ბრუნდებოდა ხოლმე. საბედნიეროდ, მალე არდადეგები დაიწყებოდა. ავრორამ ტყეს გახედა. ხეებს შორის კვლავაც მიიკლაკნებოდა კვამლი.

– მამა, ტყეში რომ ჯერაც არ გაგვისეირნია?! – შეახსენა ავრორამ.

– სულ მალე წავალთ, – შეჰპირდა მამა.

სოკრატე რომ მოაწესრიგა, ბებიას უთხრა:

– დედა, თუ წინააღმდეგი არა ხარ, მე და ავრორა ტყეში გავისეირნებთ. დიდი ხნის წინ შევპირდი, წაგიყვან-მეთქი, მაგრამ ხან რა საქმე გამოგვიჩნდა, ხან რა, საბავშვო ეტლით კი ტყეში შესვლა გაგვიჭირდებოდა.

– წადით, ჩემო ბიჭო, – უთხრა ბებიამ, – მოგიხდება სუფ-თა ჰაერზე გავლა. ძალიან გამხდარი და ფერმკრთალი ჩანხარ. ახლა მაინც დაიხურე ქუდი!

ბებია ჯერაც ვერ ხვდებოდა, რომ მამა უკვე ზრდასრული მამაკაცი იყო და ყველაფერს კარგად ართმევდა თავს.

– მამა, იქნებ პური დაჭრა, რომ საგზალი გავიმზადოთ? – სთხოვა ავრორამ.

– ოჰ, არა, ჯობია, მამას საჭმელზე არაფერი სთხოვო, – ურჩია ბებიამ, – კაცებს სამზარეულოში ტრიალი არ ეხერხე-ბათ. ცოლი რომ სადილს არ უმზადებდეს, ალბათ შიმშილით მოკვდებოდა.

– არ არის მართალი, – თქვა ავრორამ.

– როგორ არა, – მიუგო ბებიამ, – ჩემი შვილია და კარგად ვიცნობ. ერთხელაც არ დატრიალებულა სამზარეულოში.

– მშვენივრად ტრიალებს სამზარეულოში, – თქვა ავრო-რამ, – საჭმლის კეთებაც ძალიან კარგად იცის და, საერთოდ, ამ კორპუსში ყველაზე ყოჩაღი მამაა!

– ოჰ, ჩემო კარგო, რა კარგია, მამა რომ ასე გიყვარს, – და-უყვავა ბებიამ.

– ბებია სანამ თავისი თვალით არ ნახავს, არ დაიჯერებს, – გაეცინა მამას და ბებია ხელში აიტაცა, – თანაც, ისე კარგად გვეხმარება სახლში, რომ არც კი მაქვს სურვილი, თავი მოვაწო-ნო.

– აბა, კარგ სეირნობას გისურვებთ, – თქვა ბებიამ, ძირს რომ ჩამოსვეს, – ოღონდ არ დაიგვიანოთ, თორემ დედას ეწყინება, შობა საღამოს შინ რომ არ დახვდეთ.

– გპირდებით, არ დავიგვიანებთ, – დაამშვიდა მამამ და ავრორას ხელი ჩაჰკიდა. სულ მალე ტყეში იყვნენ.

– ყველასთვის მოამზადე საჩუქრები, ავრორა? – ჰკითხა მამამ.

– კი, შენთვის, დედასთვის, საუკეთესო ბებიასთვის და სოკრატესთვის, – ავრორამ.

– იცი, გუშინ ერთი-ორი წიგნი ვიყიდე ქალაქში, – თქვა მამამ, – ვიფიქრე, ნუსესა და ბრიტ-კარენის საჩუქრებად გამოდგებოდა.

ავრორას ეს ამბავი ძალიან გაუკვირდა, მაგრამ, რომ ჩაფიქრდა, მიხვდა, მამა სწორად მოიქცაო. გოგონები ხომ ცოტათი დაუმეგობრდნენ კიდეც. თანაც ბრიტ-კარენს ოთახში ერთი წიგნიც კი არ ედო. წიგნის გარეშე იქაურობა ისეთი ცარიელი ჩანდა, რომ ის ლამაზი თოჯინის ეტლიც კი ვერაფერს შველოდა.

ტყის სიღრმეში შევიდნენ. იქ საოცარი სიმშვიდე სუფევდა. ავრორასა და მამას მეტი არავინ იყო გარეთ. ავრორა ძველ სახლზე აღარ ნაღვლობდა. ტირილტოპენი მშვენიერი ადგილი გამოდგა, ეს ტყე კი სულაც ჯადოსნური ყოფილა.

– კნუტისთვისაც მაქვს კარგი საჩუქარი, – განაგრძო მამამ, – შეგვიძლია, შენი, ჩემი და სოკრატეს სახელით ვაჩუქოთ. ჩინებული წიგნია ძველ საბერძნეთზე.

– ძალიან გაუხარდება, – თქვა ავრორამ, – ისე, დიდი ხანია, არ გამოჩენილა.

ამ დროს ხეებს შორის ერთი პატარა, ნაცრისფერი სახლი შენიშნეს. სახლის ეზოში არყის ხე იდგა.

– რა ლამაზია, – აღტაცებით მიაჩერდა მამა, – ისეთი სახლია, თოვლის ბაბუაც რომ სიამოვნებით იცხოვრებდა, არა?

– ნამდვილად, – დაეთანხმა ავრორა, – მაგრამ, მამა, აქ უკვე ცხოვრობენ, ხომ გახსოვს, კვამლი რომ შევნიშნეთ? რა მშვენიერი სახლი აუშენებიათ!

უეცრად სახლის კარი გაიღო. ავრორამ და მამამ შორიდანაც გაარჩიეს, რომ იქიდან მოხუცი ქალი გამოვიდა, თავშალი ეკეთა, მხრებზეც შალი მოესხა, ტანზე კი გრძელი კაბა ეცვა. ქალს ხელში ფაფის დიდი ქვაბი ეჭირა, რომელიც სადგომის წინ დადო.

– ეს ხომ ის ქალბატონია, მაღაზიაში რომ დაგვეხმარა! – გადაუჩურჩულა მამას ავრორამ.

– მართალი ხარ, – იცნო მამამაც.

ქალი სახლისკენ გაბრუნდა და, ის იყო, შიგნით უნდა შესულიყო, რომ კარიდან პატარა შავი ცხოველი გამოვარდა.

ეს ცხოველი შავი, მოკლეფეხებიანი ძაღლი გამოდგა. ძაღლმა უცხო ადამიანების სუნი იკრა და ყურისწამღები ყეფა ატეხა.

– აბა, ბრტყელტუჩა, შობის ღამეს ყეფა როგორ შეიძლება! შემოდი, თორემ ფაფა გაცივდება!

ქალიცა და ძაღლიც შინ შებრუნდნენ, ავრორა და მამა კი ჯერაც მათი ლამაზი სახლის ცქერით ტკბებოდნენ.

ამ დროს ეზოს მეორე ბოლოში მდებარე სადგომიდან ძროხის ბღავილი გაისმა.

– რა კარგია, ამდენი ცხოველი რომ ჰყავთ, – გაუხარდა მამას.

– ცხოველებიცა და ბავშვებიც, – დაამატა ავრორამ, – ფანჯარაში დავინახე.

– ჯობია, შინ დავბრუნდეთ, – თქვა მამამ, – იქნებ სულაც არ მოსწონთ, ასე რომ ვდგავართ და მათ სახლში ვიჭყიტებით. ისე, მშვენიერი სახლი კი არის.

– იქნებ ის ქალბატონი ბავშვების ბებიაა? ჩვენი საუკეთესო ბებიასავით? – ჩაფიქრდა ავრორა.

– ალბათ ასეა, – დაეთანხმა მამა, – ავრორა, დღეიდან მე და შენ საიდუმლო გვაქვს: ტყეში მიმალული სახლის ამბავი! ერთი სული მაქვს, დედასა და სოკრატეს როდის გავანდობთ.

მაინც რა კარგი იყო საიდუმლოს აღმოჩენა შობა საღამოს!

ძ კორპუსს რომ მიუახლოვდნენ, ავრორამ იქაურობას თვალი მოავლო. საშობაოდ გამოწყობილი შენობა ნამდვილად ლამაზი იყო. ფანჯრებში თითქმის ყველას გამოედგა საშობაო

ვარსკვლავები, ანთებული ნაძვის ხეების მხიარულ ციმციმს დარაბებიც კი ვერ ფარავდა. კორპუსი საშობაო სანახაობად ქცეულიყო და ყოველ მნახველს სიხარულით უვსებდა გულს.

ამ დროს გზაზე მანქანა გამოჩნდა.

– დედა მოვიდა! – დაიჭყივლა ავრორამ.

– მოვედი! – მანქანიდან გაბადრული დედა გადმოვიდა, – დღეიდან ახალი წლის ჩათვლით თავისუფალი ვარ, ავრორა! წამოდით, შინ ავიდეთ.

სახლში შესულებმა მოხარშული კომბოსტოს სუნი იგრძნეს. ბებიას სოკრატე კალთაში ჩაესვა და საშობაო სიმღერებს უმღეროდა.

– მოდი, ავრორა, ჩემი ნაყიდი საჩუქრები მოვამზადოთ, – შესთავაზა მამამ. ყოველ შეფუთვას თავ-თავისი პატრონის სახელი ეწერა: ბრიტ-კარენი, ნუსე და კნუტი...

– ესეც თოვლის ბაბუის ქუდი! ახლა შეგიძლია, ბავშვებს ჩამოუარო და გაახარო, დღეს შენც თოვლის პატარა ქალბატონი ხარ.

ავრორამ საჩუქრებს დახედა, არ იცოდა, პირველად ვისთან მისულიყო. ბოლოს გადაწყვიტა, ჯერ ნუსე მოენახულებინა, რადგან მას ყველაზე ნაკლებად იცნობდა. მეცამეტე სართულზე რომ ავიდა, ერთ-ერთი კარი ღია დაუხვდა. ეს იმ ქალის კარი იყო, რომელიც ნორვეგიულად არ ლაპარაკობდა. შიგნით ყველაფერი ლამაზად იყო მორთული, აუარებელი საშობაო ნათურა ენთო და იქ შეკრებილი სტუმრების ხალისიანი ჟრიამუ-

ლი სადარბაზომდე აღწევდა, მაგრამ ავრორას სიტყვების შინაარსი არ ესმოდა. ნეტა რომელი ქვეყნიდან იყვნენ? მამა მართალი იყო, რომ თქვა, ეს კორპუსი მთელი სამყაროაო. ცხადია, სამყაროში ბევრი სხვადასხვა ენა არსებობდა. ავრორამ ინატრა, იქნებ ის უცხოელი ქალბატონი ოდესმე გავიცნო და, რომ ვესტუმრები, თავი სხვა ქვეყანაში მეგონებაო.

ნუსე საგულდაგულოდ გამოპრანჭული დაუხვდა. როგორც ჩანდა, გაცივებას უკვე გაევლო.

– ეს შენ, – გაუწოდა საჩუქარი ავრორამ.

– დედა, ავრორამ საჩუქარი მომიტანა! – მიახარა გოგონამ დედას და ავრორა შინ შეიპატიჟა. ნუსეს დედას მის დანახვაზე სახე გაუნათდა და გულითადი მადლობა გადაუხადა – როგორც ჩანს, დავიწყებოდა, ავრორამ რამდენიმე დღის წინ უარით რომ გაისტუმრა.

– რა მშვენიერი საჩუქარია! როგორ შეწუხებულხარ!

ავრორამ გზა განაგრძო. ახლა ბრიტ-კარენისკენ გაეშურა, რომელსაც უკეთ იცნობდა. იმედია, ის უსიამოვნო ქალი მათთან არ იყო.

ბრიტ-კარენმა სიხარულისგან ხტუნვა დაიწყო, შემდეგ ავრორას თავაზიანი რევერანსი გაუკეთა და ბედნიერი შობა უსურვა.

ბოლოს კნუტის ჯერიც დადგა. ავრორამ კარზე დარეკა და ინატრა, ნეტა თვითონ გამიღოსო. ავრორა ხომ დედამისს არ იცნობდა.

ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ ნაბიჯების ხმა გაიგო.

– ვინ არის? – იკითხეს შიგნიდან. ეს ნამდვილად კნუტის ხმა იყო.

– მე ვარ, ავრორა.

კარი მართლაც კნუტმა გააღო.

– შენთვის საჩუქარი მაქვს, – უთხრა ავრორამ, – რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან?

– თქვენთან ხომ ბებიაა ჩამოსული, – მოიღუშა კნუტი, – თან რაღაც საქმეები მქონდა.

– საშობაო საქმეები? – ჩაეძია ავრორა.

კნუტი ერთხანს დადუმდა და ბოლოს უთხრა:

– თუ დრო გაქვს, იქნებ ცოტა ხნით ჩემთან შემოხვიდე, რომ ერთად აღვნიშნოთ შობა.

– მერე, დედაშენი თანახმა იქნება? – შეშფოთდა ავრორა.

– დედაჩემი შინ არ არის, – მიუგო კნუტმა, – გუშინ საავადმყოფოში დააწვინეს.

– სახლში ვისთან ერთად ხარ? – ჰკითხა ავრორამ.

– მარტო ვარ. ზეგ დეიდა მესტუმრება, – უთხრა კნუტმა.

– შობას სულ მარტო უნდა შეხვდე? – გაოგნდა ავრორა.

– ჰო, სხვა რა გზაა? – უფრო მოიღუშა კნუტი.

– იქნებ ჩვენთან ჩამოხვიდე! – შესთავაზა ავრორამ, – იმ-ხელა ნაძვის ხე გვაქვს, ხელებს ვერ ვაწვდენთ, სოკრატე კი ჯე-რაც პატარაა, რომ მოგვეხმაროს.

– ვერ წამოვალ, – უთხრა კნუტმა, – უფრო სწორად, არ წამოვალ, თუ ჯერ შენები არ დაგთანხმდებიან.

– ახლავე წავალ და ვკითხავ, – დაჰპირდა ავრორა და სა-ჩუქრიანად გაიქცა. ზარი რომ დარეკა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– შეიძლება, კნუტი ჩვენთან მოვიდეს? – ზღურბლიდან-ვე დაიყვირა გოგონამ.

– კნუტი? – ჰკითხა დედამ, – აჰ, კნუტი ის ბიჭია, შენ და მამა რომ დაუმეგობრდით, არა? იცი, ავრორა, დღეს არ გამოვა. მის მშობლებს ხომ ეწყინებათ?

ავრორა წამით ჩამოჯდა, შემდეგ ადგა და მამას სვიტერ-ზე მოქაჩა, მერე ისევ დაჯდა, როგორც იქნა, ამოისუნთქა და თქვა:

– კნუტი სულ მარტოა. დედამისი საავადმყოფოში დააწ-ვინეს, დეიდა კი ზეგამდე ვერ მოვა.

მამას სახე შეეცვალა.

– ახლავე ავალ და დაველაპარაკები.

როგორც ჩანს, დიდხანს ილაპარაკეს. მამა რომ ჩამოვიდა, თქვა, აუცილებლად უნდა გვესტუმროს, თორემ საბრალო ბიჭი შობას მარტო გაატარებს. კიდევ კარგი, ავრორა ავიდა მოსანახულებლადო.

– მამამისი სადაა? – ჩაეკითხა ბებია.

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა მამამ, – კნუტს მამა არასდროს უხსენებია. სადაც უნდა იყოს, ჯობია, ბავშვს კითხვებით თავი არ მოვაბეზროთ.

– მართალი ხარ, ჩემო ბიჭო, – დაეთანხმა ბებია, – ზოგჯერ მაოცებ ხოლმე, ისეთი გაზრდილი ხარ.

ყველამ ერთხმად გაიცინა და სადღესასწაულოდ გამოწყობას შეუდგნენ. ავრორამ წითელი კაბა ჩაიცვა, ნაწნავებშიც წითელი აბრეშუმის ბაფთები გაიკეთა. თეთრი რეიტუზი და შავი ფეხსაცმელი ჩაიცვა. ისე გალამაზდა, სოკრატემ თავიდან ვერც კი იცნო და აჭყივლდა.

მალე კარზე ზარი გაისმა. კნუტი ნაცრისფერ შარვალსა და თეთრ პერანგში გამოწყობილიყო, თმა დაესველებინა და ისე გადაევარცხნა. ხელში ავრორას მამისთვის მომზადებული საჩუქარი ეჭირა, რომელშიც ერთი შეკვრა ფქვილი აღმოჩნდა.

– ჩინებულია, კნუტ! საშობაო კექსების გამოსაცხობად გამოგვადგება, – უთხრა მამამ.

– ოჰ, როგორი ხუმრობა იცის მამაშენმა, – გაეცინა ბებიას, – გეგონება, თვითონ აცხობდეს ნამცხვრებს!

– წლევანდელი კექსები როგორ მოგწონს, დედა? – ჩაეკითხა მამა.

– უგემრიელესია, – მიუგო ბებიამ, – მარია, რა რეცეპტით გააკეთე? – მიუბრუნდა დედას.

– ჯერ ერთი ახალგაზრდა კაცი შევიყვარე, – დაიწყო დედამ, – შემდეგ ცოლად გავყევი, სანამ სწავლას დაამთავრებდა, მერე მუშაობა დავიწყე და სახლის საქმეები ქმარს მივანდე, ჰოდა, ეს მშვენიერი კექსებიც მივიღე!

– რაღაც გამოგრჩა, – გაუღიმა მამამ, – ამ კექსების გამოცხობისას კნუტი და ავრორა თუ არ დაიხმარე, ასეთი გემრიელი არ გამოგივა.

ნაძვის ხის გარშემო მშვენიერი ლხინი გაიმართა. მამამ საღამო პიანინოს დაკვრით გახსნა და საშობაო სიმღერასაც აჰყვა.

დედა ძალიან გაახარა მამას ნაჩუქარმა ახალნაყიდმა სვიტერმა. ავრორამაც მიიღო ორი პატარა სვიტერი, რომლებიც საეჭვოდ ჰგავდნენ მშობლების ძველ სვიტერებს.

– მამა, ასე როგორ დააპატარავე? – ჰკითხა ავრორამ.

– როგორ და, მოვხარშე! – ამაყად მიუგო მამამ.

მან ავრორას პატარა ფლეიტა აჩუქა. დედამ თავისი პატარა მანქანებისთვის სადგომი გადასცა, ბებიამ კი ლამაზი ქვედატანითა და თოჯინის საწოლით დაასაჩუქრა.

ამასობაში კნუტსაც ბევრი საჩუქარი მოუგროვდა. ბოლოს დედამ პატარა კონვერტი ამოიღო და მამას გადასცა. კონვერტში ქაღალდი იდო, რომელზეც ეწერა: "ამ ბარათის მეშვეობით ავტოსკოლაში 30 სასწავლო საათს მიიღებ".

– ჩინებულია, – გაუხარდა მამას, – მანქანის ტარებას ვისწავლი!

– რა კარგი საჩუქარია, – მოუწონა ბებიამაც, – ედვარდ, დამპირდი, რომ ფრთხილი მძღოლი იქნები.

– მანქანასაც ბევრი გადამრთველი და ღილაკი აქვს, – შეახსენა ავრორამ მამას, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე მიეჩვევი.

– იმედია, – გაეღიმა მამას.

როცა დაღამდა, კნუტმა დააპირა, მადლობა გადაეხადა და წასულიყო, მაგრამ ავრორამ არ დააცადა.

– დედა, სახლში ხომ ვერ გავუშვებთ მარტო დასაძინებლად?

– რა თქმა უნდა, ვერა, – თქვა დედამ, – ოღონდ, კნუტ, იქნებ შენი საბანი ჩამოიტანო, რადგან ჩვენ მეტი აღარ გვაქვს.

– ჩამოვიტან, – სახე გაებადრა კნუტს, რომელსაც მარტო ყოფნას ყველაფერი ერჩია.

ავრორა მეგობარს სახლში გაჰყვა, რომ მისი საბანი და პიჟამა ჩამოეტანათ.

– მოდი, ჯერ მამას საწოლში ჩაგაწვენთ, – შესთავაზა დედამ, – მოგვიანებით კი, უფროსებსაც რომ ძილი მოგვერევა, მისაღები ოთახის ტახტზე გადმოგიყვანთ.

– მგონი, ჯობია, კნუტი ჩემთვის გამზადებულ საწოლში დაწვეს, – თქვა ბებიამ, – ტახტზე კი მე დავწვები, გვიანობამდე მაინც არ ვიძინებ.

ასეც მოიქცნენ. მამამ ბიჭს ტკბილი ძილი უსურვა და შეჰპირდა, ხვალ მანქანით წაგიყვანთ საავადმყოფოში, დედა რომ მოინახულოო.

– რა კარგია! – სახე გაუბრწყინდა ძილმორეულ კნუტს.

სოკრატეს ტანსაცმლის კალათაში ეძინა და სულაც არ დაგიდევდათ, რომ ავრორა მის საწოლს დაჰპატრონებოდა. მამა ავრორასთანაც შევიდა დასამშვიდობებლად.

– რა უცნაურია, პატარაობის საწოლში რომ გხედავ, ავრორა. აბა, ისე მოვიქცეთ, ძველ სახლში როგორც ვიქცეოდით?

– კი! – გაუხარდა ავრორას.

მამამ ჩაიმუხლა და საწოლის რიკულებში შეიჭყიტა.

– მამა, მოდი, ვილაპარაკოთ. როგორ ფიქრობ, დღეს კორპუსში ყველა ბედნიერია?

– ალბათ არა, – მიუგო მამამ, – ეს კორპუსი ხომ მთელი სამყაროა, სამყაროში კი ზოგს ულხინს და ზოგსაც უჭირს. თუმცა, მაინც მგონია, რომ ამ საღამოს ყველანი მშვიდობიანად გაატარებენ.

– ერთმანეთსაც არ ერჩიან? – ჰკითხა ავრორამ.

– და არც აუგს ამბობენ ერთმანეთზე, – უთხრა მამამ.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა ავრორა და უეცრად გულში სიმშვიდე და ბედნიერება ჩაეღვარა.

იმ ღამით ვერავინ იტყოდა, ავრორას დედა ქალაქში გარბის და საბრალო ქმარს სახლში ტოვებსო. ავრორამ ინატრა, ნეტა ყოველ საღამოს შობა იყოსო.

გოგონას ჯერაც ეღვიძა და თითებს საწოლის რიკულებზე ათამაშებდა. ფარდებს შორის ცის პატარა ნაგლეჯი მოჩანდა. იქ, სადღაც შორს, პატარა ვარსკვლავი ციმციმებდა.

ავრორას რომ იმ ვარსკვლავიდან გადმოეხედა, ალბათ ძ კორპუსსაც დაინახავდა – მთელი სამყაროსხელა შენობას, რომელიც საშობაოდ საოცრად გალამაზებულიყო და ყველა ფანჯარა ათასფრად უციმციმებდა.